# ლელო

№081
(12 151)

7 აპრილი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი


**მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 10 აპრილს**

# ოქროს ვაზარი

## ზაზა კედელაშვილი ევროპის ორგზის ჩემპიონია!



ზაზა კედელაშვილმა ფინალში სერბი მიალკოვიჩი დაამარცხა

საქართველოს 2006 წლის საუკეთესო სპორტსმენმა, ძიუდოისტმა ზაზა კედელაშვილმა 2007 წელს ჩვენს ქვეყანას პირველი დიდი სპორტული წარმატება მოუტანა - გუშინ ზაზამ ღირსეულად დაიცვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. მეორე ქართველმა ნესტორ ხერგიანმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სერბთა დედაქალაქი ბელგრადი არ წყალობს ჩვენს ჩოგბურთელებს, სამაგიეროდ, ის სტუმართმოყვარე გამოდგა ქართველი ძიუდოისტებისათვის.

66 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში ზაზამ მასპინძელი მილოშ მიალკოვიჩი ხელში აიტაცა და ვაზარით დააგდო. ამ ვაზარის ოქროს ფასი ჰქონდა, რადგან დამატებითი დრო მიდიოდა და გადაჭედილი დარბაზი მოუთმენლად ელოდა თანამემამულის გამარჯვებას. კედელაშვილმა მაყურებელს იმედი ჩაუკლა, ათიოდ წუთში დარბაზში საქართველოს ჰიმნი აჟღერდა...

11

რაგბი. დღეს, ეროვნულ სტადიონზე. 16:00. საქართველო-ჩეხეთი

# მგელაძის ჩეხეთი, დღევანდელი მეტოქე და ხვალინდელი კონკურენტი?



ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი ლევან მგელაძე

დღეს, ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მორიგ მატჩში ჩეხეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. სტუმართა კრებული, რომლის მთავარი მწვრთნელი ჩვენი თანამემამულე ლევან მგელაძეა, თბილისში მატჩამდე ორი დღით ადრე ჩამოვიდა. გუშინ კი, ეროვნული სტადიონის პრესცენტრში ორივე გუნდის მწვრთნელებმა და კაპიტნებმა პრესკონფერენცია გამართეს...

10



ქართველებისა და ჩეხების შარშანდელი მატჩი პრაღაში

დღეს. საქართველოს ჩემპიონატი

| XIX ტური |
|---|
| 16:00. 7 აპრილი. შაბათი |
| ოლიმპი-ბორჯომი |
| მერანი-ვიტ ჯორჯია |
| ლოკომოტივი-ჩიხურა |
| ზესტაფონი-ბათუმი |
| კახეთი-დინამო |
| სიონი-დილა |
| ტორპედო-ამერი |

ტურის წინათქმა 2

ფეხბურთი

## საქართველოში უცხოელები იმსაჯებენ?

თემა განსჯისთვის. იდეა არის, მთავარია ფული და სურვილი 3

ჭადრაკი

## წარმატებული პარასკევი

დრეზდენი. ევროპის ჩემპიონატი 11

ჩოგბურთი. სერბეთი vs საქართველო

## სასწაული არ მოხდა

დევისის თასი. ბელგრადული ამბები 11


LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 43-6 | 45 |
| 2. დინამო | 18 | 14 | 0 | 4 | 36-13 | 42 |
| 3. ზესტაფონი | 18 | 11 | 6 | 1 | 33-6 | 39 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 4 | 3 | 38-23 | 37 |
| 5. ამერი | 18 | 11 | 4 | 3 | 33-12 | 37 |
| 6. სიონი | 18 | 9 | 2 | 7 | 22-16 | 29 |
| 7. ტორპედო | 18 | 8 | 4 | 6 | 18-16 | 28 |
| 8. ბათუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 19-18 | 22 |
| 9. ბორჯომი | 18 | 5 | 5 | 8 | 17-27 | 20 |
| 10. მერანი | 18 | 4 | 5 | 9 | 14-30 | 17 |
| 11. ლოკომოტივი | 18 | 4 | 4 | 10 | 12-26 | 16 |
| 12. ჩიხურა | 18 | 3 | 5 | 10 | 11-27 | 14 |
| 13. დილა | 18 | 1 | 3 | 14 | 10-45 | 6 |
| 14. კახეთი | 18 | 0 | 1 | 17 | 13-54 | 1 |

| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 9 | 8 | 1 | 0 | 25-3 | 25 |
| 2. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 19-5 | 24 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 9 | 7 | 2 | 0 | 23-9 | 23 |
| 4. ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 17-3 | 23 |
| 5. ზესტაფონი | 9 | 6 | 3 | 0 | 18-1 | 21 |
| 6. ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 11-9 | 17 |
| 7. სიონი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-5 | 16 |
| 8. ბათუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 13 |
| 9. ლოკომოტივი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-12 | 13 |
| 10. ბორჯომი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-14 | 12 |
| 11. ჩიხურა | 9 | 2 | 4 | 3 | 6-10 | 10 |
| 12. მერანი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-16 | 6 |
| 13. დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-21 | 4 |
| 14. კახეთი | 9 | 0 | 1 | 8 | 7-22 | 1 |

| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-3 | 20 |
| 2. დინამო | 9 | 6 | 0 | 3 | 17-8 | 18 |
| 3. ზესტაფონი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-5 | 18 |
| 4. ამერი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-9 | 14 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 6. სიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-11 | 13 |
| 7. ტორპედო | 9 | 3 | 2 | 4 | 7-7 | 11 |
| 8. მერანი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-14 | 11 |
| 9. ბათუმი | 9 | 2 | 3 | 4 | 7-8 | 9 |
| 10. ბორჯომი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| 11. ჩიხურა | 9 | 1 | 1 | 7 | 5-17 | 4 |
| 12. ლოკომოტივი | 9 | 0 | 3 | 6 | 3-14 | 3 |
| 13. დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 7-24 | 2 |
| 14. კახეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 6-32 | 0 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფიფია (ზესტაფონი) | 11 |
| 2-3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| | იაშვილი (დინამო) | 10 |
| 4 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 5-8 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| 9 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 10-16 | ნინამძღვრიშვილი (ამერი) | 5 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბოგოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 5 |
| | ს.დავითაშვილი (ამერი) | 5 |
| 17-27 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გძელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 4 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 4 |
| 28-42 | შ.ლონლაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 3 |
| | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 3 |
| | შ.ჯიქია (ბორჯომი) | 3 |
| | გ.ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | გ.მერებაშვილი (დინამო) | 3 |
| | კობახიძე (დინამო) | 3 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | ტულუში (ბათუმი) | 3 |

**სავარაუდოდ, დღევანდელი ტური საჩემპიონო რბოლაში დიდ ცვლილებებს ვერ შეიტანს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომელიმე ლიდერს ფეხი დაუცდეს. ფორმააკრეფილი "ბორჯომი" რუსთავში იოლად არაფერს დათმობს, "ზესტაფონი" "ქართლზე" ნაწვნევი სიმწარის დავიწყებას შეეცდება, გიორგი კიკნაძე პირველად დამოძღვრავს "ლოკომოტივს", "დინამო" კი თელავში გაისეირნებს.**

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XIX ტური. წინათქმა

# მოულოდნელობების მოლოდინში

## ...და თითქმის ექსჩემპიონი

### 16:00 ოლიმპი-ბორჯომი

7 აპრილი. რუსთავი. ფოლადი

პირველ წრეში: 4:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ოლიმპი: მერლანი, ძამსაშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, ნავალოვსკი, სეთურიძე, ქებაძე, აფციაური, გენაძე, კახელიშვილი, რ. გოცირიძე

დისკვალიფიკაცია: დვალიშვილი

ბორჯომი: კოდალაევი, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ლონლაძე, ავალიანი, შ. გრიგალაშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი, კაკალაძე

არბიტრი: ბეუქლიშვილი

ასისტენტები: ზ. ასკაროლლი, ქუხილავა

პირველ წრეში "ოლიმპმა" "ბორჯომი" სტუმრად გაანადგურა, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. **ვლადიმერ ხაჩიძის** განკარგულებაში სადღეისოდ გაცილებით კვალიფიციური ფეხბურთელები არიან, რაც სამცხელთა შანსებს, ცხადია, საგრძნობლად ზრდის. რუსთაველები კი უკვე იმ სტადიაზე არიან, როცა თითოეული ქულის დაკარგვა საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს. "ბორჯომი" ავტორიტეტებს არასდროს სცნობს და მისი წევრები გამონაკლისს არც ერთპიროვნულ ლიდერთან ჭიდილში დაუშვებენ.

ოლიმპელებმა ბოლო პერიოდში გახშირებული სენსაციების შესახებ, კარგად უწყიან და შესანიშნავად ესმით, რომ დაგეგმილი სამი ქულის მოსაპოვებლად ბოლომდე უნდა დაიხარჯონ. როგორც ხედავთ, ლიდერთა წამყვანი ფორვარდი **ვლადიმერ დვალიშვილი** დისკვალიფიცირებულია, სტუმრები კი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ.

### 16:00 ზესტაფონი-ბათუმი

7 აპრილი. ზესტაფონი. ცენტრალური

პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი, ბ. ნოზაძე, ნ. კვასხვაძე, ვიეირა, ფიფია, გ. ჩხეტიანი

დისკვალიფიკაცია: რ. ონიანი

ბათუმი: სომხიშვილი, ცანავა, გალოგრე, ლობჟანიძე, თედორაძე, ხოხონიშვილი, ნერგაძე, კუნჭულია, შალამბერიძე, დარჩიძე, ვ. კვარაცხელია

არბიტრი: კიკაჩეიშვილი

ასისტენტები: რუსიშვილი, მაჩიტიძე

რამდენიმე დღეში ეს გუნდები თასის ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ნაკლებად პრინციპული არც დღევანდელი შეხვედრაა. "ჩიხურასთან" დაკარგული გაუთვალისწინებელი ქულების შემდეგ, ფეროელები კიდევ ერთი წაფორხილების შემთხვევაში, ჩემპიონობის მხოლოდ თეორიულ შანსს შეინარჩუნებენ.

"ბათუმს" კი ჩემპიონატში თავი ქუდში აქვს. მისი პროგრამა-მინიმუმის შესრულებას – უმაღლესში ადგილის შენარჩუნებას წინ ვერაფერი უნდა დაუდგეს. აჭარული კლუბი აქცენტს თასზე აკეთებს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, **ამირან გოგიტიძემ** და მისმა ფეხბურთელებმა სიურპრიზი დღესაც შემოგვთავაზონ.

### 16:00 ტორპედო-ამერი

7 აპრილი. ქუთაისი. ცენტრალური.

პირველ წრეში: 0:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ტორპედო: ოდიშარია, ლ. კირკიტაძე, დანელია, მახარობლიძე, ჭედია, კიკვიძე, კუხიანიძე, გოდერიძე, კაშია, ტაბიძე, ხარებავა

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე, მესხი, ბოლქვაძე, ჯელაძე, ს. დავითაშვილი, ნინამძღვრიშვილი

დისკვალიფიკაცია: დობროვოლსკი

არბიტრი: მაისურაძე

ასისტენტები: კვეტენაძე, ბერულავა

"ტორპედოს" მომავალი ბურუსითაა მოცული. მიმდინარე სეზონს ქუთათურები მოვალეობის მოხდის მიზნით ჩაამთავრებენ, მომავალ ჩემპიონატში კი ჯერ არავინ იცის, როგორი "ტორპედო" იასპარეზებს. სამწუხაროდ, გამორიცხული არც ისაა, გუნდმა უმაღლესში თამაში ვერ შეძლოს.

ახალბედებით სავსე "ტორპედომ" წინა ტურში გორში იწვნია მარცხი და იმედიანი პერსპექტივა არც "ამერთან" უნდა ჰქონდეს. ერთი შეხედვით, ბოლო დროს არასტაბილურ გლდანელებს დღეს სამი ქულის აღება არ უნდა გაუჭირდეთ. "ამერს" კვლავ აკლია დისკვალიფიცირებული **დენის დობროვოლსკი**, რომლის სასჯელის ვადის შემცირებაზეც სადისციპლინო კომიტეტმა უარი თქვა. გამოჯანმრთელდა **გიზო ჯელაძე**, საეჭვოა **რატი ნინამძღვრიშვილის** მოედანზე გასვლა.

### 16:00 ლოკომოტივი-ჩიხურა

7 აპრილი. თბილისი. მ. მესხი

პირველ წრეში: 1:1

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გ. კვახაძე, ებრალიძე, მალიჩავა, ფოფხაძე, გულორდავა, სამხარაძე, ჩომახიძე, ჟღენტი, გოჩაშვილი

დისკვალიფიკაცია: კუპრეიშვილი

ჩიხურა: სტურუა, ქუხილავა, გიგაური, ქემოკლიძე, ბარამიძე, ქუხილავა, კ. მახარაძე, ი. ზაბახიძე, თავბერიძე, ბუცხრიკიძე, მიქაძე

დისკვალიფიკაცია: დვალი

არბიტრი: კრიჭაშვილი

ასისტენტები: ერქვანია, ყრუაშვილი

"მიხეილ მესხზე" საკმაოდ პრინციპული დაპირისპირების მომსწრენი გავხდებით. "ლოკომოტივი" და "ჩიხურა" პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან გასამართი ფლეი ოფის რეალური კანდიდატები არიან და უდავოა, რომ ამ არასასურველი მატჩის თავიდან ასაცილებლად, ორივე გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

რკინიგზელთა მწვრთნელების პოსტზე დებიუტი ექნებათ **გიორგი კიკნაძესა** და მის ასისტენტ **ზაზა ზამთარაძეს**. ბოლო მატჩები "ლოკომოტივმა" უსახურად ჩაატარა და მწვრთნელის შეცვლაც სწორედ ამან განაპირობა. "ჩიხურა" კი პირიქით, ბოლო პერიოდში საგრძნობლად პროგრესირებს, "ზესტაფონთან" მიღწეულმა ყბადაღებულმა ფრემ საჩხერული კლუბის წევრებს ხასიათი კიდევ უფრო გამოუკეთა.

### 16:00 მერანი-ვიტ ჯორჯია

7 აპრილი. თბილისი. შევარდენი

პირველ წრეში: 0:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

მერანი: სეფიაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი, აფშილავა, კედელაშვილი, ფურთუხია, კობერიძე, დეისაძე, ზედელაშვილი, ა. ნოზაძე, ქემაშვილი

დისკვალიფიკაცია: ჩივაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, ბერიაშვილი, გელაშვილი, გ. მელქაძე

დისკვალიფიკაცია: სახოკია

არბიტრი: ხარიტონაშვილი

ასისტენტები: კოკაია, კაკაბაძე

ერთი კვირის წინათ, ვეტერინარებმა "ლოკომოტივს" ერთი ამოსუნთქვით მოუგეს, დღეს კი მორიგი სამი ქულის მოსაპოვებლად ემზადებიან. თუმცა "მერანის" ბოლო შეხვედრებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტები იოლად არაფერს თმობენ. მეორე წრეში ხომ "მერანი" პირველად წინა ტურში, რუსთავის "ოლიმპთან" დამარცხდა და ისიც მინიმალურად. ასე რომ, ამ წყვილის შედეგის პროგნოზირება არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

### 16:00 სიონი-დილა

7 აპრილი. ბოლნისი. თ. სტეფანია

პირველ წრეში: 1:0

**სავარაუდო შემადგენლობები**

სიონი: მამალაძე, ექონია, ბოიომო, ორბელაძე, სილაგაძე, სანიკიძე, ბაბუნაშვილი, ლ. კორღალიძე, ა. ალავიძე, დარასელია, ჩასემი

დილა: თევდორაძე, ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, ლომაშვილი, ბალაშვილი, კ. ხანიშვილი, კობახიძე, ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, გონჩაროვი

არბიტრი: ბუიშვილი

ასისტენტები: მენთეშაშვილი, ჭიჭინაძე

ბოლნისელებს კონცენტრირება, უპირველეს ყოვლისა, თასის გათამაშებაზე მართებთ. ესღაა "სიონის" ერთადერთი ევროიმედი, ქვემოქართლელებს ექსჩემპიონებად სულ მალე მოვიხსენიებთ. თუმცა "დილას" დამარცხება **ცხადაძის** შეგირდებს ნებისმიერ შემთხვევაში მართებთ, ამით გულშემატკივართა წინაშე ოდნავ მაინც შეძლებენ რეაბილიტირებას. ამას გარდა, დღეს ისიც გამოჩნდება, როგორ ფორმაშია გუნდი "ამერთან" უმნიშვნელოვანესი სათასო ორთაბრძოლის წინ.

"დილას" დასაკარგი არც ამჯერად აქვს რამე. გორელებმა სეზონში პირველი გამარჯვება ერთი კვირის წინათ მოიპოვეს და მწირი მონაგარის შესავსებად თავს არც ბოლნისში დაზოგავენ.

### 16:00 კახეთი-დინამო

7 აპრილი. თელავი. გ. ჩოხელი

პირველ წრეში: 1:2

**სავარაუდო შემადგენლობები**

კახეთი: გ. იაშვილი, კუპრაშვილი, გ. ხიდაშელი, მ. ხიდაშელი, ჩუთლაშვილი, ბაბილაშვილი, კობაიძე, მაჩაიძე, ბიძინაშვილი, მედოევი

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დიღმელაშვილი, ს. იაშვილი

არბიტრი: ნონიკაშვილი

ასისტენტები: სპიცინი, სანოძე

თელაველთა უმაღლესში დარჩენა უკვე წარმოუდგენელია. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, დღეს "დინამო" დაგეგმილ სამ ქულას იოლად მოიპოვებს. ვეჭვობთ, დედაქალაქელებს "კახეთის" ძლევა პირველი წრის მატჩივით გაუჭირდეთ. **დუშან უპრინს** ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს და ალბათ, ნაცად შემადგენლობაში კორექტივებს არ შეიტანს. თუ **სანდრო იაშვილი** ბომბარდირული მონაგარის ამ ტურშიც შეავსო, ამას თავისი ძმის კარში გატანილი გოლით (ან გოლებით) გააკეთებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

იარე უმაღლესი ლიგის თამაშებზე

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში

ჯეკპოტი გახდა 6000 ლარი!!!

ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!

ბილეთის ფასი 2 ლარი



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი

სარბიელი

07.04.2007 - მე-19-ე ტურის გათამაშების ცხრილი

ოლიმპი - ბორჯომი
მერანი - ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი - ჩიხურა
ზესტაფონი ბათუმი
კახეთი - დინამო (თბ.)
სიონი - დილა
ტორპედო - ამერი
სპარტაკი (ნალჩიკი) - რუბინი
ფრაიბურგი - აუგსბურგი
ფიურტი - კარლ ცაისი
მიუნხენ 1860 - კარლსრუე

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge



თემა განსჯისთვის

# უცხოელი არბიტრები საქართველოში?

## იდეა მისაღებია, მთავარი ფული და თავის მოზმაა

ბოლო დროს, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მოდად დამკვიდრდა ყველაზე პრინციპულ მატჩებში უცხოელი არბიტრების მიწვევა. ასე მოხდა, მაგალითად, უკრაინაში, სადაც, გუშინ, კიევის "დინამოსა" და დონეცკის "მეტალურგის" პრინციპულ შეხვედრას ბერძენი **კიროს ვასარასი** მოემსახურა. 7 აპრილს, სოფიაში "ლევსკისა" და ცსკა-ს დერბია და ამ მატჩს გერმანელი **ჰელმუტ ფლაიშერი** წარუძღვება. 1 აპრილს, ყატარელები სულაც არ იყვნენ ხუმრობის ხასიათზე, როცა ტურის ცენტრალურ მატჩზე იტალიელი **ტიციანო პიერი** მიიწვიეს.

მანამდეც იყო მსგავსი პრეცედენტები. რამდენიმე დღის წინ, 31 მარტს, რუსეთის პრემიერლიგაში მოსკოვის ცსკა და "ლოკომოტივი" ჰოლანდიელმა **ერიკ ბრანჰარმა** განსაჯა. ასე იყო მოლდოვაშიც, კიშინიოვის "ზიმბრუსა" და ტირასპოლის "შერიფის" მატჩშიც. საქართველოში კი ჯერ თავს იკავებენ უცხოელ არბიტრთა მოწვევაზე. არადა, თუკი სადმე რაიმე სკანდალია, უპირველესად, ეს სწორედ თემიდელთა გადაწყვეტილებებით უკმაყოფილებას უკავშირდება.

ჩვენ უმაღლესი ლიგის წამყვანი კლუბების პოზიციით დავინტერესდით და ყველას ერთი კითხვით მივმართეთ:

**მისაღებია თუ არა თქვენთვის, პრინციპულ მატჩზე უცხოელი არბიტრის დანიშვნა?**

თემურ მახარაძე, **"ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი**: - ქართველი მსაჯების მიმართ არანაირი პრეტენზია არ მაქვს, პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი კვალიფიციური არბიტრი გვყავს. თუმცა ზოგიერთ მატჩში უცხოელის მოწვევა ურიგო მართლაც არ იქნებოდა. მაგალითად, თასის ფინალში, ან კიდევ განსაკუთრებული მნიშვნელობის საჩემპიონატო მატჩისთვის... ახლა იმის თქმა ძნელია, მათ ანაზღაურებას შევწვდებით თუ არა, მაგრამ არა მგონია, ეს პრობლემა გახდეს.

ბადრი ქარქაშაძე, **რუსთავის "ოლიმპის" პრეზიდენტი**: - ვფიქრობ, ამ იდეის განხორციელება ძალიან კარგი იქნებოდა. თუმცა საქართველოშიც მეგულება კვალიფიციური არბიტრები, რომლებიც ნებისმიერი რანგის მატჩს უმაღლეს დონეზე მოემსახურებიან. თუკი უცხოური ბრიგადის ჩამოყვანა გადაწყდა, საამისო თანხაც მოიძებნება.

ჯემალ ჭიპაშვილი, **ბოლნისის "სიონის" გენერალური მენეჯერი**: - ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ამგვარ ჩანაფიქრს. დაე, იყოს მეტი გადასახადი, მაგრამ დარწმუნებული ვიქნებით, რომ მსაჯი თამაშს ობიექტურად განსჯის... სხვათა შორის, ამ თემაზე კლუბში მცირე ხნის წინ ვისაუბრეთ და ყველამ ერთნაირი აზრი გამოხატა. თასის ნახევარფინალისთვის უცხოელთა მოწვევა ველარ მოხერხდება, ფინალსა და ჩემპიონატის დარჩენილ, ყველაზე მნიშვნელოვან შეხვედრებზე კი, ურიგო არ იქნებოდა, ეს ნაბიჯი გადაგვედგა.

გიორგი დარჯანია, **"ამერის" პრესატაშე**: - ამასთან დაკავშირებით, პრინციპული პოზიცია არ გაგვაჩნია. მაგრამ ამგვარი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კრიტერიუმი უნდა იყოს არა უბრალოდ უცხოური ბრიგადის ჩამოყვანა, არამედ, კვალიფიციური მსაჯების დაქირავება. სხვაგვარად, ეს ფულის უაზრო ხარჯვა იქნება, თორემ "ამერს" ამ იდეის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

ბუბა ტყავაძე, **თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორი**: - ამ საკითხზე ადრეც გამოვხატე პოზიცია. "ამერთან" მატჩამდე უცხოელი მსაჯის მოწვევას ვითხოვდით და მზად ვიყავით, ეს ხარჯი მთლიანად დაგვეფარა. ჩვენთვის მთავარია, მსაჯი იყოს მიუკერძოებელი. დიდი მნიშვნელობა არ აქვს, უცხოელი იქნება თუ ქართველი.

გურამ რუხაძე, **"ვიტ ჯორჯიის" პრეზიდენტი**: - თავად იდეას დადებითად ვუყურებ, მაგრამ დასახვეწია უცხოელთა მოწვევის პრინციპი. თუკი ფეხბურთის ფედერაცია ამას გადაწყვეტს, მაშინ ჩნდება ბუნებრივი კითხვა - ვენდობით თუ არა ქართველ მსაჯებს? ანუ, ნეიტრალურმა სტრუქტურამ უნდა მოიწვიოს. მოკლედ, ფორმაა მოსაძებნი, იდეას კი მივესალმები.

უჩა უგულავა, **ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი**: - საერთოდ, ეს საკითხი პროფლიგისა და თავად კლუბების გადასაწყვეტია. თუკი ასეთი სურვილი იქნა, ჩვენც თანახმა ვიქნებით. სხვათა შორის, "ამერი"-"დინამოს" პირველ სათასო შეხვედრამდე "დინამოს" სურდა უცხოელთა მოწვევა. ალბათ, ასეთ შემთხვევაში თანხა კლუბების გადასახდელი იქნება. თუ ისინი შეთანხმდებიან, მსაჯის მოსაწვევად ნებისმიერ ფედერაციას მივმართავთ.

დიმიტრი რამიშვილი, **პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი**: - უცხოელთა ჩამოყვანა პრობლემას არ წარმოადგენს. ეს პრაქტიკა ბევრ ქვეყანაშია მიღებული. თუმცა, მთავარია, ასეთი სურვილი თავად კლუბებს აღმოაჩნდეთ. მოსწონთ იდეა? შეიძლება, რატომაც არა? ოღონდ, პრინციპულ მატჩებში, ვთქვათ, თასის ფინალში. თანხები? კლუბების გადასახდელი იქნება. რაც მთავარია, კანონი და დებულება ამაში არ გვზღუდავს. ვფიქრობ, იმავე თასის ფინალზე, კლუბებს შეუძლიათ მოილაპარაკონ და სასურველი მსაჯის შერჩევაც შეიძლება. მოკლედ, ამ იდეაში უარყოფითი არაფერია, თუმცა იმასაც გეტყვით, ვერც ამის აუცილებლობას ვხედავ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# ლუქსემბურგმაც მოგვიკითხა

22 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ამხანაგური მატჩის ჩატარებას ეშურება. ამ დღეს, ბრაზილიის ნაკრებთან უნდა გვეთამაშა, მაგრამ "პენტაკამპეონებთან" მორიგება ვერ მოხერხდა (ახლა, სავარაუდო თარიღი 17 ნოემბერია). შესაბამისად, მიდის მოლაპარაკებები სხვა ქვეყნების ასოციაციებთან. რამდენიმე წინადადებაც გვაქვს: საქართველოს ეროვნულ გუნდთან გაჯიბრების სურვილი უელსის, ხორვატიის, ირანის, პარაგვაის, კოლუმბიის, პერუსა და ბოლივიის ნაკრებებმა გამოთქვეს. ამ შვიდეულს გუშინ კიდევ ერთი, ლუქსემბურგიც დაემატა. ისინი თანახმანი არიან, **კლაუს ტოპმიოლერის** კრებულს 22 აგვისტოს თბილისში ან თავის მოედანზე ეთამაშონ.

*"საქართველოსთან ტესტმატჩის ჩატარების მსურველი ლუქსემბურგის ნაკრებიცაა. შესაბამისად, ახლა უკვე 8 ვარიანტი გვაქვს. ვიფიქრებთ და მათგან საუკეთესოს შევარჩევთ. გადამწყვეტი იქნება კლაუს ტოპმიოლერის აზრი. ლუქსემბურგელები მზად არიან, 22 აგვისტოს ვითამაშოთ, ან თბილისში, ან იქ. ასე რომ, არჩევანი ჩვენზეა"* - გვითხრა ფედერაციის გენმდივანმა **უჩა უგულავამ**.



ლუქსემბურგის ნაკრების მწვრთნელი გაი ჰელერსი

შეგახსენებთ, რომ ლუქსემბურგის ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ჰოლანდიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, ბელარუსთან, სლოვენიასა და ალბანეთთან ერთადაა. ხუთ მატჩში მათ მხოლოდ ერთი გოლის (ბელარუსთან შინ, 1:2) გატანა მოახერხეს, ქულაც არ აუღიათ და ცხრილში ბოლო ადგილზე არიან. უკანასკნელ შესარჩევ მატჩში მათ რუმინეთთან გასვლაზე 0:3 წააგეს, თუმცა ფიფას მარტის თვის რეიტინგში ერთბაშად 3 საფეხურით დაწინაურდნენ (?) და ახლა 178-ე ადგილზე არიან. ლუქსემბურგის ნაკრებს **გაი ჰელერსი** წვრთნის. გუნდში რამდენიმე ლეგიონერია, მათ შორის, **ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის** თანაკლუბელი **ჟილე ბეტმერი**.

**დავით ცაბაძე**



ტოპმიოლერებს პორტუგალიაში მზვერავის ფუნქციაც ექნებათ

17-წლამდელთა ნაკრები

# დღეს, მასპინძლებთან...

## პორტუგალიაში ტოპმიოლერებიც ჩავიდნენ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაშია. შეგახსენებთ, რომ **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი პირენეებზე კასტელო ბრანკოს საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს, პორტუგალიისა და დანიის 17-წლამდელთა ნაკრებების გარდა, ოთხთა ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე კასტელო ბრანკოს რეგიონის 18-წლამდელთა გუნდიც იქნება.

ჩვენმა ჭაბუკებმა გუშინ კოვილიის სპორტულ კომპლექსში (სწორედ იმ სტადიონზე, სადაც დღეს სასტარტო მატჩი ელით) ივარჯიშეს. **ჰერბერტ ცანკერის, ლევან ხომერიკის, გელა შეყილაძისა** და **ასლან ბალაძის** განკარგულებაში 18 ფეხბურთელია:

მეკარეები - **დავით მეფარიძე (გაგრა), თორნიკე ნიორაძე (დინამო/აკადემია);**

მცველები - **დათა რიგვავა (ოლიმპი/აკადემია), გიორგი ბაგალიშვილი (ვიტ ჯორჯია), გივი ხაჩიძე (ბათუმი/აკადემია), ერნესტ ახალბედაშვილი, ნუგზარ ჭანკვეტაძე (ორივე დინამო/აკადემია).**

ნახევარმცველები - **მერაბ მამულაძე (ბათუმი), ნიკა ძალამიძე (ბაია, ზუგდიდი), ბექა ქარდავა, ნიკა შონია, ერეკლე ფილია (ყველა ოლიმპი/აკადემია), გიგა მელიქიშვილი (კახეთი), გიორგი გორდეზიანი (ოლიმპი, რუსთავი), დავით ბოლოთაშვილი (დილა);**

თავდამსხმელები - **ირაკლი შეყილაძე (ბაია, ზუგდიდი), შალვა კვანტალიანი (სპარტაკი, თბილისი), გიორგი ვაშაკიძე (დინამო/აკადემია).**

დღეს, პირველ ტურში, ცანკერის გუნდი პორტუგალიელ თანატოლებს დაუპირისპირდება, მეორე ტურის მატჩები უკვე ხვალ, 8 აპრილს შედგება და ამჯერად, ჩვენი გუნდის მეტოქე დანიის 17-წლამდელთა გუნდი იქნება. მესამე ტური კი 10 აპრილსაა დანიშნული. ცანკერსა და მის შტაბს **კლაუს** და **ჰაინც ტოპმიოლერებიც** დაეხმარებიან. ისინი დღეს, გამთენიისას ჩავიდნენ პორტუგალიაში. ამავე დროს, მათ იქ სხვა მისიაც აქვთ. ამას ნაკრები გუნდების მენეჯერი **თამაზ ბოკერია** გვამცნობს:

*"პორტუგალიაში, 17-წლამდელთა ტურნირის პარალელურად, 19-წლამდელთა საერთაშორისო შეჯიბრებაც ჩატარდება. მასპინძლების გარდა, მასში გერმანიის, უკრაინისა და ირლანდიის 19-წლამდელები იასპარეზებენ. სხვათა შორის, ორი თვის წინ, ამ ტურნირზე ჩვენც მივიღეთ მიწვევა, მაგრამ ვინაიდან ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში პორტუგალია ჩვენი მეტოქეა, მონაწილეობაზე უარი ვთქვით. კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერები ამ ტურნირსაც დაესწრებიან და პორტუგალიის ნაკრებს დეტალურად შეისწავლიან".*

**დავით ცაბაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ლეგიონერები



www.khizanishvili.com

# ხიზანიშვილი ოპერაციას გადაურჩა?

## მოინახულეთ ზურას გვერდი ინტერნეტში

**ზურაბ ხიზანიშვილმა** ევროპაში მიღებული ტრადიცია აიტაცა და საკუთარი შექმნა. საქართველოს ნაკრებისა და "ბლექბერნის" მცველის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია www.khizanishvili.com. ზურაბს შოტლანდიაში ყოფნის დროს გაუჩნდა ეს იდეა, რომელიც გლაზგოში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა, **დავით სირაძემ** და **ნოდარ დავითურმა** წელს განახორციელეს. ვებ-გვერდი ახლახან ამუშავდა, ის ჯერ მხოლოდ საინფორმაციო-გაცნობითი ხასიათისაა, მასში ქართველი მცველის ბიოგრაფია და კარიერაა წარმოდგენილი. თუმცა, უახლოეს პერიოდში, შესაძლებელი გახდება ახალი ინფორმაციებისა და უცხოურ მედიაში გამოქვეყნებული სტატიების გაცნობაც.

დღეისთვის, ხიზანიშვილი ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომლის ვებგვერდიც მუშაობს. **კახა კალაძემ**, რატომღაც, საკუთარი მისამართი აღარ განაახლა. ასეთივე სიტუაციაა **გიორგი დემეტრაძისა** და **დავით გვარამაძის** საიტებზეც. საქართველოში ბევრი ვერ აცნობიერებს პერსონალური ინტერნეტგვერდის მნიშვნელობას. ინფორმაციას რომ თავი დავანებოთ, ეს მოთამაშის იმიჯისა და სოლიდურობის მაჩვენებელია, ფეხბურთელს უფრო ცნობადს ხდის და წინსვლაშიც ეხმარება.

ახლა, რაც შეეხება უფრო მნიშვნელოვანს. ექიმები ხიზანიშვილისთვის ოპერაციის გაკეთებას არ ჩქარობენ. შესაძლოა, ზურაბმა საზარდული ქირურგიული ჩარევის გარეშეც, ნემსებით მოირჩინოს. ის ახლა დროებით ისვენებს და ექიმების საბოლოო ვერდიქტს ელოდება, ეს კი უახლოეს კვირებში გახდება ცნობილი.

**მერაბ მამულაშვილი**

# ფოფხაძე: პირველი სრული მატჩი


გიორგი ფოფხაძე

**დანია.** ჩემპიონატში ბოლო დროს ცუდად გამოდის 20 წლის ქართველი მცველის **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი", რომელიც, მართალია, კვლავ მეცხრე ადგილზეა, მაგრამ რეგრესი აშკარაა: სეზონის განახლების შემდეგ, **ანდერს ლინდეროტის** თავკაცობით გუნდმა ოთხ მატჩში მხოლოდ ოთხი ქულა დააგროვა, ბოლო ორი შეხვედრა კი საერთოდ წააგო. დანიური უმაღლესი ლიგის (12-გუნდიანი სუპერლიგენი) XXII ტურში "ვიბორგი" შინ მესამეადგილოსან "ოდენსესთან" 0:2 დამარცხდა. "ვიბორგმა" 22 მატჩში ამდენივე ქულა მოაგროვა.

"ოდენსესთან" შეხვედრაში გიორგი ფოფხაძე სასტარტოში იყო. პირველად, მას შემდეგ, რაც ქართველი დანიაში გადაბარგდა, ჩემპიონატის მატჩში მოედანზე 90 წუთი დაყო. პირველ წრეში ფოფხაძემ მხოლოდ ერთხელ ითამაშა შეცვლაზე, წლეულს კი ორჯერ შეცვალეს. მისთვის, "ოდენსესთან" მატჩი "ვიბორგულ" კარიერაში სულ მეოთხე იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მელქაძემ გოლების ათვლა დაიწყო

**ყაზახეთი.** კიდევ ერთი ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი ფეხბურთელები თამაშობენ. ყაზახთა სუპერლიგაში უკვე ორი ტური გაიმართა. პირველ დღეს, ვეტერანი ქართველი ნახევარმცველის **გიორგი გოგიაშვილის** ახალი კლუბი "კაისარი" შინ "აქტიობეს" ილებდა. მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა, გიორგი კი სასტარტო შემადგენლობაში იყო. 65-ე წუთზე ის **ჟუნისბეკოვმა** შეცვალა. ყიზილორდაში ამ მატჩს 1000 გულშემატკივარი დაესწრო.

ყარაღანდაში, საკმაოდ გაძლიერებულმა "შახტიორმა" "ვოსტოკის" დამარცხება ვერ შეძლო - 1:1. მასპინძელთა გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ერთბაშად სამი ქართველი იყო: **გიორგი გაბიდაური,** კლუბის ახალწვეული **ლევან მელქაძე** და ყაზახეთის ნაკრების გოლკიპერი **დავით ლორია**. უსტკამენოგორსკელთა რიგებშიც ორი ქართველი თამაშობდა: **ზვიად ჯელაძე** და **კახა ჟვანია**. ეს უკანასკნელი მოედანზე 67-ე წუთზე შევიდა, ჯელაძემ კი სრულად ითამაშა. მატჩს 4 ათასი მაყურებელი დაესწრო. 58-ე წუთზე, მელქაძე ლატვიელმა **მიხაილ მიხოლაპსმა** შეცვალა, გაბიდაურმა კი 90 წუთი დაყო მოედანზე. მასპინძლები ნაგებას მე-80 წუთზე, **ფინონჩენკოს** პენალტით გადაურჩნენ.

**ზურაბ არჩვაძის** "ეკიბასტუზეცი" "ქაირათთან" სტუმრად 0:1 დამარცხდა. არჩვაძემ სრულად ითამაშა.

მეორე ტურში "კაისარმა" "ალმა ათა" 1:0 დაამარცხა. გოგიაშვილმა 63-ე წუთამდე ითამაშა. პირველ ტურში წაფორხილებულმა "შახტიორმა" "ესილ ბაგატირს" გადაუარა - 5:1. 89-ე წუთზე, ყაზახეთში თავისი პირველი გოლი გაიტანა "ვოლერენგას" ყოფილმა ფორვარდმა ლევან მელქაძემ და ამით წერტილი დაუსვა "ესილ ბოგატირის" რბევას. გაბიდაური 81-ე წუთზე შეცვალეს. ამჯერად, ყარაღანდაში მხოლოდ 2 ათასი მაყურებელი მივიდა თამაშზე.

"ვოსტოკი" სტუმრად 0:3 დამარცხდა "თარაზთან". ჯელაძემ 90 წუთი ითამაშა, ჟვანია კი მოედანზე 43-ე წუთზე გამოჩნდა. "ეკიბასტუზეცმა" გასვლაზე 2:3 დათმო "ჟეტისუსთან". არჩვაძემ კვლავ 90 წუთი ითამაშა. ორი ტურის შემდეგ, გაბიდაურისა და მელქაძის "შახტიორს" 4 ქულა აქვს, ისევე, როგორც გოგიაშვილის "კაისარს". ჯელაძისა და ჟვანიას "ვოსტოკს" ჯერ მხოლოდ ქულა აქვს, ხოლო არჩვაძის "ეკიბასტუზეცს" არც ერთი. ცნობისთვის, "შახტიორის" პრეზიდენტი **გრიგოლ ლორიაა**, გუნდს კი ფინელი **იუჰა მალინენი** წვრთნის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფიფა-უეფა

# ხელისუფლება ფეხბურთში ვეღარ ჩაერევა

30 მაისს, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ფიფას მორიგი კონგრესი გაიმართება. წინა დღეს კი, იქვე, ჩატარდება უეფას კონგრესიც. ფიფა და უეფა თავიანთ წესდებებში ცვლილებების შეტანას აპირებენ. ფეხბურთში ხელისუფლების ჩარევის საწინააღმდეგო მექანიზმი აქამდეც არსებობდა, მაგრამ ხსენებული ღონისძიებების შემდეგ, ეს მექანიზმი უკვე კანონის ძალას მიიღებს. საფეხბურთო საქმეებში სახელმწიფო სტრუქტურების ჩარევის თავიდან ასაცილებლად, ფიფასა და უეფას წესდებებში სპეციალური პუნქტი ჩაიდება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება 11-12 აპრილს უეფას შტაბბინაში გასამართი შეხვედრა. **მიშელ პლატინი** და უეფას სხვა ხელმძღვანელები ნიონში ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციათა პრეზიდენტებსა და გენერალურ მდივნებს უმასპინძლებენ. **ნოდარ ახალკაცი** უკვე გაემგზავრა ევროპაში. მალე, ნიონს **უჩა უგულავაც** მიაშურებს.

**დავით ცაბაძე**

# მუჯირს სამინისტრო დაეხმარა

რუსებმა **დავით მუჯირის** სავიზო პრობლემების შესახებ ინფორმაცია საპირველაპრილოდ გაავრცელეს და ბევრმა მართლა დაიჯერა, რომ ეს ტყუილი იყო. სინამდვილეში, რაც დავითს გადახდა, ცნობილია: ფარერებთან თბილისური მატჩის შემდეგ ერთი კვირა რუსეთის ვიზას ელოდა და მხოლოდ 5 აპრილს მოახერხა სამარაში ჩასვლა. ამის გამო, მუჯირმა ჩემპიონატის შეხვედრა გამოტოვა და სავარჯიშო პროცესიც ჩაუვარდა.

სამარის "კრილია სოვეტოვის" პრეზიდენტმა **ალექსანდრ ბარანოვსკიმ** კლუბის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში საინტერესო დეტალები გაამხილა:

*"სულაც არ აღმოჩნდა იოლი ამ პრობლემის მოგვარება. მუჯირისთვის ვიზა რომ მიეცათ, საამისოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან აუდიენციას მივაღწიე. საბედნიეროდ, დათოს წვალება დასრულდა და რუსეთში სამუშაო ვიზა მიიღო. ამიერიდან, ნაკრებში გამოძახების შემთხვევაში, რუსეთში დაბრუნებისას პრობლემა აღარ შეექმნება".*

როგორც გავარკვიეთ, მუჯირი სამარაში თურქეთის გავლით ჩაფრინდა. ასეა, რუსებმა მარტო ქართველებს არ შეუქმნეს პრობლემა, თავისიანებიც გვარიანად გააწვალეს. ფაქტია, რომ სამარელთა მწვრთნელმა **სერგეი ობორინმა** "მოსკვასთან" სათასო მატჩში შეტევის სისუსტე მუჯირის არყოფნითაც ახსნა.

# შოთა პოსტსაბჭოელებში მეხუთეა

"სპორტ-ექსპრესმა" მარტის საუკეთესო პოსტსაბჭოელი მოთამაშე გამოავლინა. "სევილიისა" და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელ **ალექსანდრ კერჟაკოვს** უდავოდ წარმატებული თვე ჰქონდა კლუბშიც და ეროვნულ გუნდშიც. ამიტომ, მისი პირველობა ლოგიკურია. კერჟაკოვმა 72 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ **ანდრეი შევჩენკოს** მთელი 30 ქულით გაასწრო. "ჩელსის" ფორვარდის ეს პოზიცია, ცოტა არ იყოს, გასაოცარია, რადგან მესამე-მეოთხე ადგილზე გასულმა, მისივე თანამემამულე **ანდრეი ვორონინმა** ("ლევერკუზენის" ფორვარდი) და **შოთა არველაძემ** მეტი შედეგიანობა აჩვენეს. შოთა ვორონინს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა.

გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ არსებობს ერთგვარი მედიადაჯგუფებები. ასე მაგალითად, სომხები ქართველებს პირველ ადგილზე თითქმის არ ასახელებენ. რუსები კი მათი მოთამაშეების კონკურენტებს ბოლო ადგილზე ამწესებენ და ა.შ. ტრადიციულად, ჩვენი ფეხბურთელებისადმი კეთილგანწყობილნი უზბეკი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტები არიან *(ლოგიკურად ისმის კითხვა: აქვს კი აზრი ასეთ გამოკითხვას? - რედ).*

მარტის საუკეთესოებში ერთი ქართველიც მოხვდა: ყაზახეთის ნაკრების მეკარე **დავით ლორია**. სერბების დამარცხებაში (2:1), უდიდესი როლი სწორედ მას მიუძღვის. ლორიამ მეექვსე ადგილი დაიკავა.

საერთო ჩათვლაში შოთა არველაძე, 56 ქულით, მეხუთე პოზიციაზეა, ლორია კი მეცამეტეზე 21 ქულით. შეგახსენებთ, რომ მარტში შოთამ 5 გოლი გაიტანა: ორჯერ თავი ჰოლანდიის ჩემპიონატში გამოიჩინა, ორჯერ უეფას თასზე ("ნიუკასლთან") და ერთხელაც საქართველოს ნაკრებში (შოტლანდიასთან).

*"არ დაგავიწყდეთ, ამ ყველაფერს არველაძე მუხლის მუდმივი ტკივილის ფონზე ახერხებს. ქართველი თავდამსხმელი ჩვენი კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მონაწილეა, სტაბილურობა კი, როგორც ცნობილია, კლასის მთავარი მაჩვენებელია"* - წერს "სპორტ-ექსპრესი".

**მერაბ მამულაშვილი**

ახალი კურატორი

# კოტრიკაძე საქმეს შეუდგა


სერგო კოტრიკაძე

სახელგანთქმული ვეტერანი მეკარე **სერგო კოტრიკაძე** რამდენიმე წელია, აქტიურადაა დასაქმებული ქართულ ფეხბურთში. ფედერაციის პრეზიდენტად **ნოდარ ახალკაცის** მოსვლის შემდეგ, ის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტში მუშაობს. ამ ცოტა ხნის წინ ბატონ სერგოს კიდევ ერთი საქმე დაემატა. ის სამი ასაკობრივი ნაკრების (21, 19 და 17-წლამდელები) კურატორია. ამ პოსტზე, კოტრიკაძე უკვე შეუდგა საქმიანობას. 21-წლამდელთა ნაკრებს ის თურქეთის მოსამზადებელ შეკრებაზე ახლდა. ახალი კურატორი ტრაბზონიდან გარკვეული შთაბეჭდილებებით დაბრუნდა და მასთან ინტერვიუს მომავალ კვირას შემოგთავაზებთ.

**დავით ცაბაძე**

## თარიღი

**7 აპრილი, 1956 - დაიბადა დავით მუჯირი. სსრ კავშირის ჩემპიონი (1978), მეორე პრიზიორი და ოთხგზის მესამე პრიზიორი; სსრ კავშირის თასის მფლობელი. ოლიმპიურ ნაკრებში ითამაშა ერთი მატჩი.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს სახელოვან ვეტერან ფეხბურთელს ალექსანდრე ჩივაძეს.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პასუხისმგებელ მდივანს კარლო ხორავას.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# ოსასუნა ცალი ფეხით ნახევარფინალში

## ვან გაალი: ფრე, მით უმეტეს, 0:0 მისაღებია, ბრემენში თავისუფლად ვითამაშებთ!

**ლევერკუზენი-ოსასუნა 0:3**

**ლევერკუზენი:** ადლერი, კასტრო (69. ატირსონი), ჟუანი, ჰაგი, ბაბიჩი, როლფესი, შნაიდერი, ბარბარესი, ბარნეტა, ვორონინი, კისლინგი (46. ფრაიერი).

**ოსასუნა:** რიკარდო ლოპესი, ისკუერდო, კრუჩაგა, კუელიარი, კორალესი, ხუანფრანი (66. ვალდო), რაულ გარსია (82. მუნიოსი), ერიკე, დავიდ ლოპესი, სოლდადო (72. ვებო), მილოშევიჩი.

**გოლები:** 0:1 კუელიარი (1), 0:2 დ. ლოპესი (71), 0:3 ვებო (73).

**გაფრთხილება:** 1-3.

**მაყურებელი:** 22 500

**ალკმაარი-ვერდერი 0:0**

**ალკმაარი:** ვატერმანი, სტეინსონი, იალიენსი, დონკი, დე კლერი, დე ზეუვი (76. ლუირინკი), იენერი (87. ლენსი), მარტენსი, დემბელე, კუვერმანსი (83. კზიომერი), არველაძე.

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, ოვომოიელა, ვრანიეში, დიეგო, უგო ალმეიდა (67. ჰანტი), კლოზე.

**გაფრთხილება:** 2-1.

**მაყურებელი:** 17 000

**ესპანიოლი-ბენფიკა 3:2**

**ესპანიოლი:** ირაისოსი, საბალეტა (69. ლაკრუსი), ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, მოიზეს ურტადო, რუფეტე (80. იტო), რიერა, დე ლა პენია, ტამუდო (53. პანდიანი), ლუის გარსია.

**ბენფიკა:** ქუიმი, ნელსონი, ანდერსონი, დავიდ ლუისი, ლეო, პეტი, კარაგუნისი, ჟოაო კოიმბრა (36. რუი კოშტა), სიმაო, ნუნუ გომეში, დერლეი (57. მიკოლი).

**გოლები:** 1:0 ტამუდო (15), 2:0 რიერა (33), 3:0 პანდიანი (58), 3:1 ნუნუ გომეში (63), 3:2 სიმაო (65).

**გაფრთხილება:** 2-2.

**მაყურებელი:** 35 000

**სევილია-ტოტენჰემი 2:1**

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, ხავი ნავარო, ესკუდე, დავიდი (68. დრაგუტინოვიჩი), პოულსენი, რენატო (61. მარტი), ხესუს ნავასი, ადრიანო, კანუტი, კერჟაკოვი.

**ტოტენჰემი:** რობინსონი, სტალტერი, დოუსონი, შიმბონდა, ლი, ლენონი (80. მალბრანკი), ზოკორა, ჯენასი, ტაინიო (84. გელი), ბერბატოვი, რობი კინი.

**გოლები:** 0:1 რობი კინი (2), 1:1 კანუტი (19-პენ), 2:1 კერჟაკოვი (36).

**გაფრთხილება:** 1-4.

**მაყურებელი:** 32 000

**შოთა არველაძის** "ალკმაარმა" უეფას თასის ფავორიტად შერაცხულ "ვერდერს" ვერ მოუგო და არც წააგო, ფრე კი ისეთი დაფიქსირდა, ფრის კვალობაზე უფრო "ალკმაარს" რომ აძლევს ხელს - 0:0, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წყვილში ფავორიტად შერაცხულმა ბრემენელებმა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი უფრო გაიზარდეს, მაგრამ საპასუხო მატჩში ერთი გოლი რომ გაუშვან, მინიმუმ ორი ექნებათ გასატანი.

**ლუი ვან გაალმა** ზუსტად ის ფეხბურთელები ათამაშა, რომლებმაც AZ-ს "ნიუკასლთან" საპასუხო მატჩი მოაგებინეს და მეოთხედფინალში გაიყვანეს. "ვერდერის" თავკაცმა **თომას შააფმა** კი, ბუნდესლიგის ბოლო მატჩისგან განსხვავებით (0:0 კოტბუსში), ძირითადი შემადგენლობა ორ პოზიციაზე შეცვალა: **დანიელ იენსენისა** და **აარონ ჰანტის** ნაცვლად სასტარტოში **პატრიკ ოვომოიელა** (საყრდენის პოზიციაზე) და **უგო ალმეიდა** ვიხილეთ. პირველ წუთებში საინტერესო არაფერი მომხდარა - მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ნელ ტემპში დაიწყო და აშკარა გახლდათ, რომ რისკზე წასვლის სურვილი არცერთ გუნდს არ ჰქონდა. შესაბამისად, გასაკვირია, მე-11 წუთზე "ალკმაარის" კართან ძალიან სახიფათო მომენტი რომ შეიქმნა: "მუსიკოსთა" მარჯვენა მცველმა **კლემენს ფრიტცმა დიეგოსთან** ჩინებული კომბინაცია გაითამაშა და ჰოლანდიელთა კარის დარაჯ **ვატერმანთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა სიმშვიდე შეინარჩუნა და თავისიანები გაშვებული გოლისგან იხსნა. აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ პირველი ტაიმის ყველაზე რეალური საგოლე მომენტი, რომელიც, ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი, გამოუყენებელი დარჩა.

ორივე გუნდს აქცენტი მოედნის ცენტრზე ჰქონდა გადატანილი, მცველები შეუვალნი და უშეცდომონი იყვნენ. ასე რომ, მომდევნო მეტ-ნაკლებად საგოლე მომენტი 31-ე წუთზე შეიქმნა, როცა **იენერის** ჩაწოდებას **მარტენსი** გამოეხმაურა, მაგრამ **ტიმ ვიზემ** ბურთი ჩინებულ ნახტომში მოიგერია. ეს იყო და ეს, პირველ ნახევარში მეტი არაფერი მომხდარა და არცაა გასაკვირი, ტაიმის ბოლოს სტადიონ DSB-ზე სტვენა რომ გაისმა. როგორც ჩანს, ფანების ასეთმა რეაქციამ ფეხბურთელები გამოაფხიზლა, რადგან მეორე ტაიმი ორივე გუნდმა გაცილებით აქტიურად დაიწყო. 47-ე წუთზე **კუვერმანსის** გამჭოლი პასით **დემბელემ** ვერ ისარგებლა (წამით დააგვიანა), მეორეს მხრივ კი, **პიერ ვომეს** შორეული დარტყმა ვატერმანმა გააუვნებელჰყო (50). ზუსტად 4 წუთის შემდეგ "ალკმაარს" მორიგი მომენტი შეექმნა: კუვერმანსის ჩაწოდების შემდეგ "ვერდერის" დაცვის ბურჯმა **ნალდომ** ბურთი პირდაპირ დემბელეს მიართვა, რომელსაც ისევ ვიზემ შეუშალა ხელი. იმავე ვიზემ 55-ე წუთზე კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ოსტატობა, როცა კუვერმანსის შორეული დარტყმა მოიგერია.

მეორე ტაიმის ყველაზე ამაღელვებელი სცენა 62-ე წუთზე დაფიქსირდა: ვომემ ბურთის ვიზესთვის დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ ეს ძალიან უხეიროდ გააკეთა და "მუსიკოსთა" კარის დარაჯს სპურტი დასჭირდა იმისათვის, რომ ბურთისკენ მოძრავი არველაძისთვის ესწრო, საბოლოო ჯამში მომენტი განიმუხტა. 69-ე წუთზე ვომემ კიდევ ერთი უსუსური შეცდომა დაუშვა: თავით ბურთს ვიზეს უბრუნებდა, მაგრამ ეს არაზუსტად გააკეთა. ბურთი "ვერდერის" კარის დარაჯს ასცდა და კარისკენ წავიდა, მაგრამ კამერუნელმა მცველმა შეცდომა გამოასწორა, ბურთს დაეწია და მომენტი განმუხტა. ვომე შეტევაში უფრო ვარგოდა: 74-ე წუთზე მან 17 მეტრის დისტანციიდან ჯარიმა კარგად შეასრულა, მაგრამ ვატერმანი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ბოლო წუთებზე ვან გაალის შეგირდებმა მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერეს, მაგრამ მომენტი აღარ ჰქონიათ და საბოლოოდ უგოლო ფრეზე მოუხდათ დაყაბულება. აქვე, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: 77-ე წუთზე მსაჯმა **ბენკერენსამ სტეინსონს** ყვითელი ბარათი მისცა და რატომღაც ჩათვალა, რომ ეს "ალკმაარის" მარჯვენა მცველისთვის მეორე გაფრთხილება იყო, რის გამოც წითელიც აუფრიალა. თუმცა ალკმაარელთა პროტესტის შემდეგ არბიტრმა შეცდომა აღიარა, სტეინსონს ბოდიში მოუხადა და მოედანზე დატოვა.

**ლუი ვან გაალი**: *"ფრე ჩემთვის მისაღები შედეგია, მაგრამ თუ დღეს ვინმე გამარჯვებას იმსახურებდა, პირველ რიგში, ეს ჩვენზე ითქმის. ბრემენელებმა მხოლოდ ერთი რეალური საგოლე მომენტი შეგვიქმნეს და მაშინაც ვატერმანმა გადაგვარჩინა. მეორე ნახევარში დემბელეს ორჯერ შეეძლო ჩვენი დაწინაურება, მაგრამ ვერცერთხელ ივარგა. "ვერდერთან" ასეთი შანსები უნდა გამოიყენო. სხვათა შორის, ფეხბურთელები ჩემზე მეტად არიან გაბრაზებულები იმის გამო, რომ ვერ მოიგეს. მიხარია, რომ ბუნდესლიგის ტოპ-გუნდთან თამაშს ვაკონტროლებდით. სულ ვამბობდი, რომ საშინაო მატჩი უფრო რთული იქნება-მეთქი. ვფიქრობ, ბრემენში "ვერდერი" უფრო შემტევ ტაქტიკას აირჩევს და ჩვენც უფრო თავისუფლად ვიასპარეზებთ."*



არბიტრი ბენკერენსა ალკმაარელ სტეინსონს ბოდიშს უხდის




ლევერკუზენმა ბრძოლა პირველსავე რაუნდში დაამთავრა

**თომას შააფი**: *"საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ, რადგან გოლი არ გავუშვით. ფრიტცს რომ გაეტანა, ძალიან კარგი იქნებოდა. ახლა ბრემენში უნდა მოვიგოთ. ჩვენი შანსები გაიზარდა."*

მერვედფინალის საპასუხო მატჩში "ლევერკუზენმა" "ლანსს" 3:0 მოუგო, რის შემდეგაც, "ფარმაცევტები" უეფას თასის ერთ-ერთ ფავორიტებად შევრაცხეთ, მაგრამ გუშინწინ დამტკიცდა, რომ სასტიკად შევცდით. "ბაიერნი" ბოლო დროს ჩინებულ ფორმაშია, ბუნდესლიგაში ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და უეფას თასზეც სოლიდური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მხოლოდ გუშინწინამდე - **მიხაელ სკიბეს** შეგირდებმა "ოსასუნასთან" პირველი მატჩი, საკუთარ კედლებში 0:3 წააგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნახევარფინალზე ოცნების უფლება ჯერ კიდევ აქვთ, მაგრამ სამბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა, ცოტა არ იყოს, არარეალურია.

"ფარმაცევტებს" ოცნების კოშკები პირველსავე წუთზე თავზე ჩამოენგრათ - 53-ე წამზე პამპლონელებმა კუთხური ჩააწოდეს, "ლევერკუზენის" საჯარიმოში ყველას **კუელიარმა** აჯობა, **ბარბარესს** დაასწრო და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ სკიბეს ბიჭები ყველანაირად ცდილობდნენ ესპანელთა დაცვის გარღვევას (პამპლონელები თავს 8 კაცით იცავდნენ), მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ. ოსასუნელები ჭკვიანურად თამაშობდნენ, საკუთარი კარის მისადგომები კარგად ჰქონდათ ამოკეტილი და შანსს კონტრშეტევებზე ეძებდნენ. **რენე ადლერმა** მეორე ბურთი 71-ე წუთზე, ისევ კუთხურიდან გაუშვა: ჩაწოდების შემდეგ **სავო მილოშევიჩმა** ჩინებულად უპასა **დავიდ ლოპესს**, რომელმაც ზედ საჯარიმოს ხაზიდან ადლერს აუღებელი დაურტყა - ახალგაზრდა გერმანელი მეკარე უშანსოდ იყო. "ფარმაცევტებმა" ხეირიანად ამოსუნთქვაც ვერ მოასწრეს, რომ "ოსასუნამ" მესამეც შეაგდო: ისევ მილოშევიჩის ჩინებული პასი, ამჯერად **ვებოს** მისამართით და 0:3!

"სევილიამ" საკუთარ "სანჩეს პისხუანზე" "ტოტენჰემს" უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემტევი გუნდია, მაინც არავინ ელოდა, რომ ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გაიხსნებოდა. თანაც, სტუმრებმა იხეირეს. გოლი "ტოტენჰემის" თავდასხმის ჩინებული დუეტის დამსახურებაა: "მამლების" ირლანდიელმა გოლეადორმა **რობი კინმა დიმიტარ ბერბატოვის** შესანიშნავი პასით ისარგებლა და **ანდრეს პალოპი** დაამწუხრა, არადა, მეკარემ, რომელმაც მერვედფინალის საპასუხო მატჩში "შახტარს" გოლი გაუტანა, კინს პირველი დარტყმა აუღო, სამაგიეროდ, განმეორებითის დროს უშანსოდ დარჩა.

კინის გოლის შემდეგ "სანჩეს-პისხუანის" პუბლიკამ საყვარელ გუნდს უფრო აქტიურად დაუწყო ქომაგობა და გულანთებულ ფანებს იმედები არც სევილიელმა ფეხბურთელებმა გაუცრუეს: მე-17 წუთზე **პოლ რობინსონმა ადრიანო კორეიას** წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა, რომელიც კანუტმა უპრობლემოდ აქცია გოლად. მერე **მარტინ იოლის** შეგირდებიც გააქტიურდნენ და წინ გასვლის შანსი მალევე მიეცათ, მაგრამ ბერბატოვს პალოპმა აუღო. ამის შემდეგ მომენტები მეტწილად მხოლოდ რობინსონის კართან იქმნებოდა. ინგლისის ნაკრების გოლკიპერმა **ხესუს ნავასის** შორეული დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ 36-ე წუთზე რუსი **ალექსანდრ კერჟაკოვის** წინააღმდეგ უკვე ველარაფერი გააწყო: შესანიშნავ ფორმაში მყოფი კერჟაკოვი **ჟულიენ ესკუდეს** ჩაწოდებას გამოეხმაურა და აბსოლუტურად თავისუფალმა, ბურთი რობინსონის კარში თავით გადაგზავნა.

მეორე ტაიმში სწრაფი ტემპი შენარჩუნდა და უნდა აღინიშნოს, რომ "ტოტენჰემი" სევილიაზე ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდა. ამასთან, თამაში უფრო უხეში გახდა. 58-ე წუთზე კინს წონასწორობის აღდგენა შეეძლო, მაგრამ ოდნავ ააცილა. მასპინძლები კი შესამჩნევად უყურადღებოდ თამაშობდნენ, თორემ კანუტი დუბლს მიითვლიდა (მალელმა ადრიანოს ჩინებული პასი ვერ გამოიყენა). მატჩის მიწურულს კიდევ რამდენიმე მომენტი შეიქმნა: ბერბატოვს ძალა აღარ ეყო და კარგ პოზიციაში მყოფმა ბურთი დაკარგა, კანუტმა ახლო მანძილიდან ააცილა, **დანიელ ზოკორამ** და **სტიდ მალბრანკმა** კი კიდევ ორი მომენტი გაანიავეს. საბოლოოდ 2:1, რაც "ტოტენჰემს" საპასუხო მატჩის წინ ძალიან კარგ შანსს უტოვებს - "მამლებს" უეფას თასის მოქმედი გამარჯვებულის ტურნირს მიღმა დატოვება შეუძლიათ.

"ესპანიოლი" "ბენფიკას" 63-ე წუთისთვის 3:0-ს უგებდა და ეს ანგარიში რომ შეენარჩუნებინა, ცალი ფეხით ნახევარფინალში იქნებოდა, მაგრამ ლისაბონელებმა ორ წუთში ორი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანეს. კატალონიელები **რაულ ტამუდოს, ალბერტ რიერასა** და **ვალტერ პანდიანის** გოლებით იგებდნენ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში უკვე მე-10 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობს (ცნობისთვის, არველაძეს 7 გოლი აქვს). "ბენფიკას" მხრიდან კი, 63-ე და 65-ე წუთზე **ნუნუ გომეშმა** (**ფაბრიციო მიკოლის** პასით) და **სიმაომ** (დარტყმამდე ორი მცველი ჩამოიშორა) იხეირეს. ბოლოს მიკოლის წონასწორობის აღდგენა მართებდა, მაგრამ ვერ ივარგა, თუმცა "ბენფიკასთვის" 2:3-იც მისაღები ანგარიშია, მით უმეტეს, რომ პორტუგალიური გრანდი 0:3-ს აგებდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი

# ისევ არეულობა და ისევ ინგლისელები

## რომის შემდეგ ვნებები სევილიაშიც ადუღდა...

"ტოტენჰემი" ესპანურ პოლიციას ინვალიდი ფანის ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს. ხუთშაბათს, "სევილიასთან" უეფას თასის პირველი მეოთხედფინალის შესვენებისას, "სანჩეს პისხუანზე" დიდი ამბავი ატყდა. ორგანიზატორებმა უმალ პოლიციის გაძლიერებულ რაზმებს უხმეს და სტუმარ ქომაგებს მიუსიეს. "ტოტენჰემის" პრესოფიცერმა **ჯონ ალექსანდერმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ჩვენს ინვალიდ გულშემატკივარს ისეთი ძალით ჩასცხეს ხელჯოხი, რომ ის ეტლიდან გადმოვარდა."* უეფამ მომხდარის გამოძიება დაიწყო. ლონდონელებმა გამომძიებლებს სრული მხარდაჭერა აღუთქვეს. *"როგორც ვიცით, ესპანელ და ინგლისელ ფანებს არ უჩხუბიათ. ამიტომ დაჟინებით ვითხოვთ პასუხს კითხვაზე: რატომ გაუსწორდა პოლიცია ჩვენს ფანებს ასე დაუნდობლად? "ტოტენჰემის" ფანები მთელს ევროპაში წესიერებითა და კანონმორჩილებით გამოირჩევიან. ის, რაც სევილიაში მოხდა, უპრეცენდენტო და გაუგონარია. მზად ვართ, ვითანამშრომლოთ უეფასთან, ბრიტანეთის საელჩოსა და ესპანეთის ხელისუფლებასთან, რათა გავიგოთ, რა მოხდა,"* - ვკითხულობთ "ტოტენჰემის" ოფიციალურ განცხადებაში.



არეულობა სევილიის სანჩეს პისხუანზე

პოლიციის გააქტიურება ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ტაიმის მიწურულს, სტუმართა კარში საეჭვო პენალტი დაინიშნა. ინგლისელი ფანები მსაჯის გადაწყვეტილებას სტვენითა და ღრიალით შეხვდნენ. ამ დროს მათ სექციაში სამართალდამცველები შეიჭრნენ და ქომაგებს ხელჯოხები დაუშინეს. ვნებათაღელვა მხოლოდ მას მერე ჩაცხრა, რაც "ტოტენჰემის" მესვეურებმა დაარწმუნეს ესპანური მხარე, რომ პოლიცია სასწრაფოდ უკან გაეხმოთ.

ორი დღით ადრე არეულობა მოჰყვა "რომა"-"მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრასაც და იმ არეულობაშიც ინგლისელი ფანები ფიგურირებდნენ. ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია კატეგორიულად უარყოფს სპეკულაციებს იმის შესახებ, რომ ერთ ან მეორე შემთხვევას, შეიძლება, "იუნაიტედის" ან "ტოტენჰემის" დასჯა მოჰყვეს.



კარლოს ტევესი

ლივერპული

# ტევესიც ენფილდზე?

## ბენიტესმა ვარსკვლავებისთვის ახალი კონტრაქტები მოითხოვა...

"ლივერპული" თავკაცი **რაფა ბენიტესი კარლოს ტევესის** შეძენას აპირებს. იანვრის ტრანსფერებისას მან **ხავიერ მასკერანო** გადაიბირა. ტევესი და მასკერანო კი ინგლისში ერთად ჩავიდნენ და აგვისტოს ტრანსფერების ბოლო დღეს, ყველასთვის მოულოდნელად, "ვესტ ჰემთან" გააფორმებს ხელშეკრულებას. ტევესმა ბოლო ერთ თვეში რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და "ტოტენჰემს", "ბლექბერნსა" და "მიდლსბროს" გოლები შეუგდო. სენიორ ბენიტესის სიის სათავეშია **სამუელ ეტოო**, მაგრამ არგენტინელი თავდამსხმელის შეძენა გაცილებით იაფად და უმტკივნეულოდ შეიძლება.

მერსისაიდელების თავკაცი წამყვან ფეხბურთელებთან ახალი კონტრაქტების გაფორმებასაც ითხოვს. ზაფხულში **ჩაბი ალონსოს, ჯეიმი კარაგერისა** და **სტივ ჯერარდის** ხელშეკრულებებში ორი წელი იქნება დარჩენილი. ფიფას სატრანსფერო კანონმდებლობით, მათ საკუთარი კონტრაქტების გამოსყიდვა საბაზროსთან შედარებით ბევრად ნაკლებ ფასში შეეძლებათ. ეს ვითარება ევროპულ გრანდებს მადას ულვივებს. ბენიტესს კი სამივე ვარსკვლავის შენარჩუნება სურს. ამერიკელმა მეპატრონეებმა, **ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰიკსმა** მწვრთნელს შემადგენლობის გასაძლიერებლად სოლიდური თანხა აღუთქვეს. თანხის ნაწილი წამყვან ფეხბურთელთა პირობების გადახედვაზე დაიხარჯება. კონტრაქტის გაგრძელების კანდიდატია ესპანელი მეკარე **ხოსე რეინაც**.

### მარადონა: თვითმკვლელობის მცდელობა?

**დიეგო მარადონას** ექიმი კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მისი პაციენტი თავს იკლავდა. 46 წლის ლეგენდა საავადმყოფოში ხუთშაბათს მოათავსეს. ოფიციალური ვერსიით, მას საკვების, სასმელისა და სიგარეტის გადაჭარბებული მოხმარების გამო შეექმნა პრობლემა, თუმცა ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ მარადონა დეპრესიაში იყო. *"არავითარი დეპრესია და არავითარი სუიციდი. რაც მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ რეჟიმის დარღვევის შედეგია, თუმცა მკურნალობის დაწყების შემდეგ უკვე თვალსაჩინო პროგრესს მივაღწიეთ."*

საგანგებო განცხადება გააკეთა **პელემ**: *"ვნუხვარ, რომ ის კვლავ შეუძლოდ გახდა. სამწუხაროდ, ჩვენ ლოცვის მეტი არაფრის გაკეთება შეგვიძლია. ყველაფერი ვიღონე, რომ მარადონას პრობლემების დაძლევაში დავხმარებოდი. მის სატელევიზიო შოუშიც კი მივიღე მონაწილეობა და მის გამოსათხოვარ მატჩში ვითამაშე."*

### სქოულზი ერთ მატჩს გამოტოვებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველ **პოლ სქოულზს** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. "რომასთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალში მან ორი გაფრთხილება დაიმსახურა და 32-ე წუთზე დატოვა მინდორი. მეორე გაფრთხილებაც რომ არა, სქოულზი განმეორებით შეხვედრაში მაინც ვერ ითამაშებდა. მას სასჯელი იამისოდაც (გაფრთხილებების მოჭარბებული რაოდენობის გამო) გარანტირებული ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს ერთი ყვითელი ბარათი რჩება და მინდორზე დაბრუნების შემდეგ ხელახლა გაფრთხილების შემთხვევაში კიდევ ერთი თამაში გაუცდება.



სტენ კროენკე

გარიგება

# არსენალი: ცოტათი ამერიკული

**ბრიტანეთის** უმსხვილესმა კომერციულმა მაუწყებელმა ITV-მ "არსენალის" აქციათა ათპროცენტიანი წილი ამერიკელ **სტენ კროენკეს** მიჰყიდა. მისმა კომპანიამ, "კროენკე სპორტს ინვესტმენტმა" "მეთოფეებთან" თანამშრომლობა თებერვალში დაიწყო, მაგრამ ამჯერად ურთიერთობის სრულიად ახალი ეტაპი იწყება. ამერიკელი მილიარდერის წარმომადგენელი უარყოფს ინფორმაცის, თითქოს მის ბოსს "არსენალის" დასაკუთრება სურდეს.

კროენკე ეროვნული საფეხბურთო ლიგის კლუბ "სენტ ლუის რემსის" ერთ-ერთი მეპატრონეა. ის ერთპიროვნულად ფლობს საკალათბურთო ასოციაციის კლუბ "დენვერ ნაგეტსსა" და ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ "კოლორადო ავალანშს". "არსენალის" საბაზრო ღირებულება დაახლოებით 400 მილიონი გირვანქაა. მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ კროენკე ეტაპობრივად გაზრდის საკუთარ წილს ლონდონურ კლუბში და უახლოეს მომავალში მისი მესაკუთრე გახდება.

ეს სეზონი პრემიერლიგაში ამერიკული ინვესტიციების შემოდინებით აღინიშნა. სეზონის წინ "ასტონ ვილა" **რენდი ლერნერმა** შეიძინა, ერთი თვის წინათ "ლივერპული" **ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰიკსმა** იყიდეს. უფრო ადრე მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედიც" ამერიკელი **მალკოლმ გლეიზერის** ხელში გადავიდა.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტურის წინ

# შალკე: 3 ქულა უსიკვდილოდ

## ბაიერნი შურისძიებას ეცდება...

**დღეს**

პანოვერი-ბაიერნი
ალემანია-ბორუსია (დ)
ჰამბურგი-შტუტგარტი
შალკე-ბორუსია (მ)
ვოლფსბურგი-მაინცი
ჰერტა-არმინია
აინტრახტი-კოტბუსი

**ხვალ**

ვერდერი-ნიურნბერგი
ლევერკუზენი-ბოხუმი

როცა ლიდერი აუტსაიდერს ხვდება, ასეთი თამაშის პროგნოზირება, ერთი შეხედვით, ძალიან იოლია ხოლმე. მიონხენგლადბახის "ბორუსიის" ფეხბურთელებმა ძალიან კარგად უწყიან, რომ "შალკესთან" მატჩში განწირულებად ითვლებიან და სწორედ ამიტომ, გაათმაგებული მონდომებით ითამაშებენ. "შალკე" კი ბოლო დროს ისე იოლად კარგავს ქულებს, რომ ვერავინ იტყვის, გელზენკირხენულ კლუბს ამ შეხვედრაში სამი ქულა განაღდებული აქვსო. ასეა თუ ისე, **ლევან კობიაშვილის** გუნდი ბოლო ადგილზე მყოფ და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ნომერ პირველ კანდიდატს ხვდება და ცხადია, "ხუმარებს" მხოლოდ 3 ქულა დააკმაყოფილებთ.

აღსანიშნავია, რომ "შალკემ" "გლადბახთან" საკუთარ მოედანზე უკანასკნელად 1992/93 წლების სეზონში წააგო (1:2). მას მერე "ხუმარებმა" "ბორუსიას" 11-ჯერ უმასპინძლეს, აქედან 7-ჯერ იმარჯვეს და 4-ჯერ ფრეს დასჯერდნენ (შარშან 1:1). შეგახსენებთ, რომ "შალკეს" წინა ტურში **პეტერ ლოვენკრანდსი** დაუშავდა და ეს უკანასკნელი კობის გუნდს ამ სეზონში ველარ დაეხმარება. დღეს დანიელი ან თანამემამულე **სიორენ ლარსენმა** უნდა შეცვალოს, ანაც **ჯერალდ ასამოამ**. **ფაბიან ერნსტი** დისკვალიფიცირებულია (ისევე, როგორც **ლინკოლნი**), რის გამოც **მირკო სლომკა** ორი საყრდენით ითამაშებს (**კობიაშვილი, ბაირამოვიჩი**), თავდამსხმელების უკან კი, თუ ჩვენი გერმანელი კოლეგების წინათქმას ვენდობით, ახალგაზრდა **მესუთ იოზილს** გაამწესებს.

მესამე პოზიციაზე მყოფ "შტუტგარტს" ჰამბურგში ურთულესი შეხვედრა ელის. **არმინ ფეეს** შეგირდებისთვის წაგება აკრძალულია, რადგან ასეთ შემთხვევაში, დიდი შანსია, რომ შვაბურ კლუბს "ბაიერნმა" გადაასწროს. შვაბებს კვლავ არ ეყოლებათ **მარიო გომესი**, სამაგიეროდ, შესაძლოა, ლაზარეთიდან **ტასკი** და **დელპიერი** დაბრუნდნენ. "შტუტგარტის" წაფორხილება "ბაიერნისთვის" მისწრება იქნებოდა, მაგრამ თვითონ ბავარიელებიც ფრთხილად უნდა იყვნენ - **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი "ჰანოვერში" ჩადის და ხვდება გუნდს, რომელმაც პირველ წრეში უდიდესი სენსაცია გამოაცხო. თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ იმხანად ბოლო ადგილზე მყოფმა "ჰანოვერმა" "ბაიერნს" მიუნხენში 1:0 მოუგო და ის ერთადერთი გოლი **ოლივერ კანის** კარში **ჟაბოლჩ ჰუშტიმ** გაიტანა, რომელიც დღესაც ითამაშებს. რეკორდმაისტერს "მილანთან" შეხვედრაში **ვილი სანიოლი** დაუშავდა, რომელსაც დღეს **კრისტიან ლელი** შეცვლის.

სამშვიდობოს, მაგრამ მაინც შიშის ქვეშ მყოფი "ალემანია" გასავარდნ ზონაში ჩაქვეითებულ "დორტმუნდს" მასპინძლობს და ეს მატჩი BVB-სთვის გადარჩენის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია. "ბორუსიის" თავკაცმა **თომას დოლმა ფლორიან კრინგე** ძირითად გუნდში დააბრუნა და თითქმის ცნობილია, რომ ერთი კვირის წინათ მწვრთნელისგან გუნდიდან მოკვეთილი კრინგე აახენში აუცილებლად ითამაშებს. სამაგიეროდ, დოლის ამნისტია არ შეეხო **ლარს რიკენს**, რომელიც მოყვარულთა გუნდში იასპარეზებს.

ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" ერთმანეთს მეორე წრის ყველაზე უარესი გუნდები შეხვდებიან - "ჰერტა" "არმინიას" მასპინძლობს. ამ გუნდებმა მეორე წრეში მხოლოდ 7-7 ქულა აიღეს, რის გამოც ბერლინელები მეხუთე ადგილიდან მერვემდე ჩამოქვეითდნენ, ბილეფელდელებმა კი სულაც გასავარდნ ზონაში ამოყვეს თავი. დღესვე "ვოლფსბურგი" იმ "მაინცს" მასპინძლობს, რომელმაც ბოლო დროს ოდნავ მოუკლო და გასავარდნ ზონას მხოლოდ 1 ქულა აშორებს. ელიტაში დარჩენისთვის იბრძვიან "აინტრახტი" და "კოტბუსიც".

ხვალ "ვერდერი" "ნიურნბერგს" მასპინძლობს, გუნდს, რომელიც გრანდებისთვის "კერკეტი კაკალია". თანაც, ბრემენელები "ალკმაართან" მატჩის შემდეგ ცოტათი გადაღლილები არიან. "მუსიკოსებს" სტატისტიკის იმედი აქვთ: "ვერდერმა" "ნიურნბერგს" ბოლო 4 საშინაო თამაში მოუგო (ბურთების შეფარდება: 17-4). "ოსასუნასთან" განადგურებული (0:3) და ნირწამხდარი "ლევერკუზენი" კი "ბოხუმს" უმასპინძლებს, გუნდს, რომელმაც "ბაი არენაზე" ბოლო 3 სტუმრობიდან, 2 შემთხვევაში შინ 3 ქულა წაიღო...



შალკეს ქულების განიავების უფლება აღარ აქვს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 27 | 16 | 5 | 6 | 42-27 | 53 |
| 2. ვერდერი | 27 | 15 | 6 | 6 | 61-33 | 51 |
| 3. შტუტგარტი | 27 | 14 | 7 | 6 | 45-31 | 49 |
| 4. ბაიერნი | 27 | 14 | 5 | 8 | 41-31 | 47 |
| 5. ლევერკუზენი | 27 | 12 | 6 | 9 | 43-36 | 42 |
| 6. ნიურნბერგი | 27 | 9 | 14 | 4 | 38-25 | 41 |
| 7. ჰანოვერი | 27 | 9 | 8 | 10 | 33-39 | 35 |
| 8. ჰერტა | 27 | 9 | 7 | 11 | 37-44 | 34 |
| 9. ალემანია | 27 | 9 | 6 | 12 | 42-48 | 33 |
| 10. ჰამბურგი | 27 | 6 | 14 | 7 | 30-27 | 32 |
| 11. ვოლფსბურგი | 27 | 7 | 11 | 9 | 27-30 | 32 |
| 12. კოტბუსი | 27 | 8 | 8 | 11 | 29-36 | 32 |
| 13. აინტრახტი | 27 | 6 | 13 | 8 | 34-45 | 31 |
| 14. ბოხუმი | 27 | 8 | 6 | 13 | 32-42 | 30 |
| 15. მაინცი | 27 | 7 | 9 | 11 | 24-40 | 30 |
| 16. არმინია | 27 | 7 | 8 | 12 | 32-36 | 29 |
| 17. ბორუსია (დ) | 27 | 7 | 8 | 12 | 29-38 | 29 |
| 18. ბორუსია (მ) | 27 | 6 | 7 | 14 | 22-33 | 25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIX ტურის წინ

# ბარსას ეტოო გამოაკლდა

**დღეს**

**სარაგოსა-ბარსელონა**
**ბილბაო-ვალენსია**

**ხვალ**

**ესპანიოლი-სოსიედადი**
**ლევანტე-ბეტისი**
**მალიორკა-ხეტაფე**
**დეპორტივო-ხიმნასტიკი**
**რეკრეატივო-სელტა**
**სევილია-რასინგი**
**რეალი-ოსასუნა**
**ვილიარეალი-ატლეტიკო**

"სარაგოსასთან" მატჩის წინ **ფრანკ რიიკაარდმა** შემაშფოთებელი ინფორმაცია მიიღო. ექიმებმა მას აუწყეს, რომ **სამუელ ეტოოს** კოჭის სახსრის ტრავმა აწუხებს. კამერუნელი ფორვარდის თამაში გამოირიცხა. ეს კი ნიშნავს, რომ "ბარსელონას" თავდასხმაში სერიოზული პრობლემები შეექმნება. საქმე ის არის, რომ **ხავიერ სავიოლაც** შეუძლოდ გრძნობს თავს. "ბაჭიას" კუნთი აქვს დაჭიმული. ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სავიოლა ამ საღამოს მოედანზე გავიდეს, თუმცა ისიც ითქვა, სამხრეთამერიკელი ფორვარდის ბედი ბოლო წუთს გაირკვევაო. ეტოოს გარდა კატალონიელებს **ჟულიანო ბელეტიც** ვერ დაეხმარება. ბრაზილიელი მცველი საზარდულის აუტანელმა ტკივილმა ისე გატანჯა, რომ ბოლო ვარჯიშები გამოტოვა. მართალია, ახლა ის გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, მაგრამ რიიკაარდი მოუმზადებელ ფეხბურთელს განაცხადში, რა თქმა უნდა, ვერ შეიყვანს. "ბარსელონის" დამრიგებელს სასიხარულო ამბავიც აქვს. **დეკუს** მოტეხილი ხელი საერთოდ აღარ აწუხებს. პორტუგალიელმა დისკვალიფიკაციაც მოიხადა და ახლა ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ მთავარმა მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში უკრას თავი. აქვე რიიკაარდის მიერ არაგონის დედაქალაქში წაყვანილი მოთამაშეების სრულ სიას შემოგთავაზებთ: **ვალდესი, ხორკერა, პუიოლი, ჩავი,** დეკუ, **ძამბროტა, ინიესტა, რონალდინიო, მესი, გუდიონსენი, ვან ბრონკხორსტი, ედმილსონი, სილვინიო,** სავიოლა, **ტურამი, ოლეგერი, ჟიული, მარკესი**.

"სარაგოსას" რაც შეეხება, მას მხოლოდ **სერხიო ფერნანდესი** ვერ დაეხმარება. **ვიქტორ ფერნანდესმა** გაამხილა, რომ კუნთგაწყვეტილ ნახევარმცველს **ხერარდ პიკე** შეცვლის. **გაბრიელ მილიტოსა** და **ანდრეს დალესანდროს** მიკრო-ტრავმები აწუხებდათ, თუმცა ისინი გამოჯანმრთელდნენ და ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარეს.

მადრიდის "რეალი" მორიგი "ფინალისთვის" ემზადება. მოგეხსენებათ, რომ სამეფო კლუბისთვის სეზონის ყველა დარჩენილ შეხვედრას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. "ოსასუნასთან" პაექრობის წინ, **ფაბიო კაპელოს** საკადრო პრობლემები არ ემუქრება. რამდენიმე დღის წინ **ხოსე ანტონიო რეიესმა** ნატკენი მხარი გაიმიზეზა. მადრიდელი ექიმები შიშობდნენ, რომ ანდალუსიელ ნახევარმცველს ლაზარეთში დაბრუნება მოუწევდა, თუმცა ტკივილები უკვალოდ გაქრა. რეიესმა უპრობლემოდ ივარჯიშა. კაპელოსაც ისღა დარჩენოდა, შეგირდისთვის ეთქვა, რომ საკვირაო მატჩის განაცხადში შეიყვანს.

უეფას თასის შეხვედრაში გამარჯვებული "სევილია" ყველაფერს გააკეთებს, რათა სანტანდერის "რასინგი" დაამარცხოს. **ხუანდე რამოსს,** შესაძლოა, **ალექსანდრ კერჟაკოვი** გამოაკლდეს. რუსმა ფორვარდმა ტერფი იტკინა. მას ინტენსიურად მკურნალობენ. ექიმები იმედოვნებენ, რომ ფიზიოთერაპიისა და აკვათერაპიის კურსი სასურველ შედეგს გამოიღებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 28 | 16 | 8 | 4 | 59-26 | 56 |
| 2. სევილია | 28 | 16 | 6 | 6 | 48-24 | 54 |
| 3. რეალი | 28 | 15 | 6 | 7 | 39-25 | 51 |
| 4. ვალენსია | 28 | 15 | 5 | 8 | 40-28 | 50 |
| 5. სარაგოსა | 28 | 13 | 8 | 7 | 42-29 | 47 |
| 6. ატლეტიკო | 28 | 12 | 8 | 8 | 33-24 | 44 |
| 7. რასინგი | 28 | 11 | 10 | 7 | 35-34 | 43 |
| 8. რეკრეატივო | 28 | 12 | 6 | 10 | 36-36 | 42 |
| 9. ხეტაფე | 28 | 10 | 9 | 9 | 24-20 | 39 |
| 10. ესპანიოლი | 28 | 9 | 11 | 8 | 31-31 | 38 |
| 11. ვილიარეალი | 28 | 10 | 8 | 10 | 29-35 | 38 |
| 12. დეპორტივო | 28 | 9 | 9 | 10 | 21-30 | 36 |
| 13. ოსასუნა | 28 | 10 | 5 | 13 | 34-33 | 35 |
| 14. მალიორკა | 28 | 9 | 6 | 13 | 29-40 | 33 |
| 15. ბეტისი | 28 | 7 | 11 | 10 | 28-34 | 32 |
| 16. ლევანტე | 28 | 6 | 10 | 12 | 23-38 | 28 |
| 17. სელტა | 28 | 6 | 9 | 13 | 28-40 | 27 |
| 18. ბილბაო | 28 | 6 | 8 | 14 | 31-45 | 26 |
| 19. სოსიედადი | 28 | 4 | 9 | 15 | 20-36 | 21 |
| 20. ხიმნასტიკი | 28 | 5 | 6 | 17 | 29-51 | 21 |

ინტერვიუ რობერტო კარლოსთან

# ფლორენტინოსგან მეტ დაფასებას ვიმსახურებდი

## აბარგებამდე ბრაზილიელმა სამეფო კლუბის ცხოვრებას ფარდა ახადა




რობერტო კარლოსი მადრიდიდან გულდაწყვეტილი მიდის

**2007 წლის 30 ივნისს რობერტო კარლოსი მადრიდის "რეალს" დატოვებს. ჯერჯერობით, დაზუსტებით არავინ იცის, სად გააგრძელებს ის კარიერას. ყველაზე რეალურად "ფენერბაჰჩეს" ვარიანტი მოჩანს. ყველაფერი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გაირკვევა. ამ ეტაპზე კი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ლეგენდარული ბრაზილიელი მცველის მადრიდული ეპოქა ფინიშს მიუახლოვდა. რობერტო კარლოსმა "სანტიაგო ბერნაბეუზე" კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. მართალია, უახლოესი წარსული ტკივილითა და იმედგაცრუებებით იყო ალსავსე, მაგრამ მანამდე ხომ ჩემპიონთა ლიგასა და პრიმერა დივიზიონში არაერთხელ გაიმარჯვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ სამხრეთამერიკელისთვის ესპანური გრანდიდან აბარგებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება სულაც არ იყო იოლი, მაგრამ რობერტო კარლოსი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიხვდა, რომ დარჩენას წასვლა სჯობდა.**

**- როგორ გრძნობთ თავს?**

- გაცილებით უკეთ ვარ. ტრავმის გამო საკმაოდ დიდი დრო გამიცდა, მაგრამ მეორე მხრივ, თავისუფალი დღეები გამიჩნდა. ბრაზილიაში გავემგზავრე. ოჯახი მოვინახულე. სხვათა შორის, ჩემი შვილი გავიცანი, რომელიც ტრავმამდე რამდენიმე დღით ადრე დაიბადა. ლუკა ძალიანს საყვარელი ბავშვია (იცინის).

**- ფეხბურთით ძალიან გადაღლილი იყავით?**

- დიახ. მრავალი წელია დაძაბული რიტმით ვცხოვრობ. კვირაში ორჯერ პრინციპული მატჩების გამართვა მიწევდა. ვალდებული გახლდით, თითოეულ პაექრობას მაქსიმალურად მომზადებული შევხვედროდი. ორი კვირა მჭირდებოდა იმისთვის, რომ ოდნავ დავმშვიდებულიყავი და ჩემს მომავალზე ცივი გონებით მეფიქრა.

**- და რა მოიფიქრეთ?**

- საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ სამეფო კლუბმა უთვალავი ბედნიერი წამი, წუთი და დღე მაჩუქა. თამამად შემიძლია განვაცხადო, აქ წარმატებული, დიდი კარიერა მქონდა. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ "რეალს" დავტოვებ. სეზონს, რა თქმა უნდა, სამეფო კლუბში დავასრულებ. შემდეგ კი საზოგადოებას დავემშვიდობები და სხვაგან წავალ.

**- "ფენერბაჰჩეში"?**

- ბევრი ვარიანტი მაქვს. "ფენერბაჰჩეს" გარდა, სხვა თურქული კლუბებიც მიწვევენ. გარდა ამისა, შეთავაზებები კატარიდან, დუბაიდან და ინგლისიდანაც მაქვს. მოკლედ, უამრავი ვარიანტი დამიგროვდა. ალბათ, სჯობს, სეზონი დასრულდეს და მერე გადავწყვიტო, თუ რომელი კლუბია რობერტო კარლოსის ღირსი (იცინის).

**- გავიგეთ, რომ "რეალში" თამაში აღარ გსურთ და სეზონის დარჩენილი შეხვედრების სათადარიგოთა სკამიდან ხილვას ესწრაფვით...**

- რა სისულელეა? ვინ მოგახსენათ ეს იდიოტობა? ძალიან ცუდად ხართ ინფორმირებული. როგორც კი ფაბიო კაპელო გამომიძახებს, უმალ ბუცებს ჩავიცვამ და როგორც ყოველთვის, თავდაუზოგავად ვითამაშებ.

**- როგორ გგონიათ, პრიმერა დივიზიონში გამარჯვება რეალური ამოცანაა?**

- რა თქმა უნდა.

**- იმედი გაქვთ, რომ თქვენი კონკურენტები ქულებს დაკარგავენ და ამით ისარგებლებთ?**

- ცხადია. აბა სხვაგვარად ჩემპიონობის მოპოვების შანსი არ გვექნებოდა. სუპერკლასიკოში დავამტკიცეთ, რომ "რეალი" პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კლუბია. სხვათა შორის, გრანდებთან თამაში უფრო კარგად გამოგვდიოდა. საშუალო და დაბალი კლასის გუნდებთან კი სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებოდით. არადა, მეტი პასუხისმგებლობა რომ გამოგვეჩინა, ჩემი გათვლებით მეორეადგილოსანს შვიდქულიანი უპირატესობით გავასწრებდით და ერთპიროვნულ ლიდერობას მოვიპოვებდით. ახლა გაცილებით უკეთ გამოვიყურებით. ვფიქრობ, პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსი საკმაოდ სოლიდურია. იმედია, იღბალი არ გაგვწირავს.

**- ყველაზე დიდ სირთულეებს სად წააწყდებით?**

- საშინაო შეხვედრებში. გასვლაზე თითქმის ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ვართ. აი, "ბერნაბეუზე" კი ხელ-ფეხი გვეკვრება და საშინელებებს ჩავდივართ. უფრო სწორად, ჩავდიოდით (იცინის). მადლობა ღმერთს, სიტუაცია გამოვასწორეთ. "ბარსა" ხუთი ქულით გვისწრებს. ეს არ არის ცოტა, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია.

**- რამდენად მოულოდნელი და გასაოცარია თქვენთვის ის ფაქტი, რომ "ბარსელონა" შარშანდელისგან განსხვავებით წელს უფერულად გამოიყურება?**

- პრობლემები გარდაუვალი იყო. "ბარსამ" შარშან პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. შეუძლებელია, კატალონიელებს ისევე ეთამაშათ, როგორც შარშან. უბრალოდ ისინი საკუთარ პრობლემებს თითქმის არასოდეს ახმაურებენ. "ბარსას" ძალიან ჩაკეტილი შემადგენლობა ჰყავს. იქ შეღწევა და რაიმე ინფორმაციის გამოტანა ნებისმიერ ჟურნალისტს გაუჭირდება. თუნდაც ის ყველაზე თავზეხელაღებული ჟურნალისტი იყოს.

**- "რეალიდან" ესპანეთის ჩემპიონის სტატუსით წასვლა, რა თქმა უნდა, დიდი სიხარული და პატივი იქნება. დარწმუნებული ვარ, თქვენი ოცნებაც ესაა...**

- ბუნებრივია! თანაგუნდელებს ვეუბნები, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემზე იფიქრეთ და ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რომ მადრიდიდან მორიგი საჩემპიონო ტიტულით გამაცილოთ-მეთქი. იცინიან და პირობას მაძლევენ, რომ ჩემთვის თავს არ დაზოგავენ.

**- უკვე ათი წელია, რაც სამეფო კლუბის ღირსებას იცავთ. გული არ გწყდებათ?**

- ძალიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი დრო ამოიწურა. ყველასთვის სჯობს, წავიდე. ვიცი, წლების შემდეგ რობერტო კარლოსზე მხოლოდ დადებითად ისაუბრებენ. ამ პატივმოყვარე განცხადების გაკეთების უფლებას ჩემ მიერ შესრულებული ჯოჯოხეთური სამუშაო მაძლევს. წარმოიდგინეთ, ამ ათი წლის განმავლობაში რამდენი მომქანცველი, უფრო მეტიც, მომაკვდინებლად დამღლელი ვარჯიში ჩამიტარებია. რამდენ მატჩში მითამაშია, რამდენჯერ ჩაურტყამთ ფეხში, რამდენი გოლი გამიტანია და რამდენჯერ საკუთარი მეკარე გადამირჩენია. ერთ შემთხვევასაც ვერავინ გაიხსენებს, რობერტო კარლოსს თავი დაეზოგა და თამაშში მთელი გული არ ჩაექსოვა. აი, ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ წლების შემდეგ სამეფო კლუბის გულშემატკივრები მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით გამიხსენებენ.

**- ამ ათი წლის განმავლობაში სამეფო კლუბი უსამართლოდ არასოდეს მოგპყრობიათ?**

- როგორ არა... უსამართლობას არაერთხელ წავწყდომივარ, თუმცა თანადგომაც არ მომკლებია. მსურს, ლორენსო სანსს ულრმესი მადლობა მოვახსენო. მიუხედავად იმისა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს, სამეფო კლუბს ფინანსურად საკმაოდ უჭირდა, მაინც შემიძინა, გამიფრთხილდა და საუცხოო პირობები შემიქმნა. ის ჩვენთან ერთად ცხოვრობდა, თითქოს ერთი რიგითი ფიგურა იყო. არადა, პრეზიდენტის სავარძელში იჯდა. სამწუხაროდ, ლორენსო სანსის წასვლის შემდეგ "რეალი" კომერციული ორგანიზაცია გახდა. მთავარი არა წარმატება და ტიტულების მოპოვება, არამედ მაისურებით ვაჭრობა, ბიზნესინტერესები და სარეკლამო კონტრაქტები იყო.

**- ფლორენტინო პერესის პრეზიდენტობისას ნაკლებად დაფასებულად გრძნობდით თავს?**

- ვერ ვიტყვი, რომ ფლორენტინო არ მაფასებდა, მაგრამ მისი ფავორიტები ისინი იყვნენ, ვისი მაისურებიც ყველაზე დიდი რაოდენობით იყიდებოდა. მათთან შედარებით, აშკარად ნაკლებად მაფასებდა. მე "რეალში" თამაშის მრავალწლიანი სტაჟი მქონდა და უფრო ლოგიკური იქნებოდა, ახალწვეულებზე მეტად დაფასებული ვყოფილიყავი. ნუ იფიქრებთ, რომ ყოფილი პრეზიდენტის სატრანსფერო პოლიტიკას ვაკრიტიკებ. პირიქით, მან საუკეთესო ფეხბურთელები შეიძინა, თუმცა მათი გამოჩენა არ მოითხოვდა, რომ ძველი გვარდიის ბიჭები მეორე პლანზე დავეყენებინეთ. ფლორენტინოსგან გაცილებით დიდ დაფასებას ვიმსახურებდი.

**- აქამდე რატომ არაფერს ამბობდით?**

- ასეთია ჩემი ხასიათი. იყო დღეები, როცა ვგრძნობდი, რომ ხელმძღვანელობას ჩემი პრობლემები ოდნავადაც არ აინტერესებდა, მაგრამ მაინც ჩუმად ვიყავი. ერთხელაც არ დამიწუწუნია. შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ რობერტო კარლოსი საოცრად ამტანი ადამიანია.

**- იქნებ, ახლაც არ ამხელთ სიმართლეს და სამეფო კლუბიდან თქვენი ნების წინააღმდეგ მიდიხართ?**

- არა, ეს ასე არ არის. "რეალი" არ მაგდებს, ჩემი ნებით მივდივარ. ახალმა ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გახანგრძლივება შემომთავაზა, მაგრამ არ დავთანხმდი.

**- კი მაგრამ, ვიცით, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებდით...**

- დიახ, მოლაპარაკებებში ჩავები, მაგრამ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. კომპრომისზე წასვლა აღარ მიღირდა, რადგან კლუბის შეცვლა მაშინ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი მქონდა.

**- როგორ გგონიათ, შეძლებს "რეალი" ძველი დიდების დაბრუნებას?**

- თუ წელს ჩემპიონები გავხდებით, გაისად დირექტორატი უძლიერეს ფეხბურთელებს ჩამოიყვანს. ასე რომ, ამჟამინდელ შემადგენლობაზე უამრავი რამ არის დამოკიდებული.

**- თქვენ ისეთივე მიღწევებით შეგიძლიათ მოიწონოთ თავი, როგორითაც ხენტოსა და დი სტეფანოს...**

- ვიცი. იმასაც ვაცნობიერებ, რომ სამეფო კლუბის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ.

**- გულწრფელად მითხარით, რატომ გადაწყვიტეთ აქედან აბარგება?**

- სჯობს, თავად წახვიდე, ვიდრე გაგაგდონ. ჯერჯერობით, მსგავსი რამ არავის უთქვამს, მაგრამ თუ დღეს არ ავიბარგები, ხვალ აუცილებლად მეტყვიან. ვგრძნობ, ამით ჩემი იმიჯი მნიშვნელოვნად შეილახება. რასაც ცოცხალი თავით არ დავუშვებ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტურის წინ

# ორი შვიდმატჩიანი სერია ფინიშამდე შვიდი ტურით ადრე

| | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-ჩარლტონი | 0:0 |
| ევერტონი-ფულჰემი | 4:1 |

**დღეს**

ჩელსი-ტოტენჰემი
არსენალი-ვესტ ჰემი
ბლექბერნი-ასტონ ვილა
მიდლსბრო-უოტფორდი
რედინგი-ლივერპული
შეფილდ იუნაიტედი-ნიუკასლი
ვიგანი-ბოლტონი
პორტსმუთი-მანჩესტერ იუნაიტედი

"ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" დუელი ამ უქმეებზეც გაგრძელდება. "ეშმაკებმა" ზედიზედ შვიდი თამაში მოიგეს. შვიდი თამაში მოიგეს "არისტოკრატებმაც" და ექვსქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს. სააღდგომოდ ინგლისში ორი ტური გაიმართება, მაგრამ "იუნაიტედი" და "ჩელსი" მხოლოდ შაბათს ითამაშებენ. სამშაბათს მათ ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალები ელით.

დავიწყოთ ჩემპიონებით. "ჩელსის" "ტოტენჰემთან" დერბიში ერთი უპირატესობა აქვს. "მამლებმა" "სევილიასთან" უეფას თასის პირველი მეოთხედფინალი ხუთშაბათს ჩაატარეს და ძალების მოსაკრებად 48 საათზე ცოტა დრო ჰქონდათ, მაგრამ ეს მოდუნების უფლებას არ იძლევა. "ტოტენჰემმა" პრემიერლიგაში მოგებათა ხუთმატჩიანი სერია გამოაცხო, ხოლო ორიოდ კვირის წინათ, ასოციაციის თასის მეოთხედფინალში, "ჩელსის" 3:1 უგებდა და მხოლოდ თამაშის მიწურულს გაუშვა ორი გოლი. გადათამაშებაში "არისტოკრატებმა" 2:1 გაიმარჯვეს და რევანში აიღეს პირველ წრეში, "უაით ჰარტ ლეინზე" ასეთივე ანგარიშით დამარცხებისთვის. ცნობისთვის, ეს იყო "ტოტენჰემის" პირველი მოგება "ჩელსისთან" ბოლო 17 წელიწადში.

"ვალენსიასთან" ოთხშაბათის მატჩში ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა **ჯო კოულმა**. დღეს ის ძირითადში იქნება. კვლავ დაშავებულები არიან **არიენ რობენი** და **მიკაელ ესიენი**. **ჟოზე მოურინიოს** სხვა ფეხბურთელები არ აკლია.

"ტოტენჰემი" მცველ **რიკარდო როჩათი** გაძლიერდება. მას უეფას თასზე თამაშის უფლება არ ჰქონდა. ამიტომ სევილიაშიც არ გაემგზავრა. თითქმის გამოჯანმრთელდა "მამლების" კაპიტანი **ლედლი კინგი**, მაგრამ საეჭვოა, **მარტინ იოლმა** ის "ჩელსისთან" მატჩში გარისკოს.

"იუნაიტედი" პორტსმუთში მიემგზავრება. ერთი შეხედვით, "ეშმაკები" უსიტყვო ფავორიტები არიან, მაგრამ **ფერგის** დღემდე არ დავიწყნია 2004 წლის აპრილი. მისმა შეგირდებმა სწორედ "ფრეტონ პარკზე" წაიბორძიკეს (0:1) და საჩემპიონო მარათონს გამოეთიშნენ. **პატრის ევრა** მწყობრშია. ფრანგ მცველს მუხლის ტრავმის გამო ექვსი მატჩი გაუცდა. სხვა მხრივ, "იუნაიტედს" ზუსტად ის შემადგენლობა ეყოლება, რომელიც რომში 1:2 დამარცხდა. მასპინძლებს "ჩელსიდან" ნათხოვარი მცველი **გლენ ჯონსონი** ჰყავთ დაშავებული, სამაგიეროდ გამოჯანმრთელდა **ნოელ პამარო** და მის ადგილს დაიკავებს. თავდასხმაში ერთი ადგილი **ნვანკვო კანუს** ეკუთვნის. მეორეზე ერთბაშად სამი ფორვარდი - **ლუალუა**, **ტოდოროვი** და **ბენჯანი** აცხადებს პრეტენზიას. როგორც აღვნიშნეთ, "იუნაიტედი" ზედიზედ მერვე გამარჯვებისთვის იბრძოლებს. სერ ალექსს კიდევ ხუთი თამაში აქვს მოსაგები და მეცხრე საჩემპიონო ტიტულს დაეუფლება.

"არსენალი" და "ლივერპული" მესამე ადგილისთვის იბრძვიან. "ეინდჰოვენთან" ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალის გამო, მერსისაიდელები ორშაბათს არ ითამაშებენ. "მეთოფეები" შაბათს "ვესტ ჰემს" (შინ), ხოლო ორშაბათს "ნიუკასლს" (სტუმრად) შეხვდებიან და ექვსი ქულის მოპოვების შემთხვევაში, მესამე ადგილზე გადასკუპდებიან. ამჟამად ამ ორ გუნდს შორის სხვაობა ორ ქულას შეადგენს. "ლივერპულის" დღევანდელი მეტოქე "რედინგია", რომელსაც ტრავმების გამო ძირითადის ორი წევრი (**ლიტლი** და **მერტი**) აკლია, ხოლო ძირითადი მეკარე **მარკუს ჰანემანის** თამაში საეჭვოა. ლივერპულელთაგან ძირითადში სათამაშოდ ემზადება **კრეიგ ბელამი**. დაჟეჟილი გვერდის გამო, მან ორი მატჩი გამოტოვა. გუნდშია **მომო სისოკოც**, რომელიც ეინდჰოვენში დისკვალიფიკაციის გამო ვერ გაემგზავრა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელებთან მატჩში **ფაბიო აურელიომ** მუხლის მყესი გაიწყვიტა და ოთხი თვით ჩამოშორდა მინდორს.

"ლივერპული" საუცხოო ფორმაშია. მან ბოლო ორ მატჩში ("არსენალთან" 4:1 და "ეინდჰოვენთან" 3:0) შვიდი გოლი გაიტანა. ის და "რედინგი" პრემიერლიგის ორი ყველაზე კორექტული კლუბია. ამ სეზონში რედინგელებს სამი ფეხბურთელი გაუძევეს, მერსისაიდელებს წითელი ბარათი საერთოდ არ მიუღიათ (პრემიერლიგის ერთადერთი კლუბი გაძევების გარეშე) და მხოლოდ 35 გაფრთხილება აქვთ.

რაც შეეხება "არსენალს", ის "ვესტ ჰემს" ჩემპიონატში მეასედ შეხვდება. **არსენ ვენგერი** წაგებათა ორმატჩიანი სერიის დასრულებას გეგმავს. "მეთოფეები" შინ უძლეველნი არიან. წაუგებელი საშინაო სერია შარშან დაიწყო და უკვე 21 თამაშს მოიცავს. "ვესტ ჰემმა" ბოლო ორ თამაშში გაიმარჯვა და უსაფრთხო ზონაში მყოფი "შეფილდ იუნაიტედისგან" ხუთი ქულაღა აშორებს. მას "არსენალთან" პირველი წრის მატჩიც მოგებული აქვს. უფრო შთამბეჭდავი შედეგი აქვს გავარდნის მეორე კანდიდატ "ჩარლტონს", რომელმაც ბოლო ოთხ თამაშში 10 ქულას მოუყარა თავი და "შეფილდს" კუდში მიჰყვება. დღეს ჩარლტონელები "მანჩესტერ სიტის" ესტუმრებიან. ზოგადად, ცხრილის ქვედა ეშელონში სრული გაურკვევლობაა. მხოლოდ "უოტფორდზე" თუ შეიძლება იმის თქმა, რომ განწირულია. თვით მე-11 ადგილზე მყოფი "ნიუკასლიც" კი გასავარდნ ზონაზე 7 ქულით მაღლა იმყოფება. ჩემპიონატის დასრულებამდე კი შვიდი ტურია დარჩენილი.



ჟოზე მოურინიო მანჩესტერს კუდში მიჰყვება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 31 | 25 | 3 | 3 | 74-21 | 78 |
| 2. ჩელსი | 31 | 22 | 6 | 3 | 55-19 | 72 |
| 3. ლივერპული | 31 | 17 | 6 | 8 | 48-21 | 57 |
| 4. არსენალი | 30 | 16 | 7 | 7 | 52-28 | 55 |
| 5. ბოლტონი | 31 | 15 | 5 | 11 | 36-38 | 50 |
| 6. ევერტონი | 31 | 13 | 10 | 8 | 42-27 | 49 |
| 7. ტოტენჰემი | 31 | 14 | 6 | 11 | 44-44 | 48 |
| 8. რედინგი | 31 | 13 | 5 | 13 | 43-39 | 44 |
| 9. პორტსმუთი | 31 | 11 | 10 | 10 | 37-32 | 43 |
| 10. ბლექბერნი | 31 | 12 | 4 | 15 | 37-45 | 40 |
| 11. ნიუკასლი | 31 | 10 | 7 | 14 | 34-40 | 37 |
| 12. მანჩესტ. სიტი | 31 | 10 | 7 | 14 | 23-34 | 37 |
| 13. მიდლსბრო | 31 | 9 | 9 | 13 | 32-38 | 36 |
| 14. ფულჰემი | 32 | 7 | 14 | 11 | 33-49 | 35 |
| 15. ასტონ ვილა | 30 | 7 | 13 | 10 | 29-35 | 34 |
| 16. ვიგანი | 31 | 9 | 6 | 16 | 30-45 | 33 |
| 17. ჩარლტონი | 32 | 8 | 7 | 17 | 29-49 | 31 |
| 18. შეფილდი | 31 | 8 | 7 | 16 | 25-45 | 31 |
| 19. ვესტ ჰემი | 31 | 7 | 5 | 19 | 25-51 | 26 |
| 20. უოტფორდი | 31 | 3 | 11 | 17 | 19-47 | 20 |



ინტერს საკადრო პრობლემები აქვს, მაგრამ მაინც ფავორიტია

იტალია. სერია A. XXXI ტურის წინ

# ბრძოლა მეოთხე ადგილისთვის

**დღეს**

ატალანტა-კიევო
კატანია-რომა
ლაციო-მესინა
პალერმო-კალიარი
პარმა-ლივორნო
რეჯინა-ინტერი
სამპდორია-ტორინო
სიენა-უდინეზე
ფიორენტინა-ასკოლი
მილანი-ემპოლი

კათოლიკური სამყარო აღდგომას ამ კვირას აღნიშნავს და ამიტომ სერია A-ს 31-ე ტურის ყველა მატჩი დღეს ჩვაიმართება. სკუდეტოს გაფორმებასთან ერთ ნაბიჯში მყოფ "ინტერს" არცთუ იოლი გასვლა ელის რეჯო კალაბრიაში "რეჯინასთან", რომელიც გადარჩენისთვის თავგამოდებით იბრძვის. მილანელებს ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი აკლიათ: ტრავმები აწუხებთ **იბრაჰიმოვიჩს**, **ვიეირასა** და **მაქსველს**, **მატერაცი** კი დისკვალიფიცირებულია. შვედი ფორვარდის ნაცვლად, შეტევაში **ადრიანოს** მეწყვილე **კრესპო** იქნება, მატერაცის დაცვის ცენტრში **სამუელი** შეცვლის, მაქსველს კი **გროსო**. ვიეირას არყოფნაში ძირითადში თამაშის შანსს ალბათ **ფიგუ** მიიღებს. "ინტერს" ზედიზედ ოთხი შეხვედრა აქვს მოგებული და სკუდეტომდე 8 ქულა აკლია, თუმცა, თუ უახლოეს შეხვედრებში "რომა" ქულებს დაკარგავს, შეიძლება ამდენიც არ დასჭირდეს. გასულ ტურში შინ "სიენასთან" 0:1-ზე წაგების გამო, "რეჯინა" ძალიან გაბრაზებული და აღრენილია. კლუბი თავს დაჩაგრულად თვლის, იმის გამო, რომ მსაჯმა პირველი ტაიმის შუაში მცველი **ლუკარელი** გაუძევა (მათი აზრით, უსამართლოდ) და ერთი საათი რიცხობრივ უმცირესობაში ამყოფა. კალაბრიელების გარემარბმა **პასკუალე ფოჯამ** ნამატჩევს მსაჯები პირდაპირ გალანძღა, რისთვისაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და ახლა ლუკარელისთან ერთად თამაშის ტრიბუნიდან ყურება მოუწევს. პირველ წრეში "ინტერმა" "რეჯინას" 1:0 მოუგო, შარშან კი "გრანილოზე" სულაც 4:0-ზე გაანადგურა.

ტურის ცენტრალურ შეხვედრად "მილანი"-"ემპოლია" მიჩნეული, რომელიც ყველაზე გვიან გაიმართება (22:30). "მილანი" ძალზე დელიკატურ სიტუაციაშია: პირველ ოთხეულში მოსახვედრად ეს თამაში ძალიან ბევრს წყვეტს, მაგრამ ოთხშაბათს "როსონერის" უპრინციპულესი დაპირისპირება ელით მიუნხენში. როგორც ცნობილია, სამშაბათს "მილანმა" "ბაიერნს" პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში უმასპინძლა და 2:2 დასრულა, რითაც მომდევნო ეტაპზე გასვლის საქმე გაირთულა. "ემპოლისთან" სამი ქულა ჰაერივით საჭირო რომ არ იყოს, **კარლო ანჩელოტი** ჩვეულებისამებრ ყველა წამყვან მოთამაშეს დაასვენებდა, მაგრამ ამჯერად ამის ფუფუნება არ აქვს. იტალიური პრესის ვარაუდით, როტაცია მხოლოდ დაცვის ხაზს შეეხება: დაისვენებენ **ნესტა**, **მალდინი** და **ოდო**. ამ უკანასკნელს მარჯვნივ **კაფუ** შეცვლის, ცენტრში კი **კალაძე** და **ბონერა** ითამაშებენ. შეტევაში მწვრთნელი ორფორვარდიან სქემას დაუბრუნდება და **რონალდოს** **ჯილარდინოს** შეუწყვილებს (**ინძაგის** ტრავმა აწუხებს). მათ უკან ტრადიციულად **კაკა** იმოქმედებს. "ემპოლის" საკადრო პრობლემები არ აქვს და "სან სიროზე" საუკეთესო შემადგენლობით წარსდგება. გასულ ტურში ტოსკანელებმა შინ აუტსაიდერი "ასკოლი" 4:1-ზე გაანადგურეს, "მილანმა" კი "რომასთან" სტუმრად 1:1 ითამაშა. პირველ წრეში ამ გუნდების დაპირისპირება ემპოლიში ნულოვანი ფრით დასრულდა.

ამასობაში, იტალიაში უკვე ლაპარაკობენ "ლაციოს" "რენესანსზე". **დელიო როსის** გუნდმა ზედიზედ შვიდი შეხვედრა მოიგო (ბოლოს სტუმრად "უდინეზესთან", 4:2) და ისე ჩანს, რომ მესამე ადგილი საბოლოოდ დაჯავშნა. ის კი არა, უკვე მეორე ადგილზეც დაიწყო ფიქრი, რომელიც ამჟამად ისტორიულ მეტოქეს, "რომას" უკავია. რაკი სხვაობა უკვე შვიდი ქულაა და თან დერბია სათამაშო, "ლაციოს" მწვრთნელსა და ტიფოზებს სჯერათ, რომ თანაქალაქელების გასწრება დარჩენილ 9 ტურში შეუძლებელი მისია სულაც არაა. დღეს "ლაციო" დაუძლურებულ "მესინას" მასპინძლობს და მშვენიერი შანსი წარმატებული სერიის გასაგრძელებლად. სიცილიელ სტუმრებს ისევ ძველი მწვრთნელი **ბრუნო ჯორდანო** უხელმძღვანელებს. ეს სპეციალისტი კლუბმა იანვარში დაითხოვა, თუმცა ამ კვირაში უკან დააბრუნა, მას შემდეგ, რაც **კავაზინმა** გუნდს ვერაფერი დაატყო და ბოლო ტურში "კალიარისთან" 0:2-ზე დამარცხდა.

"რომა" "კატანიას" ლეჩეს ნეიტრალურ მოედანზე მსუბუქად დაშავებული **ტოტის** გარეშე ესტუმრება. ტიფოზები სიცილიური გუნდისგან შურისძიებას ითხოვენ: პირველ წრეში "კატანიამ" "ოლიმპიკოზე" სამარცხვინო ანგარიშით 0:7 წააგო. სამშაბათს "რომას" მანჩესტრში წლის თამაში აქვს სათამაშო (პირველი შეხვედრა "ოლიმპიკოზე" მასპინძლებმა 2:1 მოიგეს), ამიტომ **სპალეტი**, კაპიტნის გარდა, **კივუსა** და **ტადეის** დასვენებასაც აპირებს. მათ ნაცვლად ძირითადში რეზერვისტები **ფერარი**, **ტავანო** და **ვუჩინიჩი** ითამაშებენ.

ზედიზედ სამი ფრის შემდეგ, "ფიორენტინა" აუტსაიდერ "ასკოლის" მასპინძლობს და ცხადია, სამ ქულას გეგმავს. ამასთან ფლორენციელებს ლიდერები, **მუტუ** და **ტონი** უბრუნდებიან. "პალერმოს" ზედზედ რვა ტურია არ გაუმარჯვია და თუ დღეს შინ "კალირისაც" ვერ მოუგო, შეუძლია, ჩემპიონთა ლიგაზე აღარც იოცნებოს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 29 | 25 | 4 | 0 | 63-23 | 79 |
| 2. რომა | 29 | 17 | 8 | 4 | 56-23 | 59 |
| 3. ლაციო | 29 | 16 | 7 | 6 | 51-24 | 52 |
| 4. პალერმო | 30 | 13 | 9 | 8 | 43-34 | 48 |
| 5. ემპოლი | 29 | 12 | 9 | 8 | 32-28 | 45 |
| 6. მილანი | 29 | 14 | 10 | 5 | 39-25 | 44 |
| 7. ფიორენტინა | 29 | 15 | 8 | 6 | 47-26 | 38 |
| 8. სამპდორია | 29 | 9 | 9 | 11 | 36-36 | 36 |
| 9. უდინეზე | 29 | 9 | 8 | 12 | 36-41 | 35 |
| 10. ატალანტა | 29 | 7 | 12 | 10 | 42-42 | 33 |
| 11. ლივორნო | 29 | 7 | 11 | 11 | 31-44 | 32 |
| 12. ტორინო | 29 | 8 | 8 | 13 | 24-39 | 32 |
| 13. კატანია | 30 | 8 | 8 | 14 | 37-58 | 32 |
| 14. სიენა | 29 | 6 | 13 | 10 | 25-32 | 30 |
| 15. კალიარი | 29 | 6 | 12 | 11 | 23-32 | 30 |
| 16. კიევო | 29 | 6 | 10 | 13 | 32-40 | 28 |
| 17. რეჯინა | 29 | 9 | 9 | 11 | 38-41 | 25 |
| 18. მესინა | 29 | 5 | 9 | 15 | 28-48 | 24 |
| 19. პარმა | 29 | 4 | 10 | 15 | 24-48 | 22 |
| 20. ასკოლი | 29 | 3 | 10 | 16 | 22-45 | 19 |

## მილანი ჯილარდინოს არ გაყიდის

"მილანი" ალბერტო ჯილარდინოსთან გამოთხოვებას არ აპირებს. "როსონერის" პრეზიდენტმა **სილვიო ბერლუსკონიმ** საკლუბო არხისათვის მიცემულ ინტერვიუში ჩამოთვალა ის ფეხბურთელები, რომლებიც მისი აზრით, ხელშეუხებელნი არიან. ახალგაზრდა თავდამსხმელი სწორედ ამ სიაში მოხვდა. ალბერტო "ბაიერნთან" განმეორების მეოთხედფინალს გამოტოვებს. მილანურ რაუნდში მან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოკრა ხელი. დაშავდა **ფილიპო ინძაგიც**. მიუნხენში მისი გამგზავრებაც საეჭვოა.

## ემანუელსონი: აიაქსიდან რომაში 5 მილიონად?

იტალიური სააგენტოების ცნობით, "რომას" "აიაქსის" ახალგაზრდა მცველის, **ურბი ემანუელსონის** შეძენა უნდა. 20 წლის ყმაწვილი მარცხენა ფლანგზე თამაშობს და ჰოლანდიურ ლიგაში, სადაცაა, მესამე სეზონს ჩაამთავრებს. ის "აიაქსის" სახელგანთქმული სკოლის აღზრდილია. მისი ამსტერდამული კონტრაქტი 2011 წელს იწურება. ფეხბურთელი 5 მილიონი გირვანქა ღირს. შარშან მან ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ახალგაზრდული პირველობა მოიგო. აგვისტოში კი, ირლანდიელებთან ამხანაგური მატჩისას, ეროვნულ გუნდში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. იანვრის ტრანსფერებისას ურბის "ნიუკასლი" ეპატიჟებოდა. რომაელთა სამიზნეში რეჯინელი **ფრანჩესკო მოდესტო** და ტულუზელი **ჟერემი მატიოც** არიან.

ლაციო

# კრანიოტიდან ლოტიტომდე

## ...ანუ, რენესანსი მოჭერილი ქამრით

**გასულ ზაფხულს, "მოჯიგეითის" ტალღამ "ლაციო" კინაღამ სერია B-ში მოისროლა. პატარა განგაშისა და სამქულიანი ჯარიმის შემდეგ, "ბიანკოჩელესტე", ჩემპიონთა ლიგის პრეტენდენტის დავიწყებული სტატუსით, ერთგვარი გროტესკული სეზონის საფინიშო სწორზე გადის...**


კლაუდიო ლოტიტო

### სენტიმენტებისთვის არავის სცხელა

დიდი დრო გავიდა 2001 წლის შემდეგ... მაშინდელი მესამე ადგილი კლუბის მეპატრონე **სერჯო კრანიოტიმ** უდიდეს მარცხად მიიჩნია, რადგან ერთი წლით ადრე, კლუბს სკუდეტო ჰქონდა მოგებული. თითქოს წარსულს ეთხოვებაო, კრანიოტი ერთბაშად ორ წამყვან ფეხბურთელს, **პაველ ნედვედსა** და **ხუან სებასტიან ვერონს** დაემშვიდობა. შემოსავლის ნახევარი "ლაციოს" პრეზიდენტმა იმ დროისთვის ჩინებულ ფორმაში მყოფ **გაისკა მენდიეტას** შეძენაში დახარჯა. ამგვარ სატრანსფერო ავანტიურას კლუბის ბიუჯეტმა ვერ გაუძლო. გარდა იმისა, რომ ესპანელ ჰავბეკზე დადებულმა ფსონმა არ გაამართლა, ფინანსურმა კრიზისმა ზვავივით გადაუარა კალჩოს, განსაკუთრებით, "ბიანკოჩელესტეს".

2002 წელს "ლაციო" უკვე მთლიანად იყიდებოდა. **ალესანდრო ნესტა** მზად იყო, კარიერის ბოლომდე მშობლიურ კლუბში ეთამაშა, მაგრამ კრანიოტისთვის არც წარმატებულ პერიოდში არსებობდა გაუყიდავი მოთამაშეები და დაძაბულ სიტუაციაში კი, ვის სცხელოდა სენტიმენტებისთვის? ტიფოზების კერპი "მილანს" 30,5 მილიონ ევროდ მიჰყიდეს, მაგრამ "ლაციო" გაკოტრებისგან ამ ნაბიჯმაც ვერ იხსნა.

2003 წლის დასაწყისში კრანიოტიმ კლუბი ოფიციალურად დატოვა, ერთი წლის შემდეგ კი... ციხეშიც აღმოჩნდა. ფინანსური ფიასკოს მიუხედავად, "ლაციომ" ღირსეულად ჩაატარა ორი სეზონი. **რობერტო მანჩინიმ** მის ხელთ არსებული რესურსების მობილიზება მოახერხა და გუნდის დაშლის შეჩერება შეძლო...

### უკომპლექსო პრეზიდენტი

2004 წლის 19 ივლისს კლუბის ისტორიის ახალი თავი გაიხსნა. "ლაციოში" ახალი მეპატრონე მივიდა. 47 წლის **კლაუდიო ლოტიტო** იტალიაში სკანდალურად ცნობილი პიროვნებაა. მთავარი პრობლემა, რომელიც მას უნდა გადაეწყვიტა, გიგანტური დავალიანების გასტუმრება იყო. იტალიის პოლიტიკურ ელიტაში "გასულმა" ლოტიტომ "ლაციოს" დავალიანების რესტრუქტურიზაცია მოახდინა. "ბიანკოჩელესტეს" ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია თავისუფლად შეიძლება ჩაიწეროს ახალი პრეზიდენტის აქტივში.

წინამორბედის შეცდომების გაანალიზების შემდეგ, ლოტიტომ უარი თქვა თამამი "შოპინგის" პრაქტიკაზე. მან გუნდის ფორმირება დაიწყო ერთი მხრივ თავისუფალი აგენტებისგან, ხოლო მეორე მხრივ, არც ისე ძვირადღირებული ფეხბურთელებისგან, თანაც მათზე მთლიანი უფლებებიც არ შეუძენია. 2004-ში, ლოტიტომ "ემპოლიდან" მებრძოლი და თამამი ფორვარდის, **ტომაზო როკის** გადაბირება მოახერხა. ამ უკანასკნელს ახლა რეგულარულად იწვევენ ნაკრებში და "იუვენტუსიც" ყურადღებით აკვირდება. სერია A-ს მიმდინარე სეზონში მას 14 გოლი აქვს გატანილი...

რისკის მინიმუმი - ასეთია "ლაციალეს" პრეზიდენტის მენეჯმენტის ლაიტმოტივი. 2005 წლის ზაფხულში მან სერია B-ს მოთამაშეებზე გადაიტანა აქცენტი. **ვალონ ბეჰრამიში, გაბი მუდინგაისა** და **გულიელმო სტენდარდოში** ლოტიტომ სულ რაღაც 3 მილიონი ევრო გადაიხადა. შედეგად, პირველმა **მასიმო ოდოს** ადგილი დაიკავა დაცვის მარჯვენა ფრთაზე, მეორემ საყრდენი ზონა გაამყარა, მესამე კი იმედისმომცემია დაცვის ცენტრში.

ერთ-ერთი ყველაზე ძვირი შენაძენი, არგენტინელი "ცერბერი" **კრისტიან ლედესმა**, გასულ ზაფხულს ლოტიტოს 5.3 მილიონი ევრო დაუჯდა. თუმცა, ვინც კი ეს ფეხბურთელი საქმეში ნახა, დაადასტურებს, რომ ლოტიტოს გარიგება გენიალურია. უპასუხისმგებლო "ლეჩეში" ლედესმას ღირსებები თითქმის არ ჩანდა. მაგრამ ისეთ სერიოზულ კლუბში, როგორიცაა "ლაციო", არგენტინელმა მოახერხა იმის დამტკიცება, რომ მსოფლიო დონის ნახევარმცველია. ახლა "ინტერიცა" და სხვა დიდი კლუბებიც მას 15 მილიონზე ნაკლებად ვერ მიიღებენ.

თვით ლოტიტოც არ აპირებს თავისი აღმოჩენების გასხვისებას. "ლაციოს" ყველაზე მოთხოვნადი მოთამაშეები - ბეჰრამი, ლედესმა და მაკედონიელი ფორვარდი **გორან პანდევი** - ახალგაზრდები არიან. მათ ჯერაც ძალუძთ როგორც გუნდის გაძლიერება, ისე საკუთარი ღირებულების გაზრდაც.

ლოტიტოს შეუძლია, მოთამაშეებს მათზე სატრანსფერო მოთხოვნის უმაღლეს მწვერვალზე დაემშვიდობოს. ამის დამადასტურებელია "მილანისთვის" 30 წლის ოდოს თითქმის 8 მილიონ ევროდ დათმობა. "როსონერის" დიდი ხანია, სურდა ოდოს მიწვევა და, როგორც ჩანს, ყურადღება არ მიაქცია მის ასაკს, რომელიც არც ისე კრიტიკულია, თუმცა კი აშკარაა, რომ მეოთხე ათეულში "გადასულ" მოთამაშეში ასეთი თანხის დახარჯვა დიდი ხელოვნებაა ("მილანმა" კი "ლაციოს" ახალგაზრდა გარემარბ **პასკუალე ფოჯაზე** უფლება დაუთმო). სწორედ ამ დროს გამოადგა გუნდს შვეიცარიელი ბეჰრამი, რომელმაც ოდოს ადგილი დაიკავა. ის დაცვაში არც ისე ცუდად გამოიყურება, შეტევებისას კი უფრო შთამბეჭდავია.

ლოტიტოს სატრანსფერო ისტორიაში საოცრად ექსტრავაგანტური გვერდიცაა. სამი წლის წინათ, მან სამშობლოში დააბრუნა "გადარეული" **პაოლო დი კანიო. იააპ სტამის, სტეფანო ფიორესა** და **სინიშა მიხაილოვიჩის** წასვლის შემდეგ, "ლაციოს" ქარიზმატული ლიდერი სჭირდებოდა. დი კანიომ მოლოდინს გადააჭარბა. ტიფოზებს შორის პოპულარობითა და ავტორიტეტით მან ყველა პარტნიორს აჯობა. სახელგანთქმულმა ფაშისტურმა მისალმებამ ის საკულტო პიროვნებად აქცია კლუბის უკიდურეს მემარჯვენე ფანებს შორის, მაგრამ ლოტიტო კი გააცოფა. 2006 წლის ზაფხულში დი კანიო და "ლაციო" სკანდალით დაშორდნენ ერთმანეთს და დიდხანს არკვევდნენ ფინანსურ ურთიერთობას რომის სასამართლოში.

ისე კი, უნდა ითქვას, რომ "ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტის პოლიტიკას არც ისე ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ტიფოზებში ლოტიტოს პოპულარობა ვერ გაიზარდა ვერც კლუბის ფინანსური მდგომარეობის აშკარა გამოსწორებამ და ვერც სენსაციურად მაღალმა პოზიციამ მიმდინარე მარათონში. უფრო მეტიც, ბიზნესმენთა ჯგუფმა, კლუბის ყოფილი ფორვარდის **ჯორჯო კინალიას** თავკაცობით, შარშან პრეზიდენტის პოსტიდან ლოტიტოს გადაყენებაც სცადა. თუმცა ოქტომბერში "რევოლუციონერები" გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ, როცა გაირკვა, რომ ლოტიტოს ოჯახის წევრებს არაერთხელ დაემუქრნენ...

გარდა ამისა, კლუბის ბევრ თაყვანისმცემელს, დღემდე, კრანიოტის ეპოქის ნოსტალგია სტანჯავს და ვერ ეგუება "მოჭერილი ქამრის" პოლიტიკას. როგორც ჩანს, ლოტიტოს ავტორიტეტს მხოლოდ სკუდეტო აამაღლებს.

### აბა, დელიო, დელიო...

"ლაციოს" მთავარი მწვრთნელი **დელიო როსი** სულ სხვა საქმეა. აი, ვის ეთაყვანებიან ტიფოზები! რიმინის მკვიდრი, 46 წლის სპეციალისტი, "ლაციოში" 2005 წლის ზაფხულში მოხვდა. **დომენიკო კაზოსა** და **ჯუზეპე პაპადოპულოთი** იმედგაცრუებული ლოტიტო ახალი კანდიდატურას ძებნას უფრო დიდი დაკვირვებით მოეკიდა.

როსის მონაგარში განსაკუთრებული საკარიერო მიღწევები არ ყოფილა. მან "სალერნიტანასთან" ერთად სერია A-ში სენსაციური ნახტომი გააკეთა, მაგრამ ასევე სენსაციურად დატოვა უმაღლესი დივიზიონი "ლეჩესთან" ერთად. არაფერი განსაკუთრებულით არ გამოირჩეოდა მისი მოღვაწეობა "პესკარაში", "ჯენოასა" და "ფოჯაში". და მაინც, რა შეამჩნია ლოტიტომ ისეთი, ამ ერთი შეხედვით ნიჭიერ მწვრთნელში?

"ლაციოს" პრეზიდენტი მოგვიანებით გამოტყდა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როსის მოღვაწეობამ "ატალანტაში". კაცმა რომ თქვას, დელიომ ბერგამოშიც ვერაფერს მიაღწია - 2004/05 წლის სეზონში "ატალანტამ" "წარმატებით" დატოვა სერია A. სხვა საქმეა, რომ როსი წყალწაღებულ გუნდს სათავეში სეზონის შუალედში ჩაუდგა და კინაღამ გადაარჩინა...

წელიწადნახევარი გავიდა და აი, როსის უკვე სეზონის სამწვრთნელო "ოსკარის" უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევენ. "ლაციოს" ტიფოზებმა დელიო საბოლოოდ შეიყვარეს მას მერე, რაც მათმა სათაყვანებელმა გუნდმა "რომა" ანგარიშით 3:0 დაამარცხა. საფეხბურთო იტალია მასში აფასებს არაჩვეულებრივ სტრატეგსა და ტაქტიკოსს, რომელსაც ფეხბურთელების შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოყენება შეუძლია. აღსანიშნავია, რომ "ლაციოს" ზოგიერთი მოთამაშე, რომელთა კონტრაქტების ვადა დასასრულს უახლოვდებოდა, გახანგრძლივებაზე უარს ამბობდა, თუ როსისთან შეთანხმების ვადა ასევე არ გაგრძელდებოდა. შედეგად, მწვრთნელმა ახალი კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა.

### მაურიმ მოვალეობა შეასრულა

დელიო როსის წარმატებულ აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს 27 წლის ნახევარმცველი **სტეფანო მაური**. ახალგაზრდა ფეხბურთელებს ხშირად მიიჩნევენ სეზონის აღმოჩენად, თუმცა სერია A-ში ხშირია გამონაკლისიც. ამის ნათელი მაგალითია **კრისტიანო დონი** და **ლუკა ტონი**, რომელთა აღიარება 30 წლის ასაკში მოხდა. მაურიც გვიანი გაფურჩქვნის ახალი მაგალითია. დიდი ხნის განმავლობაში ის პერსპექტიულ


დელიო როსი

მარცხენა ნახევარმცველად ითვლებოდა, როცა სტაბილურად თამაშობდა "მოდენაში", "ბრეშასა" და "უდინეზეში".

გასული წლის იანვარში, როცა გაიგო, რომ "ლაციო" მისი პერსონით დაინტერესდა, მაურიმ თავის აგენტს დაავალა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეხერხებინა დედაქალაქში გადასვლა. შედეგად, კლუბებმა საარენდო გაცვლის მსგავსი რამ გააფორმეს და რომი-უდინეს გზაზე დააყენეს **რობერტო ბარონიო**.

სტეფანომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალ მესაკუთრეებზე და უკვე ზაფხულში, ლოტიტომ მისი ტრანსფერი ფრიულელებისგან საბოლოოდ 3.5 მილიონ ევროდ გამოისყიდა. **ფაბიო ლივერანისა** და დი კანიოს წასვლის შემდეგ, "ლაციოს" კვლავ სჭირდებოდა ქარიზმატული და შემქმნელი ფიგურა, ისეთი, რომელიც შეძლებდა შუა ხაზისა და შეტევის შერწყმას. სწორედ ასეთი ფიგურა დაინახა როსიმ მაურიში. მწვრთნელმა ის ჩვეულ მარცხენა ფლანგს მოაშორა და თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცა. როსის ნდობით ფრთაშესხმულმა მაურიმ სეზონი ისე დაიწყო, რომ "სკუადრა აძურას" თავკაცმა **რობერტო დონადონიმ** მას გვერდი ვერ აუარა. ოქტომბერში სტეფანო უკრაინის ნაკრებთან მატჩისთვის გამოიძახეს...

### ლოტიტოს ნორმები

"ლაციო" 12 მატჩის განმავლობაში არ დამარცხებულა, ბოლო 7 თამაშში კი ქულაც არ დაუკარგავს. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ შემოდგომაზე, ჩემპიონთა ლიგაში, ორივე რომაული კლუბი ითამაშებს. ლოტიტო საკუთარი თავის მტერი არ არის და, ალბათ, შეეწინააღმდეგება წამყვანი ფეხბურთელების გუნდიდან წასვლას, რასაც უკვე ბევრი წინასწარმეტყველებს. ლედესმას, როკის, პანდევისა და კიდევ სხვა ფეხბურთელების გადაბირება არაერთ სოლიდურ კლუბს სურს, მაგრამ "ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტი ყველა წინადადებას შესაშური სიმკაცრით უარყოფს. პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ლოტიტომ ქცევის საკუთარი ნორმები შექმნა და ბოლომდე მისი ერთგული რჩება. კრანიოტის ეპოქიდან, მას მხოლოდ შედეგების გამეორება აინტერესებს და არა მისი მიღწევის საშუალებების...

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

დაპირისპირება

# რა მოხდა რომში?

## იტალიის მთავრობა პოლიციას იცავს და მენიუს ფანებს ადებს ხელს...

"რომა"-"მანჩესტერ იუნაიტედის" ოთხშაბათის მატჩმა (2:1) სერიოზული ინციდენტების ფონზე ჩაიარა. პოლიციისა და ფანების შეტაკებისას 18 ინგლისელი გულშემატკივარი დაშავდა. რომაელ სამართალდამცველებს უფლებამოსილებათა გადამეტებაში დასდეს ბრალი. ბრალდებების საპასუხოდ ხელისუფლებამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და თავის მართლებას შეეცადა. რომის მუნიციპალიტეტის მაღალჩინოსანმა, **აშილ სერამ**, რომელიც დედაქალაქის უსაფრთხოებაზეა პასუხისმგებელი ჟურნალისტებს ის ვიდეოჩანაწერი და ფოტოები წარუდგინა, რომელზეც ასახულია "იუნაიტედის" ფანების აგრესია მეტოქის გუნდის ქომაგებისა და პოლიციის მიმართ. ფოტოებზე ჩანს, რომ ინგლისელთა ერთი ჯგუფი ცდილობს პოლიციის კორდონის გარღვევას და რომაელთა სექტორში მოხვედრას. ვიდეოჩანაწერში ასახულია სკამებისა და ბოთლების წვიმა, რომელიც პოლიციელებს სწორედ ინგლისელი ფანებისაგან დაატყდათ თავს. სინიორ სერამ განმარტა, რომ ამ ვითარებაში, პოლიცია ვალდებული იყო, გაეტარებინა ყველა ღონისძიება მასშტაბური დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. სამართალდამცველებმა ხელკეტები გამოიყენეს, რამაც არა ერთი მანჩესტერელი ფანის დაზიანება გამოიწვია.

ვიდეოჩანაწერში, რომელსაც ევროპული მედიასაშუალებები ხუთშაბათის ეთერში გადასცემდნენ, ყურადღება პოლიციის ქმედებაზე იყო გამახვილებული. იმ ფირებზე ჩანდა, რომ მძიმედ შეჭურვილი სამართალდამცველები მანჩესტერელთა სექტორში იჭრებიან და ფანებს გამეტებით სცემენ. ნაჩვენები იყო მათ მიერ თავგატეხილი ადამიანებიც.

საგანგებო კომენტარი გააკეთა რომის პოლიციის უფროსმა **მარიო ფულვიმაც**. მისი თქმით, დაახლოებით 2 ათასი მანჩესტერელი ფანი რომში პოლიციელთა თანხლების გარეშე ჩავიდა. ეს კი მანჩესტერულ მხარესთან მიღწეული შეთანხმების დარღვევა იყო. იტალიელ და ინგლისელ სამართალდამცველებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერთობლივი მოქმედებები ჰქონდათ დაგეგმილი, თუმცა ამ ღონისძიებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინგლისელი კოლეგების დახმარების იმედი აქვს, რათა მომხდარს უმოკლეს დროში მოეფინოს ნათელი. მანჩესტერელი ფანები კვლავ ჯიუტად ამტკიცებენ, რომ მათ არაფერი ჩაუდენიათ ისეთი, რომ პოლიციელთა ასეთი აგრესია გამოეწვიათ.

კითხვაზე, ურჩევს თუ არა რომაელ ქომაგებს მანჩესტერში გამგზავრებას, აშილ სერამ უპასუხა: *"გაემგზავრეთ და მოერიდეთ პროვოკაციებს. ეცადეთ, იმოძრაოთ ჯგუფ-ჯგუფად, ნუ ააფრიალებთ რომაულ შარფებსა და დროშებს მეტოქის გულშემატკივართა ცხვირწინ და რაც მთავარია, ისიამოვნეთ ფეხბურთით. ინგლისი დიდი კულტურის ქვეყანაა. ხულიგნები ყველგან არიან. ჩვენი ამოცანაა, არ ავყვეთ და ხელი არ დავაფაროთ მათ."*


რომის ინციდენტს უეფაც გამოიძიებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## რაგბი. ევროპის ერთი თასი

# ჩეხეთი, დღევანდელი მეტოქე და ხვალინდელი კონკურენტი?



ჩეხების ვარჯიში მიხეილ მესხის სტადიონზე

*პირველი გვერდიდან*

**ლევან მგელაძე**
ჩეხეთი, მწვრთნელი

- ჩვენი გუნდის შემადგენლობა ადრინდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადახალისებულია. ძალიან მინდა, ისეთ გუნდებთან თამაშში, როგორიც საქართველო, რუმინეთი და პორტუგალიაა, ჩემმა გუნდმა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრესი განიცადოს, გაძლიერდეს და უახლოეს პერიოდში ამ გუნდებს საკადრისი კონკურენცია გაუწიოს.

ჩეხეთის ნაკრებისთვის ამ ეტაპზე პროგრამა-მაქსიმუმი ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა. ძირითად კონკურენტად ესპანეთის ნაკრები მიგვაჩნია. ამიტომ, საქართველოს ნაკრების მარცხი ესპანეთში, დამერწმუნეთ, ყველაზე მეტად მე განვიცადე.

რუმინეთთან შინ დიდი ანგარიშით წავაგეთ, მაგრამ მთელი თამაშის განმავლობაში მეტოქეს უშელავათო ბრძოლა გავუმართეთ. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლია, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ბოლომდე ვიბრძოლებთ. ვნახოთ, რა გამოვა.

| ერთა თასი. 2007-08 | |
|---|---|
| რუმინეთი-საქართველო | 17:20 |
| პორტუგალია-ესპანეთი | 21:18 |
| ესპანეთი-რუსეთი | 14:39 |
| რუმინეთი-ესპანეთი | 50:14 |
| ესპანეთი-საქართველო | 31:17 |
| ჩეხეთი-რუმინეთი | 13:46 |
| საქართველო-რუსეთი | 31:12 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +66 | 4 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | +8 | 4 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +6 | 2 |
| 4. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | +3 | 2 |
| 5. ესპანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | -50 | 2 |
| 6. ჩეხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -33 | 0 |

7 აპრილი. 16:00, ეროვნული

**საქართველო-ჩეხეთი**

საქართველო: 15. პავლე ჯიმშელაძე (კაპ) 14. გიორგი შკინინი, 13. მალხაზ ურჯუკაშვილი 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ბესიკ ხამაშურიძე 10. მერაბ კვირიკაშვილი 9. ირაკლი აბუსერიძე; 1. დავით გასვიანი 2. დავით დადუნაშვილი 3. ავთანდილ კოპალიანი 4. ვიქტორ დიდებულიძე, 5. ზურაბ მჭედლიშვილი 6. ილია მაისურაძე 7. გიორგი ჩხაიძე 8. ბესო უდესიანი / 16. გიორგი ჟღენტი, 17. მამუკა მაგრაქველიძე, 18. შალვა სუთიაშვილი, 19. ვახტანგ ახვლედიანი; 20. ბიძინა სამხარაძე, 21. დავით კაჭარავა, 22. ოთარ ელოშვილი

ჩეხეთი: 15. იან რუდოლფი 14. ტომაშ ნევიცკი 13. პაველ ვოკრუპლიკი 12. იაროსლავ ტომჩიკი 11. მიხალ შლანგერი 10. ტომაშ კრეიჩი 9. ვიტესლავ დოსედლა; 1. რომან შუსტერი 2. იან ოსვალდი 3. პაველ ინდრაკი 4. მარტინ დლოუპი 5. მირეკ ნემეჩეკი 6. ტომაშ ვენიგერი 7. ვლასტისლავ მადრი 8. კარელ კუჩერა / 16. იან ზახარიაში 17. ირჟი სკალი 18. იან ბენდა 19. მარტინ მენშიკი; 20. პაველ სიროვი 21. მიხალ იირმანი, 22. ჰონერ ლუკაში

მსაჯი: ჟან-კრისტოფ გასტუ (საფრანგეთი)

| საქართველო-ჩეხეთი |
|---|
| 1996, თბილისი 20:3 |
| 1996, პრაღა 18:14 |
| 2003, პრაღა 30:15 |
| 2004, თბილისი 23:7 |
| 2005, ქუთაისი 75:10 |
| 2005, პრაღა 24:3 |

**ტომაშ კრეიჩი**
ჩეხეთი, კაპიტანი

- კარგად ვიცით, რომ ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვაქვს თამაში, თუმცა ჩვენ ეს არ გვაშინებს და ვეცდებით, მოედანზე მაქსიმუმი გავილოთ.

**დავით ჩავლეიშვილი**
საქართველო, მწვრთნელი

- ჩეხეთის ნაკრები ჩვენთვის კარგად ნაცნობი გუნდია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ლევან მგელაძე მის თამაშში ბევრ ახალ ნიუანსს შეიტანდა. ჩვენი გუნდის განწყობა, როგორც ყოველთვის, საბრძოლოა. ნამდვილად არ ვფიქრობთ, რომ იოლი თამაში გველის.

რუსებთან ნათამაშები შემადგენლობიდან ოთხი მორაგბე გამოგვაკლდა: ხინჩაგიშვილი, დათუნაშვილი, ლაბაძე და ელიზბარაშვილი. ბოლო ვარჯიშზე კი ზვიად მაისურაძე დაგვიშავდა და ის დებიუტანტით, ვახტანგ ახვლედიანით შევცვალეთ.

**პალიკო ჯიმშელაძე**
საქართველო, კაპიტანი

- ის, რომ მსოფლიო თასზე ერთა თასისთვის მებრძოლი სამი გუნდი ითამაშებს, თავისთავად მეტყველებს ამ შეჯიბრების მაღალ დონეზე. ვფიქრობ, ჩეხებთანაც კარგი თამაში იქნება. როგორც ყველასთან, მათთანაც მაქსიმალური მონდომებით ვითამაშებთ. ვეცდებით, ის ხარვეზები, რაც რუსებთან მატჩში გვქონდა, გამოვასწოროთ.

**ბესიკ ჯანგაველაძე**

## სააღდგომო ლელობურთი

# ინგლისური რაგბის ქართველი ძმა

**ხვალ, შუხუთში კიდევ ერთხელ ავარდება ლელოს ბურთი, კიდევ ერთხელ შეერკინებიან ერთმანეთს „ზემოურები“ და „ქვემოურები“ და შეეცდებიან საკირიესა თუ საჭინკიეს ღელეების გადალახვას. დღეს ეს თამაშობა მხოლოდ გურიაშია შემორჩენილი, თან მხოლოდ უწესო თამაშობა, თუმცა არსებობს ლელოს „წესებიანი“ სახეობა, მთლად „ცივილიზებული“ კი უკვე რაგბია. ცნობილი ლელობურთელი ჯემალ დიასამიძე ტრადიციული თამაშის შესახებ გვიამბობს.**

- ბურთაობა, როგორც ჩანს, ჩვენთან ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა და ეს რუსთაველმაც ასახა თავის „ვეფხისტყაოსანში“: „მოსრნის მხეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან, მერე ვიბურთო მოედანს მინდორით შემოქცეულმან“. მეფე როსტევანს კი უთქვამს: „ღმერთმა არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა, ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა“.

**- თამაშობის სამშობლოდ რომელი ქალაქი ითვლება?**

- ჩოხატაური. ძირითადად, საასპარეზო ცენტრები იყო ფოთი, ბათუმი, კულაში, ხონი, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ქუთაისი..

**- კომუნისტები ლელოს 1 მაისს ატარებდნენ, ადრე რა ტრადიცია იყო?**

- რაც შეეხება შერკინების დღეებს, ისინი უმეტესად აღდგომის, მარიამობის, გიორგობის საეკლესიო დღესასწაულებს ემთხვეოდა. თვით შეხვედრების გამართვას არ სჭირდებოდა სპეციალურად აგებული მოედანი. მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ზემოურებად და ქვემოურებად, ცოლიანებად და უცოლოებად. მათი რაოდენობა განსაზღვრული არ იყო, არც ბურთის წონა, ისე ზოგჯერ 12 კილოგრამსაც აღწევდა. მსაჯის ფუნქციებს სოფლის თავკაცები, სასულიერო პირნიც ასრულებდნენ. დაპირისპირება შუადღისას იწყებოდა და დაბინდებისას მთავრდებოდა, ზოგჯერ დილამდეც გასტანდა.

აი, ნახეთ, რას წერს გაზეთი „ივერია“: *„1881 წელს ფოთში, აღდგომის დღეს ავარდა ბურთი. ისევ მეგრელები და გურულები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მეგრელები, რა თქმა უნდა, მეტნი იყვნენ. შებინდებისას ვინმე მ. გაბელიამ ლელო გაიტანა. მეგრელები იმ დღეს გათენებამდე ზეიმობდნენ გამარჯვებას“.* „ივერია“ 1889 წელს გვამცნობს: *„ქვემო იმერეთში, სოფელ კულაშში ერთ დროს საუკეთესო თავად მიქელაძეების საცხოვრებელში გაიმართა ბურთაობა, ლელობურთი. თამაშში მონაწილეობას დაახლოებით 1500 ქვეითი და 500 ცხენოსანი იღებდა. მჭვრეტელნი, რასაკვირველია, ათი იმდენი იქნებოდა. თამაშმა აქაც დილამდე გასტანა“.*



„წესებიანი“ ლელო. შუაში ჯემალ დიასამიძე

**- მართალია, დღევანდელი ლელო თითქმის ანალოგიურია, მაგრამ მაინც განსხვავებული...**

- ძველ ლელოს საქართველოში უკვე არსად თამაშობენ, ჩვენი რაიონის გარდა. თუ ადრე 1 მაისს ავარდებოდა ბურთი, ამჟამად ყოველ აღდგომას იმართება პაექრობა ძველ მეტოქეებს, ზემო შუხუთსა და ქვემო შუხუთს შორის. ზემო შუხუთელებს ხშირად ლანჩხუთელები ეხმარებიან, რაშიც მეც მიმიღია მონაწილეობა. შერკინება 4-5 საათს გრძელდება და იმდენი ენერგია მიაქვს, აღდგენას 2-3 კვირა სჭირდება.

**- ლელობურთი ჩვეულებრივ სტადიონზეც იმართებოდა?**

- კი, შემდეგ წლებში ლელობურთი უფრო დაიხვეწა და ფეხბურთის მოედანზე გადაინაცვლა. წესებიც შემუშავდა. 1972 წელს სახელმწიფო განაწილებით აფხაზეთში, კერძოდ, გალში, სოფელ რეფო-შეშელეთში გამიშვეს მასწავლებლად. იმავე წელს მიმიწვიეს აფხაზეთის ლელობურთელთა ნაკრებში, რომელიც ძირითადად, გალელებით იყო დაკომპლექტებული. საქართველოს პირველობა მაშინ ოჩამჩირეში გაიმართა. ყველა თამაში მოვიგეთ და ფინალში კი ჩოხატაურის ძლიერ გუნდთან წავაგეთ, თუმცა სპორტის ოსტატები მაინც გავხდით. 1975-დან 1979 წლამდე ვთამაშობდი ზუგდიდის ნაკრებში, მწვრთნელ-მოთამაშე გახლდით. პირველ ბურთზე ამსვლელი ვიყავი და მახსოვს, როგორ ნადირობდნენ ჩემზე უხეში ხერხებით. ექვსჯერ მაქვს ნათამაშები ფინალში, მაგრამ ჩოხატაურთან ყოველთვის ვმარცხდებოდით. არაჩვეულებრივ, გააზრებულ, კომბინაციურ ლელოს თამაშობდნენ. ქუთაისის „აია“ მაშინ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო რაგბიში, მაგრამ ჩოხატაურს მაინც ვერ მოუგო.



„უწესო“ ლელო. სასწრაფო დახმარება ბევრ მოთამაშეს სჭირდება

**- ლელოსა და რაგბის მსგავსებაზე რას იტყვით?**

- მართლაც ბევრი მსგავსებაა ამ ორ თამაშს შორის, თუმცა განსხვავებულია თამაშის მანერით, ხერხებით, მოქმედების ხასიათით... რაგბი და ლელო უფროს-უმცროსი ძმები არიან.

**- ლანჩხუთში ლელო პირველად ვინ შემოიტანა?**

- გურიაში ლელოს საუკუნენახევრის წინ თამაშობდნენ. გარკვეულ წესებს დაქვემდებარებული თამაშობა კი ლანჩხუთში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა ჯაყო სარჯველაძემ ჩამოაყალიბა და დიდი წარმატებებიც ჰქონდა. ბატონი ჯაყოს წასვლის შემდეგ ტრადიციები რომან ცეცხლაძემ ღირსეულად გააგრძელა.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძიუდო

ევროპის ჩემპიონატი

# ოქროს ვაზარი



ფინალი. კედელაშვილი-მიალკოვიჩი

პირველი გვერდიდან

60 კილოში **ნესტორ ხერგიანი** პირველ წრეში თურქ **ქემალ ოგიუზს** ხვდებოდა და იუკოთი კოკას წინააღმდეგ მოიგო. მეორე წრეში ნესტორი უხერხულ მეტოქეს, ავსტრიელ **ლუდვიგ პაიშერს** გადაეყარა და ბოლოდროინდელი ნავსი გატეხა - მართალია, მცირე უპირატესობით ( ორი კოკა ერთის წინააღმდეგ), მაგრამ მაინც აჯობა. სამწუხაროდ, ხერგიანმა მეოთხედფინალში სომეხ **ჰოვანეს დავთიანთან** წააგო - მან მხოლოდ იუკო მოინადირა, სომეხმა კი ვაზარი აართვა. ხერგიანი დამამშვიდებელ ტურნირში მეორე რაუნდიდან ჩაება: მან კოკათი ბელგიელ **ფაბრის ფლამანს** აჯობა, შემდეგ კი - **როკ დრაკშიჩსაც** მოუგო. ხერგიანი სალამოს ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ლიტველ **ალბერტ ტეხოვს** (წარმოშობით ცხინვალელია) შეხვდა, უმნიშვნელო უპირატესობით (კოკა) აჯობა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რაც დღეისათვის შესანიშნავი შედეგია.

**ზაზა კედელაშვილმა** (66 კგ.) ფინალამდე გზა მეტად დამაჯერებლად განვლო. პირველ წრეში ევროპის ჩემპიონი ისვენებდა, მეორეში მას არ გასჭირვებია ნორვეგიელი **დალ ალბინის** დამარცხება (იუკო და ვაზარი), მესამეში კედელაშვილმა სუფთაზე დააგდო ყოფილი ჩვენი თანამემამულე **ტარიელ ზიდირიდისი** (სონიშვილი). მეოთხედფინალში კედელაშვილმა კიდევ ერთი ორთაბრძოლა მოიგო იპონით - პორტუგალიელ **პედრო დიაშთან**. ზაზას ნახევარფინალში უკვე თანაბარი ბრძოლა გადახდა, მისი მეტოქე ჰოლანდიელი **დაქს ელმონტი** იყო. ზაზამ ორჯერ მიითვალა კოკა და ეს ფინალის საგზურის მოსაპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა. ყველაზე დაძაბული კი ფინალური ბრძოლა აღმოჩნდა, რომელიც სერბი **მილოშ მიაკოვიჩის** წინააღმდეგ მოუწია. ძირითადი 5 წუთი 0:0 დასრულდა.

ზაზამ რამდენჯერმე ცადა ილეთის შესრულება, მაგრამ ერთხელ თავადაც სასწაულებრივ შეძლო სუფთა წაგებისგან თავის დახსნა.

ჩვენს ქალებს, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელი მოეცარათ. 48 კილოში **ნაია ვეშაგურმა** იპონით წააგო **რონი შვარცთან** (ისრაელი), 52 კილოში **მარიამ ტარუაშვილი მონიკა კაბაშთან** (პოლონეთი) დამარცხდა, 57-ში კი გული ჩვენმა ლიდერმა **დუსკა ქერიმოვამ** დაგვწყვიტა - მან იპონით ავსტრიელ **საბრინა ვილმოზერთან** წააგო. პირველი დღის შემდეგ საქართველოს ნაკრები თითო ოქროთი და ბრინჯაოთი ესპანეთთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს, ვაჟთა ჩათვლაში კი ჩვენი გუნდი ლიდერია.

**დღეს იჭიდავებენ დავით ქევხიშვილი (73), გიორგი ბაინდურაშვილი (81) და ანა ძაძამია (63); ხვალ - ირაკლი ცირეკიძე (90), ლომერ ჟორჟოლიანი (100), ლაშა გუჯეჯიანი (+100) და ირინე ლეონიძე (+78). ფინალური შეხვედრების პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ 18-საათიანი "მოამბის" შემდეგ.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ევროპის ჩემპიონატი

6-8 აპრილი, ბელგრადი (სერბეთი)

**ქალები**

48 კგ. 1. ალინა დიმიტრუ (რუმინეთი), 2. ვალენტინა მოსკატი (იტალია), 3. ვანესა არენასი (ესპანეთი), ფრედერიკ ჟოსინე (საფრანგეთი)

52 კგ. 1. ტელმა მონტეირუ (პორტუგალია), 2. ოდრი ლა რიზა (საფრანგეთი), 3. ილსე ჰეილენი (ბელგია), პეტრა ნარეკსი (სლოვენია)

57 კგ. 1. იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი), 2. ივონ ბიონიში (გერმანია), 3. საბრინა ვილმოზერი (ავსტრია), კიფაიატ გასიმოვა (აზერბაიჯანი)

**ვაჟები**

60 კგ. 1. რუსლან კიშმახოვი (რუსეთი), 2. ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი), 3. ნესტორ ხერგიანი (საქართველო), გალ იეკუტიელი (ისრაელი)

66 კგ. 1. ზაზა კედელაშვილი (საქართველო), 2. მილოშ მიალკოვიჩი (სერბეთი), 3. ტომაშ ადამეცი (პოლონეთი), ბენჟამენ დარბელე (საფრანგეთი)





ზაზა კედელაშვილი და ნესტორ ხერგიანი პოდიუმზე

## ჩოგბურთი




ნოვაკ ჯოკოვიჩი და გიორგი ჭანტურია თამაშის წინ

დევისის თასი

# სასწაული არ მოხდა

სასწაული არ მოხდა - დევისის თასის მატჩში ურეიტინგო **გიორგი ჭანტურიამ** ვერაფერი გაანწყო მსოფლიოს მეშვიდე ჩოგან ნოვაკ **ჯოკოვიჩთან**. ურეიტინგო ჭანტურია ცხოვრებაში მეორედ თამაშობდა დევისის თასზე, თანაც სამშობლოში გმირად დაბრუნებული მაიამი მასტერსის გამარჯვებულის, ნოვაკ ჯოკოვიჩის წინააღმდეგ. ერთადერთი, რაც საქართველოს ჩემპიონმა მოახერხა, ჯოკოვიჩს ერთი გეიმი მოუგო. 1:6, 0:3-ზე ჭანტურიამ ტრავმა მიიღო და მხოლოდ ორი გეიმი გაძლო, საბოლოოდ სერბები 1:0 დაწინაურდნენ.

ამის შემდეგ კოვილოვოს დარბაზის კორტზე სერბთა მეორე ჩოგანი **იანკო ტიპსარევიჩი** და ლადო ჩიხლაძე გავიდნენ. ტიპსარევიჩი მსოფლიოს 92-ე ჩოგანია, ლადო კი ხუთასეულის არიერგარდშია, დავუმატოთ ამას მშობლიური არენის ფაქტორი და კორტის საფარი (თიხნარი, რომელიც ძლიერი მოწოდების მქონე ჩიხლაძეს მეტოქეთა დამარცხებაში ვერ ეხმარება). სწორედ ძლიერი მოწოდების წყალობით ლადო ტოლ-სწორად ეომა ტიპსარევიჩს, რამდენჯერმე დაწინაურდა კიდეც, თუმცა ყოველი სეტის ბოლოს ტიპსარევიჩი ახერხებდა მეტოქის მოწოდების ართმევას - 4:6, 4:6, 5:7. მატჩის შემდეგ გამარჯვებულმა ტიპსარევიჩმა შემდეგი განაცხადა: *"ვფიქრობ, ამ შეხვედრამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. მთელი თამაში კონცენტრირებული ვიყავი, რომ შეცდომა რაც შეიძლება ნაკლები დამეშვა, რადგან ჩემს მეტოქეს მართლაც დიდებული მოწოდება აქვს".*

სხვათა შორის, 1,5 ათასიანი დარბაზი ორივე მატჩის განმავლობაში გადაჭედილი იყო. თამაშს სერბეთის პრეზიდენტი ბორის ტადიჩი დაესწრო.

პირველი სათამაშო დღის შემდეგ სერბეთის ნაკრები 2:0 დაწინაურდა და ისედაც უიმედო მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, საკმარისია დღეს **ბოზოლიაცმა** და **ტიპსარევიჩმა** ლადო ჩიხლაძეს და **გიორგი ხრიკაძეს** მოუგონ (მხოლოდ ეს ორი ჩოგბურთელი დაგვრჩა ჯანმრთელი, რადგან **ირაკლი ლაბაძის** შემდეგ მესამე ჩოგანი, გიორგი ჭანტურიაც გამოგვაკლდა) და სერბები მსოფლიო ჯგუფში გადასასვლელ ფლეი-ოფში გავლენ. ხვალ ნოვაკ ჯოკოვიჩი ლადო ჩიხლაძეს ეთამაშება, გიორგი ხრიკაძე კი იანკო ტიპსარევიჩს დაუპირისპირდება. სასწაული უკვე ველარ მოხდება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| დევისის თასი. ევრო-აფრიკული I ზონა. II წრე. |
|---|
| **სერბეთი-საქართველო 2:0** |
| ნოვაკ ჯოკოვიჩი-გიორგი ჭანტურია 6:1, 5:0 (შეწყვიტა) |
| იანკო ტიპსარევიჩი-ლადო ჩიხლაძე 6:4, 6:4, 7:5 |
| **დიდი ბრიტანეთი-ჰოლანდია 2:0** |
| ენდი მარი-რემონ სლუიტერი 6:3, 7:5, 6:2 |
| ტიმ ჰენმანი-რობინ ჰაასე 7:6, 6:3, 7:6 |
| **ისრაელი-იტალია 2:0** |
| დუდი სელა-ანდრეას ზეპი 6:3, 7:5, 1:6, 3:6, 6:3 |
| ნოამ ოკუნი-სიმონე ბოლელი 7:5, 7:5, 6:4 |
| **მაკედონია-სლოვაკეთი 0:2** |
| ლაზარ მაგდინჩევი-მიხალ მერტინაკი 3:6, 2:6, 6:4, 4:6 |
| პრედრაგ რუსევსკი-დომინიკ ჰრბატი 2:6, 3:6, 3:6 |

## ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი

# წარმატებული დღე

მეოთხე ტურმა ქართველთათვის იმაზე უკეთ ჩაიარა, ვიდრე ველოდით, - ცხადია, იყო მარცხიც, მაგრამ გამარჯვებათა რაოდენობა ბევრად სჭარბობდა. ქულების შემატება კი ამ ეტაპზე ჰაერივით იყო საჭირო ჩვენებურთათვის - კიდევ ერთი წაფორხილება და ლიდერებს უიმედოდ ჩამოვრჩებოდით.

ამ კონტექსტში ყველაზე წარმატებული **ნანა ძაგნიძე** გამოვიდა - ის შავებით ხვდებოდა ფრანგ **სილვია კოლასს** და ძალიან რთულ ბრძოლაში აჯობა. ამ მოგებით ძაგნიძეს 3.5 ქულა გაუხდა და მესამე-მეცხრე ადგილებს იყოფს. 4 ქულით პირველ-მეორეზე აზერბაიჯანელი **ზეინაბ მამედიაროვა** და რუსი **ტატიანა კოსინცევა** არიან.

ძალიან საინტერესოდ წარიმართა ქართული დერბი - **სალომე მელია სოფიკო გურამიშვილს** ხვდებოდა. თეთრებით მოთამაშე მელიამ დებიუტში შეცდომა დაუშვა და ფიგურით ჩამორჩა, თუმცა გარკვეული კომპენსაცია ჰქონდა - სოფიოს ფიგურები კარგად არ ჰყავდა განვითარებული, თუმცა დროთა განმავლობაში საქმეში მაინც უნდა ჩაბმულიყვნენ. ნელ-ნელა ასეც მოხდა და გურამიშვილის უპირატესობაც გამოიკვეთა, მაგრამ ენდშპილში უხეშად შეცდა და, ზედმეტი ფიგურის მიუხედავად, დამარცხდა. სოფიკოს, სამწუხაროდ, ასეთი რამ მეორედ მოსდის ტურნირზე - პირველ ტურში უნგრელ **ტრანგთან** მოგებული წააგო. ორი ქულა კი ძალიან დიდი ფუფუნებაა.

3-3 ქულით სამი ჩვენიანია. **არახამიამ** და **ჯავახიშვილმა** გუშინ ყაიმით ითამაშეს, **ნინო ხურციძემ** კი სამ ქულას მოგებით მოუყარა თავი.

მოიგო **სოფიკო ხუხაშვილმა** და 2.5 ქულა აქვს, წააგო **სოფიკო გვეტაძემ** და 2 დაურჩა, **მარიამ დანელიაც** დამარცხდა და 1 ქულა აქვს.

ვაჟებში გამოსარჩევი წარმატებით **დავით შენგელიამ** ითამაშა - მოლდოველ **ვიქტორ ბოლოგანს** მოუგო, რომელიც 2003 წლის "აეროფლოტის" გამარჯვებულიც არის და იმავე წლის დორტმუნდის სუპერტურნირის მომგებიც. შენგელიას 3 ქულა გაუხდა და ლიდერებს მიუახლოვდა, ისევე როგორც **დავით არუთინიანი**.

გაიმარჯვეს **ზურაბ აზმაიფარაშვილმა, გიგა ყაჭეიშვილმა** და **ბაადურ ჯობავამ**; ყაიმით ითამაშეს **მიხეილ მჭედლიშვილმა, თორნიკე სანიკიძემ** და **კონსტანტინე შანავამ**. როგორც ხედავთ, 9 ქართველი ვაჟიდან ექვსმა მოიგო, სამმა კი ყაიმით დაასრულა შეხვედრა, რაც, ცხადია, შესანიშნავი შედეგია. ქალბატონებში ოთხმა იმარჯვა, სამმა ყაიმით დაასრულა და სამმაც მარცხი განიცადა. ასეთი პროცენტული მაჩვენებლით თუ გააგრძელეს ქართველებმა სვლა, ალბათ რიგიან შედეგებსაც მიაღწევენ.

4-ქულიანი ვაჟებში არავინ არის, სამნახევრიანი კი 12 მოჭადრაკეა. 3-ქულიანთა რაოდენობა ძალიან დიდია - 71. ქალბატონებში 4-ქულიანი, უკვე მოგახსენეთ, რომ ორია, 3.5-იანი კი - 7; სამქულიანთა რაოდენობა აქაც ბევრია - 22. სატურნირო კიბიდან ისე ჩანს, რომ უფრო მეტი იმედები ქალების უნდა გვქონდეს, თუმცა არაა გამორიცხული ვაჟებმაც გამოილონ ხელი. დღეს, ხვალ და ზეგ დრეზდენში მორიგი ტურებია. 10 აპრილს ევროპის ჩემპიონატზე ერთადერთი დასვენების დღეა.

**ზვიად შათირიშვილი**

### მეოთხე ტური

ქალები: **ქეთევან არახამია-გრანტი** - მარტა მიხნა 0.5:0.5, სილვია კოლასი - **ნანა ძაგნიძე** 0:1, **ლელა ჯავახიშვილი** - ვერა იურგენსი 0.5:0.5, **ნინო ხურციძე** - ილაჰა კადიმოვა 1:0, ანა რუდოლფი - **სოფიო გვეტაძე** 1:0, მარინა მაკროპულო -**მაია ლომინეიშვილი** 0.5:0.5, **სალომე მელია** - **სოფიკო გურამიშვილი** 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი** - დეიმანტე დაულიტე 1:0, ალექსანდრა შტირი - **მარიამ დანელია** 1:0

ვაჟები: **დავით შენგელია** - ვიქტორ ბოლოგანი 1:0, სებასტიან მაზე - **მიხეილ მჭედლიშვილი** 0.5:0.5, ალექსანდერ გაშტოფერი - **დავით არუთინიანი** 0:1, **ბაადურ ჯობავა** - კონსტანტინოს კლოკასი 1:0, თომას ლუთერი - **თორნიკე სანიკიძე** 0.5:0.5, გიუნტერ შპისი - **კონსტანტინე შანავა** 0.5:0.5, **გიგა ყაჭეიშვილი** - ლეანდერ ფინკი 1:0, **ზურაბ აზმაიფარაშვილი** - სტეფან ბუშელი 1:0, გერალდ ლიოვი -**დავით ლობჟანიძე** 0:1

### მეხუთე ტური

ქალები: ზეინაბ მამედიაროვა (4) - ტატიანა კოსინცევა (4), **ნანა ძაგნიძე (3.5)** - ჰოანგ ტრანგი (3.5), ტატიანა ვასილევიჩი (3) - **ნინო ხურციძე** (3), ოქსანა ვოზოვიჩი (3) - **ქეთევან არახამია-გრანტი** (3), კარმენ ვოიკუ (3) - **ლელა ჯავახიშვილი** (3), ჯესიკა ნილი (2.5) - **სალომე მელია** (2.5), **სოფიკო ხუხაშვილი** (2.5) - ჰაიკე ფოგელი (2.5), **სოფიო გვეტაძე** (2) - დოლჟიკოვა (2), **მაია ლომინეიშვილი** (2) - ლულია-იონელა იონიცა (2), **სოფიკო გურამიშვილი (1.5)** - მონიკა ციგანოვა (1.5), **მარიამ დანელია** (1) - ბეთულ ილდიზი (1)

ვაჟები: 3.5 ქულით ლიდერობს 12 მოჭადრაკე; **დავით არუთინიანი (3)** - ვიქტორ ლაჟნიცკა (3), **დავით შენგელია (3)**-ლეონიდ კრიცი (3), რობერტ რაკი (2.5) - **ბაადურ ჯობავა** (2.5), **მიხეილ მჭედლიშვილი** (2.5) - კარელ ვან დერ ვეიდე (2.5), **დავით ლობჟანიძე** (2) - **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (2), **თორნიკე სანიკიძე** (2) - სუათ ათალიქი (2), მიჰაი-ლუჩან გრინბერგი (2) - **გიგა ყაჭეიშვილი** (2), **კონსტანტინე შანავა** (2) - უმუთ ათაქისი (2)

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორის სვეტი

## დარტყმა ბავშვთა სპორტს!

### ...ანუ, პირამიდა ამოყირავდა

გაერთიანებას თავისი უპირატესობა გააჩნია. ცხადია, ყველაფერი თუ კარგადაა აწონილ-განსჯილი და გულდინჯადაა გათვლილი მოსალოდნელი შედეგი. თუმცა, გააჩნია, საქმე რასთან გვაქვს. მაგალითად, ბავშვთა სპორტში, რაც მეტი იქნება სპორტული სკოლები და სექციები, მით უკეთესი. ე.ი. მით უფრო მეტი მოზარდი ეზიარება სპორტის სიკეთეს და, აქედან გამომდინარე, ცხოვრების ჯანსაღ წესს. მოკლედ, სპორტში, განსაკუთრებით ბავშვთა სპორტში, გაერთიანება, მით უფრო სპორტსმენთა მომზადების პირამიდის საფუძველში, ვერავინ იტყვის, რომ გამართლებულია: სპორტულ სკოლას ბაზა თუ არ გააჩნია, ეს კიდევ გასაგებია, დახურვას, უმჯობესია, ვინმეს შეუერთო და გადაარჩინო. მაგრამ, როცა სპორტსკოლა არსებობისთვის ორივე უმთავრეს მოთხოვნას - კადრები და ბაზა, აკმაყოფილებს, სხვას რატომ უნდა შეუერთო?

კონკრეტულად ლაპარაკია თბილისის უძველეს ტანვარჯიშულ სპორტულ სკოლაზე, რომელიც სპორტის ამ სახეობის ლეგენდარული წარმომადგენლის გ. ეგნატაშვილის სახელს ატარებს, ათეული წლებია თბილისში პეტრიაშვილის ქუჩაზე სპეციალიზებულ სპორტულ დარბაზში ფუნქციონირებს და ჩემპიონთა თაობებს ზრდის.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, უკვე გადაუწყვეტიათ ეს სკოლა შეუერთონ სანაპიროზე მდებარე ამავე პროფილის მეორე ობიექტს. რა გამოვა აქედან? სპეციალისტები და მშობლები შეშფოთებულნი არიან და მიაჩნიათ, რომ სპორტის ტანჯვარჯიშული სახეობების ხვალინდელ დღეს, თუ ჩანაფიქრი განხორციელდა, სერიოზული საფრთხე ემუქრება. თურმე, 35-ე და "ავაზას" საფეხბურთო სკოლების გაერთიანებაც დგას დღის წესრიგში.

აგერ, ამ დღეებში, ჩვენს მეზობელ დიდ რუსეთში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბავშვთა სპორტი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანეს. თუ რატომ, გასაგებია: სურთ, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩააბან სპორტულ სექციებში და გზა მოუჭრან ბავშვთა შორის დანაშაულს, იწყება სპორტული ობიექტების მასობრივი მშენებლობები. ჩვენ კი მოზარდებს სპორტსმენთა მომზადების ცნობილი კერებიდან ვაძევებთ. როგორც ამბობენ, შენობა პეტრიაშვილზე გაიყიდება, "ავაზას" ტერიტორიაც...

ბატუტზე ხტომა



ლუბა გოლოვინა

ინტერვიუ რუსუდან ხოფერიასთან

## სალიცენზიო წლის ცუდი დასაწყისი

### უმწვრთნელოდ, უმსაჯოდ ამერიკაში

**ამერიკის შეერთებულ შტატებში დასრულდა ბატუტისტთა მსოფლიო თასის ეტაპი, სადაც ჩვენი ახალგაზრდა ბატუტისტებიც გამოდიოდნენ. ქართველთათვის ლეიკ პლესიდში გამართული მსოფლიო თასის ეტაპი წლის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება იყო, რომელიც, წარუმატებლად დასრულდა.**

**ყველაზე მეტად ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ ლუბა გოლოვინასი გვეიმედებოდა. თუმცა, იგი 36 მონაწილეს შორის 59.30 ქულით მხოლოდ 26-ე იყო და ფინალური რვიანის მიღმა დარჩა.**

**ვაჟებში 58 ბატუტისტს შორის, თენგიზ კოშკაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 38-ე შედეგი (64.70 ქულა) აჩვენა, ხოლო ზურაბ ჭყონია 37.10 ქულით, ბოლოსწინა 57-ე ადგილზე გავიდა. ამ უქმეებზე, ანალოგიური ტურნირი გაიმართება კანადაში.**

**წესით, გუნდთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი რუსუდან ხოფერია და ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი. თუმცა ისინი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, თბილისში დარჩნენ. ამაზე თავად რუსუდან ხოფერია გვიამბობს.**

- სამწუხაროდ, სპორტსმენები ამერიკასა და კანადაში, ფაქტობრივად, უპატრონოდ გავუშვით. მათ მხოლოდ ლუბს მწვრთნელი ვლადიმერ გოლოვინი გაჰყვათ. არადა, მე ტურნირზე უნდა მემსაჯა, სადაც ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ჩვენი ბატუტისტები ჩემს კოლეგებს არ დაეჩაგრათ. ამას გარდა, აუცილებელი იყო ზაურ სულაშვილის იქ ყოფნაც, რომელიც სათანადო კონსულტაციებს გაუწევდა სპორტსმენებს, საჭიროების შემთხვევაში მათ პროგრამებში ცვლილებებს შეიტანდა და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, თბილისში მოგვიხდა დარჩენა და თავიდანვე ვიცოდით, რომ ლეიკ პლესიდში კარგი შედეგის ჩვენება საკმაოდ რთული იქნებოდა.

**- რატომ ვერ წახვედით ამერიკაში?**

- ამერიკის საკონსულოში შეგვექმნა დიდი პრობლემები. მთავარი დამნაშავეა საკონსულოს ოფიცერი ქალბატონი, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, არ მახსოვს. მან ძალიან დიდი სირთულეები შეგვიქმნა. ჩვენ კი არა, თავიდან ლუბას და მამამისსაც კი არ უშვებდა ამერიკაში. საქმე ის არის, რომ ვიზების საკითხის მოგვარების პროცესში, იგი ლუბას შეეკითხა, რომელ ქვეყანაში გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ამის შემდეგ კი სულაშვილს ჰკითხა, სად გახდა ლუბა ევროპის ჩემპიონიო. რა თქმა უნდა, ორივე ქვეყანა დაუსახელეს, რამაც საკონსულოს ოფიცერი ძალიან გააბრაზა - რატომ მეუბნებით სხვადასხვა ქვეყანას, მატყუებთო. ზაური მიხვდა, რომ ოფიცერმა კითხვა არასწორად დაუსვა და ეს უთხრა კიდეც, რამაც უარესად გაალიზიანა ამერიკელი და საკონსულოს დაცვას დაუძახა - აქედან გაათრიეთ ესენიო.

მოკლედ, ასეთი აბსურდის და საშინელი შეურაცხყოფის გადატანა მოგვიხდა. რა თქმა უნდა, საკონსულოში მეც ვთქვი ჩემი სიტყვა და შესაბამისად, დამსაჯეს. საბოლოოდ, ბატუტისტები და ვლადიმერ გოლოვინი კი გაუშვეს ამერიკაში, მაგრამ მე და ზაურ სულაშვილს ვიზები არ მოგვცეს - აქაოდა, საბუთები არ გაქვთ წესრიგშიო. ვაშინგტონშიც ასეთი ინფორმაცია მიაწოდეს ჩვენს შესახებ. არადა, ყველაფერი წესრიგში გვქონდა, ამერიკაში სხვა დროსაც ვყოფილვარ და წესით, არანაირი პრობლემა არ უნდა შეგვქმნოდა.

ამას გარდა, აღებული გვქონდა ჯერ ამერიკაში, შემდეგ კი კანადაში წასასვლელი და უკან დასაბრუნებელი ბილეთები. ისე მოხდა, რომ უკან დასაბრუნებელი ბილეთებიც აღარ მიიღეს უკან და ვეღარც კანადაში წასვლას ვახერხებთ, რადგან ახალი ბილეთების შეძენა ძვირი ჯდება, ფული კი არ გვაქვს.

**- საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არ ჩააყენეთ საქმის კურსში?**

- მივმართეთ სპორტის დეპარტამენტს, სამინისტროსა და ოლიმპიურ კომიტეტს. მათ დროული რეაგირება მოახდინეს და ამერიკის საკონსულოს პასუხი მოსთხოვეს. თუმცა ამერიკელებმა უთხრეს, რომ ხუთშაბათამდე ვერ მოიცლიდნენ ჩვენთვის. არადა, სამშაბათს თუ არ წავიდოდით, მერე უკვე გვიან იყო და საბოლოოდ, ისევ თბილისში დარჩენა მოგვიხდა.

**- თქვენი წაუსვლელობის გამო, ტანვარჯიშის სახეობათა საერთაშორისო ფედერაცია პასუხს მოგთხოვთ...**

- რა თქმა უნდა. საერთაშორისო ფედერაციის წესდებით, ყველა ქვეყანას ასეთი დონის შეჯიბრებებზე თავისი მსაჯი უნდა ჰყავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარიმო სანქციები მოქმედებს. ჩვენ უკვე ჩავაყენეთ საერთაშორისო ფედერაცია საქმის კურსში და ვუთხარით, რომ ამერიკა-კანადაში ვერწასვლა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო მოხდა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მაინც დაგვსაჯონ.

**- ვიმედოვნებთ, ასე არ მოხდება. კანადიდან დაბრუნების შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

- კანადის მსოფლიო თასის ეტაპის დასრულებისთანავე, 10 აპრილისთვის, გუნდი თბილისში დაბრუნდება და აქვე გააგრძელებს სამზადისს. წლეულს ჩვენი მთავარი შეჯიბრება ნოემბერში გასამართი პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატია. იქამდე, ივნისსა და აგვისტოში, მსოფლიო თასის კიდევ ორ ეტაპზე ვაპირებთ გამოსვლას ბულგარეთსა და რუსეთში.

**კობა ხატისაშვილი**

კრივი. ახალგაზრდული ნაკრები

## ორი ბრინჯაო და ერთი ტურნირი ევროპამდე

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დაბრუნდა უკრაინიდან, სადაც საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა. ტურნირზე არსებული ასაკობრივი ცენზის გამო მწვრთნელმა ბეჟან ჭიჭინავამ ბაქოში მხოლოდ 5 მოკრივე იახლა. აქედან, ორი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა სამშობლოში. ჭიჭინავას თქმით, წლეულს მთავარი შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატია, რომელზე წასაყვანი შემადგენლობაც იქამდე გამართულ კიდევ ერთ ტურნირზე გამოიკვეთება.**

- უკრაინელებმა საკმაოდ რიგიანი ტურნირი ჩაატარეს. უკეთესი იქნებოდა, რომ ოქროს მედალი ჩამოგვეტანა, მაგრამ არც ორი ბრინჯაოთი ვარ უკმაყოფილო. მით უმეტეს, რომ წლეულს ეს ჩვენი პირველი გასვლა იყო უცხოეთში.

პირველსავე შეხვედრებში დამარცხდნენ **დავით გაბისიანი** (48 კგ), **პაატა გვილავა** (54) და **ვახტანგ წინამძღვრიშვილი**, რომელმაც ჩვეული 54-ის ნაცვლად, 57 კილოგრამში იჩხუბა. ორი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო **გაგა ელიაშვილმა** (69), რის შემდეგაც ნახევარფინალში უკრაინელ ევროპის ჩემპიონატის პრიზიორსა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტს გადაეყარა. სამწუხაროდ, მსაჯების სიმპათია აშკარად მასპინძლისკენ გადაიხარა. ნახევარფინალამდე მიაღწია **დავით გოგიშვილმაც** (81). სამწუხაროდ, მან ნეკნი დაიზიანა, რის გამოც, ინგლისელ მეტოქესთან მესამე რაუნდში მოვხსენით ბრძოლიდან. მართალია, იმ მომენტისთვის, გოგიშვილი 7:2 იგებდა, მაგრამ ვერ გავრისკეთ.

ახლა მოკრივეებიც ცოტას დაისვენებენ და შემდეგ საქართველოში გააგრძელებენ სამზადისს საზაფხულო ევროპის ჩემპიონატისთვის. იქამდე, მაისის ბოლოს, კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ, სადაც სრული შემადგენლობით ვიასპარეზებთ და საბოლოოდ გაირკვევა ის შემადგენლობა, რომელსაც კონტინენტის პირველობაზე წავიყვანთ. საქართველოს კრივის ფედერაცია ორ ვარიანტზე მუშაობს - მაისის ბოლოს, ერთდროულად იმართება პოლონეთისა და გერმანიის საერთაშორისო ტურნირები, ერთ-ერთი უნდა შევარჩიოთ.

**კობა ხატისაშვილი**

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. U-16

## ყაიმი არ ეყო

ბოლო ტურის წინ ერთპიროვნულ ლიდერ **დავით ბენიძეს**, რომელიც უახლოეს მდევარს, **დავით ლომსაძეს** ნახევარი ქულით უსწრებდა, ჩემპიონობისთვის ყაიმი შესაძლოა, არც ჰყოფნოდა. ბენიძეს შავებით **ნოდარ დავარაშვილი** უნდა დაემარცხებინა და პირველ ადგილს ასე ინაღდებდა.

ცხადია, ყაიმიც შეიძლება ჰყოფნოდა და წაგებაც, თუკი ლომსაძე ვერ იხეირებდა. მდევარიც შავებით თამაშობდა და მეტოქედ ალმავლობის გზაზე მდგარი **ირაკლი ჯანიაშვილი** ჰყავდა. ბენიძემ ბევრი იბრძოლა, მაგრამ დავარაშვილის დამარცხება ვერ შეძლო. ყაიმს დასჯერდა. როცა დავარაშვილი-ბენიძის პარტია დასრულდა, ლომსაძეს უკვე დმარცხებული ჰყავდა ჯანიაშვილი და ამით ყველაფერი გაირკვა.

ორივეს 7.5 ქულა დაუგროვდა, უკეთესი კოეფიციენტის გამო ჩემპიონად დავით ლომსაძე გამოცხადდა. შესაბამისად, ჩემპიონმა 16-წლამდელთა მსოფლიო პირველობის საგზური მიიღო, ბენიძეს კი ევროპის ჩემპიონატზე ერგო დაფინანსება.

სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, ვინ დაიჭერდა მესამე საფეხურს. უმთავრესი ფავორიტი **ლუკა პაიჭაძე** იყო და ასეც მოხდა - ლუკამ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. ის გადამწყვეტ პარტიაში შავებით **დიმიტრი კვარაცხელიას** ხვდებოდა. პარტია ყაიმი დასრულდა, სამმა მონაწილემ კი 6.5



დავით ლომსაძე

ქულით დაასრულა ჩემპიონატი. კოეფიციენტით პაიჭაძეს აღმოაჩნდა უკეთესი, მეოთხეზე დავარაშვილი გავიდა, მეხუთეზე - კვარაცხელია.

გოგონებში ჩემპიონი ცნობილი იყო - **ქეთი ნანალაშვილი**. მეორე ადგილის მთავარი პრეტენდენტი **სალომე ხაჟომია** გახლდათ, რომელსაც 6.5 ქულა ჰქონდა და ნახევარი ქულით უსწრებდა **თინათინ ბერიძეს**. უკეთესი კოეფიციენტის გამო უპირატესობა ხაჟომიას ჰქონდა, ამიტომ მას ყაიმიც აძლევდა ხელს. სალომემ **მერი არაბიძესთან** თეთრებით ფრთხილად, მაგრამ გააზრებულად ითამაშა და სასურველ შედეგს მიაღწია. მეორე ადგილი და ევროპის ჩემპიონატის საგზური მისი საკუთრება გახდა.

მესამე ადგილი ბერიძეს ერგო, რომელმაც ბოლო ტურშიც კარგად ითამაშა, შავებით მოუგო **ნათია ჯალაბაძეს** და 7 ქულით დაასრულა ტურნირი.

დაჯილდოების ცერემონიალი ორი ნაწილისგან შედგებოდა. საქმე ისაა, რომ პირველად ქართული ჭადრაკის ისტორიაში, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი საჭადრაკო კომპოზიციის ამოხსნაში. ინიციატორი ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი, ორგზის მსოფილო ჩემპიონი კომპოზიციების შედგენაში **დავით გურგენიძეა**. ბატონმა დავითმა მერვე ტურის შემდეგ ყველა მსურველს მისცა საშუალება, ჩემპიონატში მონაწილეობისა.

მედლები 16 წლამდე ასაკის გოგონებსა და ბიჭებს შორის გათამაშდა. მონაწილეებს ექვსი ერთნაირი ამოცანა და ეტიუდი დაურიგდათ, ამოსახსნელად საათნახევარი იყო გამოყოფილი. მაქსიმალური - 30 ქულა ვერავინ მოაგროვა. გამარჯვებული **ალექსანდრე მერაბიშვილი** გახდა (28.5) მეორეზე გავიდა **ირაკლი ჯანიაშვილი, ნიკა ქუმსიაშვილმა** მესამე ადგილი დაიკავა.

გოგონებში სამმა მონაწილემ თანაბარი ქულები დააგროვა, ამიტომ ჩემპიონი არ გამოცხადდა. სამივეს ერთნაირი ჯილდო ერგო - **მარიამ სამურკასოვს, თეკლა მაჭარაშვილსა და ნატო იმნაძეს**.

**ზვიად შათირიშვილი**

ამ სტატიის თანმხლები ფოტო გასულ კვირას ესპანურ ინტერნეტ სივრცეში აღმოვაჩინეთ. თუ დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ ნიკა ცქიტიშვილის პორტრეტის მარცხნივ არცთუ მცირე სტატიაა.

უმალ ფოტოს პირველწყაროს ძიებას შევუდექით. გამოგიტყდებით, მის საპოვნელად ინტერნეტში ერთდღიანი ქექვა საკმარისი არ აღმოჩნდა. იმასაც გეტყვით, რომ ორიგინალს მაინც ვერ მივაგენით, თუმცა ''რამდენიმე საუკუნით გვიან გადაწერილი ეგზემპლარი'' მაინც აღმოვაჩინეთ და ისიც გავარკვიეთ, რომ სურათზე გამოსახულ პირველ გვერდს ვრცელი გაგრძელება ჰქონდა.

შესავალისთვის ესეც საკმარისია, მით უმეტეს, რომ "გადაწერილ დოკუმენტსაც" თავისი წინასიტყვაობა ახლავს, საიდანაც ვიგებთ, რომ ამ ანალიზის თავდაპირველი ვარიანტი ჟურნალ ''გიგანტებში'' დაიბეჭდა.



რას წერენ ქართველებზე

# ფულზე მეტად კალათბურთი მიყვარს

## ...ამიტომაც დავბრუნდი ევროპაში




**ნ**იკოლოზ ცქიტიშვილს ფერადოვანი ბიოგრაფია აქვს, ახალგაზრდულ ასაკში NBA-ს 5 გუნდი მოიარა, მაგრამ მის კარიერას თან ბურუსი სდევს. ევროპაში თამაში ვერც მოასწრო, რომ 2002 წელს NBA-ს დრაფტზე მე-5 ნომრად აირჩიეს. ამას მოჰყვა დიდი ანაზღაურება და იმედების გამართლების მოუთმენელი მოლოდინი.

*"დენვერში" ისე მიყურებდნენ, თითქოს დირკ ნოვიცკი ვყოფილიყავი. მე კი, პირველ რიგში, სათამაშო პრაქტიკა მჭირდებოდა.* -იხსენებს სკიტა, რომელიც დრაფტიდან მეხუთე წელს ქარმა "სევილიაში" გადმოაგდო. იგი ესპანეთში იმის საძიებლად ჩამოვიდა, რაც NBA-მ ვერ მისცა - თვითრწმენის, სიამაყის, სათამაშო პრაქტიკის...

განებავთ "სკიტას ფენომენის" უკეთ გაცნობა? მაშინ გაეცანით ჟურნალ "გიგანტებში" გამოქვეყნებულ კიკე პეინადოს ფანტასტიკურ პუბლიკაციას სახელწოდებით "სიამაყის ძიებაში".

არსებობს წიგნი "წარმატების ზღვარი", რომლის ავტორი მალკოლმ გლადველი ცდილობს ახსნას წარმატების მომტანი ესა თუ ის საგანი მოულოდნელად რატომ გადადის ადამიანთან, ვისაც არც სხვებზე მეტი სარეკლამო კამპანია უწარმოებია და არც ლატარიის მოგების მსგავსი ექსტრაორდინალური ამბავი შემთხვევია. ეს წიგნი რაღაც დაშიფრულის გაშიფვრას ემსახურება: ბედის ნაპერწკლის... მეტი სიცხადისთვის საბაზრო მაგალითს მოვიყვანთ – არსებობს რაღაც წერტილი, როცა ამა თუ იმ საბაზრო პროდუქციაზე მოთხოვნილება სხვებზე ერთიორად იზრდება და მასობრივი წარმოება ხდება აუცილებელი. ყოველივე ამას კი მწარმოებლისთვის დიდი წარმატება მოაქვს. ე.ი. ბედის ნაპერწკალი სწორედ იმ წერტილში აენთო...

აი, სწორედ ასეთმა ნაპერწკალმა გამოანათა იტალიის ქალაქ ტრევიზოში 2002 წელს. "ბენეტონის" მფლობელის, **მაურიციო ჯერარდინის** ხელში აღმოჩნდა "პროდუქცია", რომელზეც მოულოდნელად დიდი მოთხოვნილება გაჩნდა, შედეგად ნიკოლოზ ცქიტიშვილი მონათლეს 2002 წლის დრაფტის მესიად, რომელიც ყველას სურდა, ყველას სჭირდებოდა. მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ ამერიკელები ვერ აცნობიერებდნენ მთავარს – რაში სჭირდებოდათ, ან სჭირდებოდათ კი?

თანამედროვე საკალათბურთო სამყაროში საზღვრები ბოლომდე გაიხსნა და დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგებიც მოიტანა. მთავარი მინუსი მოთამაშეების ზედმეტი რეკლამირებაა, რომელიც მათ საკუთარ შესაძლებლობებზე მცდარ წარმოდგენას უქმნის. რეკლამა ხშირად მყიდველსც უხვევს თვალს. ხოლო, ის ვინც რეალურად აფასებს მოვლენებს ნეიტრალურია – მას არც კალათბურთელის კონტრაქტსი ჩარევის უფლება აქვს და არც რჩევას ჰკითხავს ვინმე. ამ კატეგორიის ხალხს, უბრალოდ, გულშემატკივრებს უწოდებენ.

**ნიკა ცქიტიშვილი** NBA-ში გატარებული 4 კატასტროფული წლის შემდეგ სევილიის "კახა სან ფერნანდოში" საპირისპირო ვითარებაში მივიდა: ყველა ფიქრობდა, რომ ის საუკეთესო იყო, მაგრამ თავად სკიტამ კარგად იცოდა, რომ ასე არ იყო. ...იცოდა საკუთარი კარიერიდან გამომდინარე:

16 წლისამ ნაადრევად დატოვა მშობლიური საქართველო და ჩაირიცხა სლოვენიის "სლოვანში", რომლის პირველ გუნდშიც არასაკმარისი სათამაშო დრო ჰქონდა. და, ორი წლის მერე, როცა უნდა ეთამაშა, სწორედ მაშინ გადავიდა იტალიის "ბენეტონში". ტრევიზოელთა შემადგენლობაში 18 წლის ქართველი ევროლიგაზე საშუალოდ ექვს წუთს თამაშობდა, მომდევნო წელს დრო მხოლოდ ორჯერ გაეზარდა...

სათამაშო პრაქტიკის უკმარისობა და მოუმწიფებლობა, 2002 წელს მისმა კარგმა საკალათბურთო შესახედაობამ და დაყენებულმა სროლამ გადაწონა. "დენვერ ნაგეთსის" ხელმძღვანელებმა ცქიტიშვილი მშვიდად აიყვანეს დრაფტის მე-5 ნომრად. მეხუთეობის წყალობით მას სამწლიანი, შვიდმილიონიანი კონტრაქტი და ნორმალური საცხოვრებელი პირობები აქვს, მაგრამ არ აქვს დანარჩენი, ის რაც კალათბურთელს სჭირდება. ნიკოლოზს არასოდეს გააჩნდა საკმარისი დრო ხუთი-ხუთზე სათამაშოდ. სწორედ ამისთვის მოიცალა "კახაში" და ყველაფერის ახლიდან დაწყება უწევს. სკიტას ბევრი უნახავს და იცის რა როგორ გააკეთოს.

### თქვენ როგორ მოიქცეოდით?

*"ნიკოლოზ ცქიტიშვილი საკალათბურთო სამყაროს განსაკუთრებული მოვლენაა. იგი წლევანდელი დრაფტის ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეა"*, - ეს ფრაზა "დენვერის" გენერალურმა დირექტორმა **კიკი ვანდევეგემ** დრაფტისას წარმოთქვა. 2002 წელს არჩეულთაგან ოთხმა კაცმა NBA-ს ვარსკვლავთა მატჩს გაუგო გემო, ხოლო სკიტამ მას შემდეგ ხუთი გუნდი მოიარა - "დენვერი", "გოლდენ სტეიტი", "მინესოტა", "ფინიქსი" და "ნიუ იორკი". ამერიკული კალათბურთის ისტორიაში, 23 წლის ასაკში, ამდენი კლუბი ქართველის გარდა არც ერთ მოთამაშეს არ გამოუცვლია. 4 წლის განმავლობაში ნიკოლოზმა 172 შეხვედრა ჩაატარა, საშუალოდ 11.3 წუთში 2.9 ქულას აგდებდა და 1.7 მოხსნას აკეთებდა. ერთი შემთხვევითი ფაქტიც მოწმობს, რომ სადღეისოდ სკიტას ადგილი ამერიკიში არ არის – NBA-ს ოფიციალურ ინტერნეტ საიტზე ნიკოლოზ ცქიტიშვილის ფაილში მის ნაცვლად შეცდომით **ჯოშ დევისის** ფოტო ჩაუსვამთ.

მოდით ვაღიაროთ, რომ მან საკალათბურთო მწვერვალს ჩამოყალიბების ასაკში მიაღწია. სევილიიდან სკიტა საკუთარ კარიერას რეალისტის თვალით აფასებს, თუმცა მიაჩნია, რომ რაც მას გადახდა, გარდაუვალი იყო:

*"ვიცი, რომ "ბენეტონში" კიდევ სამი წლით უნდა დავრჩენილიყავი. მაგრამ ხალხს, ვინც ფიქრობს, რომ ამერიკაში გადასვლით საკუთარ კარიერას ზიანი მივაყენე, ვთხოვ დაუფიქრდეს მაშინდელ სიტუაციას: კალათბურთს იმიტომ ვთამაშობ, რომ მომწონს და მიყვარს, მაგრამ, ამასთან ეს ჩემი სამუშაოცაა. "დენვერიდან" შემომთავაზეს ძალიან დიდი თანხა. იმდენად დიდი, რომ უარს ვერავინ იტყოდა. მაშინ დავფიქრდი ჩემს ოჯახზე, ქვეყანაზე, საიდანაც ვარ და ნამდვილად არ ვიყავი იმდენად სულელი, რომ მეთქვა: გმადლობთ, მაგრამ მე ტრევიზოში ვრჩები. არც იმისგან ვიყავი დაზღვეული, რომ მეორე დღეს ფეხს მოვიტეხავდი და კარიერას ნაადრევად დავასრულებდი"*.

ასე რომ, იოლია ილაპარაკო სხვისი კარიერის შესახებ მაშინ, როცა არ ხარ სწორედ ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ცქიტიშვილი აღმოჩნდა. დღეს გასაგებია, რომ ღარიბ ქვეყანაში აღზრდილს მილიონებზე უარის თქმა არ შეეძლო *(ვფიქრობთ, სახელმწიფოს სიღარიბე არაფერ შუაშია. თუკი ცქიტო დაფიქრდა მაინც, მდიდარი ამერიკის ნებისმიერი მოქალაქე არც დაფიქრდებოდა – ვ. ს.).*

სკიტა იქვე აღიარებს, რომ NBA-ში გადასვლით საკუთარ კარიერას ავნო:

*"აუცილებელი იყო იტალიაში დარჩენა, სადაც საკუთარ თამაშს დავხვეწდი, თვითრწმენას გამოვიმუშავებდი და სათამაშო პრაქტიკას შევიძენდი. სწორედ ამის შემდეგ უნდა გამეხედა ამერიკისკენ. თვითრწმენა სათამაშო პრაქტიკას მოსდევს, ამისთვის კი აუცილებელია საშუალოდ 20 წუთზე მეტი დროის მოედანზე გატარება. "სლოვანშიცა" და "ბენეტონშიც" საშუალოდ 10 წუთს ვთამაშობდი. 2002 წლამდე მხოლოდ ინდივიდუალური ტექნიკის დახვეწა მოვასწარი. მისი პრაქტიკაში განსახორციელებლად დრო არ მქონდა. საქართველოში, სლოვენიასა და იტალიაში ორ-ორ წელს გავჩერდი. როცა ადგილთან შეგუებას ვიწყებდი, სწორედ მაშინ მიწევდა მისი დატოვება. მაშინ თითქმის ბავშვი ვიყავი და თითოეული საფეხურით ანაცვლება დიდ ემოციებთან იყო დაკავშირებული. ამჟამად ვხვდები, რომ ამ ცვლილებებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა გახლდით."*

### მეტი კითხვა, ვიდრე პასუხი

NBA-ში მოხვედრისთანავე ნიკოლოზ ცქიტიშვილი ვარსკვლავად მონათლეს. *"იგი გაცილებით ძლიერი და ათლეტურია ვიდრე დირკ ნოვიცკი. შეუძლია ხუთივე ამპლუაში თამაში. ვარჯიშისას საკუთარი თვალით ვნახეთ, სკიტამ ზედიზედ 10 სამქულიანი კალათში როგორ მოათავსა"*, - დაიწერა ESPN-ის ვებ-გვერდზე.

215 სმ. სიმაღლისაც რომ იყოს, განა მხოლოდ 10 სამქულიანის მიხედვით შეიძლება ვარსკვლავის იარლიყის მიწებება? მოკლედ ნიკოლოზის ამერიკაში წასვლას თან უფრო მეტი კითხვა ახლდა, ვიდრე პასუხი. აი, რას ამბობს ქართველი ფორვარდი:

*"დენვერში ჩასვლის პირველივე დღიდან ისე მექცეოდნენ, თითქოს დირკ ნივიცკი ვყოფილიყავი. არ ვიცოდი, ჩემგან რას ითხოვდნენ... მანამდე ევროპაში საშუალოდ 6 ქულას ვაკეთებდი და ერთ წელიწადში ნოვიცკიდ როგორ უნდა ვქცეულიყავი? მაშინ ხომ 100 კილოგრამსაც არ ვიწონიდი. ამ დროს შაკილ ონილისა და კევინ გარნეტის წინააღმდეგ თანაბრად უნდა მეთამაშა. მე კი ვიცოდი, რომ დრო მჭირდებოდა. სიტყვა "დროში" ვგულისხმობ როგორც სათამაშო წუთებს, ასევე რამდენიმე წელიწადს. მაგრამ ლოდინი არავის სურდა, ყოველი შეცდომის შემდეგ მესმოდა – როგორ შეიძლება ეს შეცდეს? მწვრთნელები ხვდებოდნენ, რომ უშეცდომოდ თამაშისთვის მზად არ ვიყავი, მაგრამ ამას მაინც ამბობდნენ. ასეთ ვითარებაში, ბოლოს და ბოლოს, ხვდები, რომ შენი არავის სჯერა, არავინ გეხმარება , შესაბამისად თვითრწმენაც იკარგება. ამერიკული კარიერის დროს მჭირდებოდა და მენატრებოდა ისეთი მწვრთნელი, რომელიც მენდობოდა და დამეხმარებოდა."*

### დაბრუნება, ანუ დასაწყისი

ევროპელები NBA-დან სხვადასხვა მიზეზის გამო ბრუნდებიან. ზოგი კარიერის ბოლის "ლუზის" ჩასაშვებად ჩამოდის (**პრედრაგ დრობნიაკი, დრაგან ტარლაჩი**), ზოგი – წინსვლისთვის (**ზორან პლანინიჩი, ირჟი ველში**). მოკლედ ამერიკიდან ევროპაში დაბრუნება ტრაექტორიის გაგრძელებაა, ან მისი დასრულება, მაგრამ ცქიტიშვილის შემთხვევა აქაც განსხვავებულია - "კახა სან ფერნანდოში" იმიტომ ჩაირიცხა, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

*"ესპანეთში თამაში იოლი ნამდვილად არ არის. სათამაშო დრო 40 წუთს არც აქ აღწევს, მაგრამ, რაც მთავარია, "კახაში" ნდობას ვგრძნობ. ვგრძნობ, რომ თამაში შემიძლია და აქაურებს ვჭირდები"*, – აცხადებს სკიტა და დასძენს:

*"ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდ სად ვითამაშებდი, მთავარი იყო მეგრძნო, რომ მცირედით მაინც ვჭირდებოდი. სევილია შესაფერისი ადგილი გამოდგა – აქ ვარჯიში და სწავლა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. NBA-ში ბევრი ინდივიდუალური მწვრთნელია, მაგრამ ყველა გადაღლილია, უამრავი საქმე აქვთ. იქ ინდივიდუალური წვრთნა 40 წუთს, მაქსიმუმ საათს გაგრძელდეს, "კახაში" კი ვარჯიშები ინტენსიური, სასიამოვნო და, რაც მთავარია, სასარგებლოა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ფრენა შემიძლია. წონაშიც დავიკელი..."*

ახლა ნიკოლოზ ცქიტიშვილის ამოცანა შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენაა... შესაძლებლობებისა და ნიჭისა, რომელიც მასში უხვადაა, მაგრამ დღემდე დაფარული იყო.

*"ვხვდები, რომ ამერიკაში იმაზე მეტხანს გავჩერდი, ვიდრე ეს საჭირო იყო. თუმცა, იქ კიდევ შეიძლებოდა ორი წლით გაჩერება, თუმცა ევროპაში ასაკოვანი დავბრუნდებოდი და კარიერის დასრულება უსახელოდ მომიწევდა. მაგრამ ასე არ მოვიქეცი, რადგან კალათბურთი ფულზე მეტად მიყვარს. რადგან მინდა, კარგი მოთამაშე გავხდე და, როცა სპორტულ ფეხსაცმელს ლურსმანზე ჩამოვკიდებ, უკან მოხედვამ და კარიერის გადათვალიერებამ სიამაყე მომანიჭოს."*

...სიამაყეს კი მილიონებით ვერ იყიდი.

მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



პარკერმა (ზემოთ) სტივ ნეში დაჯაბნა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# პოპოვიჩის პიტბული

არსებობს მცნება - "რეგულარულის გუნდი", რომელიც ძირითადად იმ კლუბებთან მიმართებაში არის ნახსენები, რომლებიც რეგულარულ ჩემპიონატში ძალიან მაღალი დონის კალათბურთს თამაშობენ, ფლეი ოფში კი ხასიათის სიმტკიცეს ველარ ავლენენ და ადრეულ ეტაპებზე თუ არ ვარდებიან, ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონის ტიტულისგან მაინც შორს რჩებიან.

ასეთი გუნდი "ფინიქს სანზია" და არ გეგონოთ, რომ არიზონელთა მსუბუქად გაკრიტიკების საბაბი მხოლოდ გუშინდელმა მარცხმა მოგვცა. რეგულარულში, "ფინიქსი" "სპურსთან" მანამდეც არაერთხელ შერცხვენილა, ხოლო თუ ბოლოდროინდელ სტატისტიკას გადავხედავთ, მაშინ ყველაფერი ნორმისამებრ ყოფილა - სან ანტონიოში "სანზი" ზედიზედ მეშვიდედ დამარცხდა და წინა 4 დაპირისპირებიდან, ტეხასელებს "ფინიქსთან" მატჩებში ორჯერ **ტიმ დანკანი** არ ჰყოლიათ.

**მაიკ დენტონის** გუნდი სწორედ მაშინ უკლებს ხოლმე, როდესაც ფლეი ოფი ახლოვდება. ეს არ ეხებათ ცალკეულ მოთამაშეებს (მაგალითად, **შონ მერიონი**), რომლებიც სტაბილურობის ეტალონად რჩებიან, თუმცა ძირითადი ბირთვი იმდენად დიდ რეგრესს განიცდის, რომ თამაშის ხარისხი ეტაპობრივად ეცემა.

ახლაც ასეა. მართალია, **სტივ ნეშმა** და კომპანიამ, ცოტა ხნის წინათ ზედიზედ მეორედ დააჩოქა "დალასი", მაგრამ თუ "მავერიქსისთვის" ეს ბოლო ათ მატჩში ოდენ ერთადერთი ნაგება იყო, "სპურსმა" კი ამდენივე შეხვედრაში 8 გამარჯვება მოიპოვა, დენტონის ბიჭები უკვე მეოთხედ აგებენ, წინ კი კიდევ ზედიზედ 3 გასვლაა.

"სპურსი" კი პიკში შედის. უკვე ბევრი შეეგუა იმას, რომ ჩემპიონის ბედი დასავლეთის ორ მძიმეწონოსანს შორის უნდა გადაწყდეს, "სანზს" კი ალბათ, კიდევ მინიმუმ ერთი წლით მოუწევს სხვის ჩრდილში ყოფნა.

დანკანს აღნიშნულ დაპირისპირებაში კვლავ ფატალურად არ მისდიოდა საჯარიმოები (9-დან მხოლოდ 2 სროლა გამოიყენა), მაგრამ ტიმმა დაცვაში არაჩვეულებრივად ითამაშა, **ამარე სტაუდმაიერს** ბოლო ერთი თვის განმავლობაში ერთ-ერთი სამარცხვინო მატჩი ჩაატარებინა და "ფინიქსის" ახალგაზრდა ფორვარდ-ცენტრს ორჯერ დაუფარა.

მასპინძლები შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ - ზურგის მიკროტრავმის გამო, კვლავ (ზედიზედ მესამედ) ვერ ითამაშა **ბრენტ ბერიმ**, ხოლო **რობერტ ორი** კი სავარაუდოდ, ფლეი ოფისთვის ისვენებს.

მიუხედავად ამისა, "სპურსმა" დიდი შესვენების შემდეგ, დაცვაში მარწუხებს მოუჭირა და ლიგის უსწრაფესი და ყველაზე შედეგიანი გუნდი ერთბაშად რამდენიმე ანტირეკორდს დააჯერა. "ფინიქსმა" პირადი "მიღწევები" შემდეგ კატეგორიებში "გააუმჯობესა" - თამაშიდან ზუსტი სროლების საერთო პროცენტული მაჩვენებელი (38.6 პროცენტი), მეორე შეტევაში გაკეთებული ქულები (6), ქულების საერთო რაოდენობა (85) და ზუსტი სამქულიანების რიცხვი (2).

ნეშმა კი პირწმინდად დათმო პრინციპული დუელი **ტონი პარკერთან**, რომელმაც 35 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა. კანადელმა ფლეიმეიქერმა ფრანგზე მეტი შედეგიანი გადაცემით ჩაამთავრა შეხვედრა, მაგრამ ერთბაშად 6 შეცდომა დაუშვა, მაშინ, როდესაც ტონის ანგარიშზე 41 წუთში ერთადერთი შეცდომა მოდიოდა. ამასთან ერთად, ნეშმა 14 სროლიდან 8 ვერ გამოიყენა. ნამატჩევს **გრეგ პოპოვიჩი** ხუმრობდა - ტონის მოედანზე ძვალი შევუგდე, რომელსაც "ფინიქსის" სუნი ასდიოდა და პარკერი მთელი მატჩის განმავლობაში პიტბულივით იყოო.

რაც შეეხება სტაუდმაიერს, მან 19 ტყორცნიდან 12 გააფუჭა და 5 საჯარიმოდან მხოლოდ 1 შეასრულა უშეცდომოდ. "სპურსი" ცხრილში კიდევ უფრო მიუახლოვდა "ფინიქსს", რეგულარულის მოგებაში კი "მავერიქსს" ხელს ველარავინ შეუშლის.

■ ■ ■

არ იმჩნევს **დუეინ უეიდის** არყოფნას და შეხვედრას შეხვედრაზე იგებს გადაბერებული, მაგრამ მაინც ჯანზე მყოფი და ჯერაც ჩემპიონი "მაიამი ჰიტი".

ფლორიდელებმა მორიგ მატჩში გასვლაზე "კავალიერსს" პრინციპული ჯახი მოუგეს, **ლებრონ ჯეიმსის** გუნდმა კი ერთი ნაგებით სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა და "ჩიკაგოს" ჩამორჩა.

დიდი ზარმაცი და ბოლმა კაცია **ანტუან უოკერი**, თუმცა ხანდახან მეომარი მასშიც ილვიძებს ხოლმე და ასეთ დროს, "მაიამის" მისგან მინიმუმ 15-ქულიანი ხეირი აქვს.

მართალია, ძირითადის ბოლოს მასპინძლებმა 11-ქულიანი ჰანდიკაპი ამოქაჩეს, მაგრამ დამატებით დროში სიქაგაცლილმა ლებრონმა ორი საბედისწერო შეცდომა დაუშვა და "ჰიტმაც" ფლეი ოფი გაინაღდა. ჯეიმსს ჯერ **ჯეისონ უილიამსმა** (32 წუთში 5 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი) ჩაუჭრა, მერე კი, **დრიუ გუდენისთვის** პასის ნაცვლად, თავად გადაწყვიტა შეტევა და გარბენი გააკეთა. ბოლოს **საშა პავლოვიჩს ალონზო მურნინგმაც** დაუფარა და **პატ რაილის** გუნდმა შეხვედრა დამსახურებულ გამარჯვებამდე მიიყვანა.

**ზურაბ თალაკვაძე**

| ს. ანტონიო-ფინიქსი | 92:85 |
|---|---|

20:19, 16:18, 35:22, 21:26

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (35 ქ. 3 პ), დანკანი (22 ქ. 10 მ. 5 პ. 5 დ), ფინლი (19 ქ. 10 მ), ელსონი (4 ქ. 10 მ).

**ფინიქსი:** ნეში (20 ქ. 7 პ. 4 მ), მერიონი (17 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), ა. სტაუდმაიერი (15 ქ. 8 მ. 2 ჩ), ბარბოსა (12 ქ. 2 ჩ), რ. ბელი (11 ქ. 13 მ. 3 ჩ).

| კლივლენდი-მაიამი | 90:94 (ო) |
|---|---|

24:24, 22:29, 10:16, 27:16, 7:11

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (35 ქ. 9 მ. 5 პ), გუდენი (14 ქ. 14 მ), ჰიუზი (14 ქ. 6 მ. 3 პ), პავლოვიჩი (14 ქ).

**მაიამი:** შ. ონილი (20 ქ. 8 მ), ა. უოკერი (20 ქ. 6 მ), ჰასლემი (15 ქ. 6 მ), ე. ჯოუნსი (13 ქ. 8 პ. 2 ჩ), კაპონო (11 ქ. 5 პ. 4 მ).



ფორმულა 1

## რაიკონენს პრობლემები აქვს

კვირას გასამართი მალაიზიის გრან-პრის წინ, პრობლემები შეექმნა "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენს**. როგორც ჩემპიონატის ლიდერმა განაცხადა, მისი ბოლიდის ძრავა ჩემპიონატის პირველი ეტაპის დროს დაზიანდა და ამის გამო, მანქანას სისწრაფე აკლია.

ახლა, "ფერარიში" დილემის წინაშე არიან: თუ იტალიელები ძრავას გამოცვლიან, მაშინ, რეგლამენტის თანახმად, კიმის სასტარტო ბილიკზე ათი პოზიციით დააქვეითებენ, მაგრამ დაზიანებული ძრავითაც სარისკოა რბოლაზე გასვლა.

ამასობაში, სეპანგის ტრასაზე პირველი თავისუფალი პრაქტიკა გაიმართა, სადაც საუკეთესო დრო რაიკონენის ბრაზილიელმა თანაგუნდელმა **ფელიპე მასამ** აჩვენა, რაც შეეხება კიმის, ის მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

თავისუფალი ვარჯიშის სრული შედეგები ასეთია:

1. **მასა** (ბრაზილია, "ფერარი") - 1.34,972; 2. **ალონსო** (ესპანეთი, "მაკლარენი") - 1.35,220; 3. **ჰემილტონი** (ბრიტანეთი, "მაკლარენი") - 1.35,712; 4. **რაიკონენი** (ფინეთი, "ფერარი") - 1.35,779; 5. **როსბერგი** (გერმანია, "უილიამსი") - 1.36,308; 6. **უებერი** (ავსტრალია, "რედ ბული") - 1.36,522; 7. **ტრული** (იტალია, "ტოიოტა") - 1.36,597; 8. **რ. შუმახერი** (გერმანია, "ტოიოტა") - 1.37,052; 9. **კუბიცა** (პოლონეთი, "BMW-ზაუბერი") - 1.37,121; 10. **ქულთარდი** (ბრიტანეთი, "რედ ბული") - 1.37,484; 11. **ლიუცი** (იტალია, "ტორო როსო") - 1.37,882; 12. **კოვალაინენი** (ფინეთი, "რენო") - 1.38,143; 13. **ფიზიკელა** (იტალია, "რენო") - 1.38,300; 14. **სუტილი** (გერმანია, "სპაიკერი") - 1.38,720; 15. **სატო** (იაპონია, "სუპერ აგური") - 1.38,966; 16. **სპიდი** (აშშ, "ტორო როსო") - 1.39,130; 17. **ბარიკელო** (ბრაზილია, "ჰონდა") - 1.39,234; 18. **ბატონი** (ბრიტანეთი, "ჰონდა") - 1.39,331; 19. **დევიდსონი** (ბრიტანეთი, "სუპერ აგური") - 1.39,357; 20. **ალბერსი** (ჰოლანდია, "სპაიკერი") - 1.40,074.

რაგბი

## ბოიკოტი ევროტურნირებს

მომავალ სეზონში, ფრანგული სარაგბო კლუბები მონაწილეობას არ მიიღებენ ევროპის საკლუბო ტურნირებში - მათ შორის, ჰეინეკენის თასის გათამაშებაში.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, საფრანგეთის რაგბის ლიგის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება სტრატეგიული და ფინანსური მიზეზებით მიიღო. სხვათა შორის, ევროტურნირებს ბოიკოტი ინგლისურმა კლუბებმაც გამოუცხადეს.

თხილამურებით რბოლა

## ბიორგენი ძველ მწვრთნელს უბრუნდება

ცნობილმა ნორვეგიელმა მოთხილამურემ **მარიტ ბიორგენმა** გადაწყვიტა, თავის ძველ მწვრთნელს - **სვეინ ტურე სამდალს** დაუბრუნდეს. ეს ის სპეციალისტია, რომლის ხელმძღვანელობითაც ბიორგენმა ორჯერ მოიგო მსოფლიო თასი და ტრიუმფალურად დაასრულა 2005 წელს, გერმანიის კურორტ ობერსტდორფში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი.

ნორვეგიელმა მოთხილამურემ სამდალი 2006 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ გაათავისუფლა, მაგრამ მომდევნო სეზონი ბიორგენისთვის ძალიან ცუდად წარიმართა. მართალია, მან მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე სრული ფიასკო განიცადა.

*"ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია იმ ხალხთან მუშაობა, რომლებმაც წინა წლებში ჩემთვის ძალიან ბევრი გააკეთეს"*, - აცხადებს ბიორგენი.

კალათბურთი

## არსენასი ვეღარ ითამაშებს

გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ სეზონში თამაშს ვეღარ შეძლებს "ვაშინგტონ ვიზარდსის" ლიდერი **გილბერტ არენასი**. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ "შარლოტთან" მატჩში, არენასი **ჯერალდ უოლასს** შეეჯახა და მუხლი დაიზიანა. სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ვაშინგტონელ ფორვარდს მუხლის მძიმე ტრავმა აქვს. არენასმა უკვე გაიკეთა ოპერაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 2-3 თვე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

არენასმა ამ სეზონში ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება ითამაშოს - თუ მისი კლუბი NBA-ის ფინალურ სერიაში გავა, თუმცა, ამის შანსი თითქმის ნულის ტოლია, რადგან "ვაშინგტონის" კიდევ ერთმა ვარსკვლავმა - **კერონ ბატლერმა** ხელი მოიტეხა და თვენახევარი გამოეთხოვა აქტიურ კალათბურთს.

## მეისონმა ცხვირი გაიტეხა

"ნიუ ორლეან ჰორნეთსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **დესმონდ მეისონმა**, შესაძლოა, სეზონის დარჩენილი ნაწილი გამოტოვოს.

ამ კალათბურთელმა "სიეტლთან" ბოლო ტურის მატჩში მიიღო ტრავმა, კერძოდ, მეისონმა ცხვირი გაიტეხა.

წლევანდელ რეგულარულში, 29 წლის დესმონდმა 75 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ ერთ შეხვედრაში 13.7 ქულასა და 4.6 მოხსნას აგროვებდა.

## ოთხი ფლორიდელი დრაფტზე

როგორც იცით, NCAA-ს სტუდენტური ლიგის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ ფლორიდის უნივერსიტეტის გუნდი გახდა.

გუშინ, ამერიკულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ გუნდიდან 2007 წლის დრაფტში, შესაძლოა ოთხი კალათბურთელი მოხვდეს. ესენი არიან: **იოაკიმ ნოა, ელ ჰორფორდი, კორი ბრიუერი** და **ტორინ გრინი**. აღსანიშნავია, რომ ეს ოთხივე მოთამაშე ფლორიდას სასტარტო ხუთეულის ნევრი გახლავთ.

ტრამპლინიდან ხტომა

## გარმიშში ტრამპლინს ააფეთქებენ

გერმანულ კურორტ გარმიშ-პარტენკირხენის მთავრობამ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ 1934 წელს აშენებულ ტრამპლინს 14 აპრილს ააფეთქებენ.

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტრამპლინი მსოფლიოში, სადაც უკვე დიდი ხანია "ოთხი მთის ტურნეს" ერთ-ერთი ეტაპი იმართება. მაგრამ, ასევე დიდი ხანია, გარმიშის ტრამპლინი აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

24 აპრილს გარმიშში ახალი ტრამპლინის მშენებლობას დაიწყებენ, რომელიც მომავალი წლის 1 იანვარს ჩადგება მწყობრში, როცა იქ ზემოთხსენებული ტურნეს ეტაპია დაგეგმილი.

ჩოგბურთი

## შარაპოვა ვესნინამ შეცვალა

ფედერაციის თასზე რუსეთის ქალთა ნაკრების მწვრთნელმა **შამილ ტარპიშჩევმა** დაასახელა ტრავმირებული **მარია შარაპოვას** შემცვლელი. რუსეთისა და ესპანეთის მეოთხედფინალში, მსოფლიოს მეორე ჩოგანის ნაცვლად კლასიფიკაციის 65-ე ნომერი - **ელენა ვესნინა** ითამაშებს.

შარაპოვას ადგილზე **დინარა საფინასა** და **ვერა ზვონარევას** კანდიდატურები განიხილებოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ისინი ვერ ახერხებენ ამ მატჩში თამაშს.

საბოლოოდ, მომავალი მეოთხედფინალისთვის, რომელიც 21-22 აპრილს გაიმართება, რუსეთის ნაკრების შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო: **სვეტლანა კუზნეცოვა, ნადია პეტროვა, ანა ჩაკვეტაძე** და **ელენა ვესნინა**.



ეროვნული ბიბლიოთეკა

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

| ბაფალო-ბოსტონი | 4:2 |
|---|---|

2:2, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ფერენსი-3 (კესელი-18, კალუსი-1), 0:2 პ. ბერჟერონი-22 (ხარა-32, სავარი-72), 1:2 კოტალიკი-16 (ზუბოუსი-36, დრური-31), 2:2 ვანეკი-41 (სტეფორდი-14, ბ. კემპბელი-42), 3:2 ვანეკი-42 (დ. რუა-42), 4:2 დ. რუა-19 (ვანეკი-40, აფინოგენოვი-35).

| ფინიქსი-ლოს ანჯელესი | 3:2 |
|---|---|

2:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 რიონიკი-10 (მორისი-17, ნ. კაპანენი-16), 2:0 ბ. ტომასი-7 (რაინპრეხტი-22), 2:1 კოსტოპულოსი-7 (კამალერი-46, დ. არმსტრონგი-33), 3:1 დოენი-27 (რიონიკი-16, მორისი-18), 3:2 კამალერი-33 (კოპიტარი-41, დ. ბრაუნი-27).

| ვანკუვერი-კოლორადო | 1:3 |
|---|---|

1:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ჰეიდუკი-32 (პ. შჩასტნი-47, ზაუერი-6), 1:1 ს. სალო-14 (მ. კუკი-20, ბ. მორისონი-30), 1:2 ჰეიდუკი-33 (პ. შჩასტნი-48), 1:3 ჰეიდუკი-34 (მაკლინი-19, პ. შჩასტნი-49).

| მინესოტა-ედმონტონი | 3:0 |
|---|---|

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პერიში-19 (მ. კოივუ-34, ფოსტერი-19), 2:0 კარნი-4, 3:0 გაბორიკი-30 (ვალცი-15, ბერნსი-17).

| ნეშვილი-სენტ ლუისი | 4:1 |
|---|---|

1:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ლეგვანდი-25 (ტუტუ-5), 1:1 ბეკმენი-7 (მაკლემანი-28, ჯეკმენი-24), 2:1 ლეგვანდი-26 (არნოტი-27, კარია-52), 3:1 რადულოვი-18 (ფიდლერი-14, ჰამჰუისი-14), 4:1 ფორსბერგი-13 (სატერი-16, ჰარტნელი-16).

| რეინჯერსი-მონრეალი | 3:1 |
|---|---|

1:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 პრუხა-21 (კულენი-24, ჟირარდი-6), 2:0 იაგრი-30 (ნიულანდერი-57, შენეჰანი-33), 3:0 მალიკი-2 (მ. ეივერი-30, იაგრი-66), 3:1 სურეი-26 (მარკოვი-42, ს. კოივუ-50).

| ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 2:3 |
|---|---|

1:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-14 (აპშოლი-7, განიე-26), 1:1 ლანგენბრუნერი-23 (ელიაში-47, რაფალსკი-47), 2:1 განიე-39 (პიკარი-19, ნუბლი-27), 2:2 ბრილინი-16 (ე. გრინი-5, პარიზე-31), 2:3 დაუდი-4 (ბრილინი-23).

| კოლამბუსი-დალასი | 2:1 (ო) |
|---|---|

0:1, 0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ბარნსი-13 (ჰაგმანი-12, რიბეირო-41), 1:1 მალორტა-9 (ჩიმერა-20, კლესლა-12), 2:1 ნეში-26 (პლატი-5, ფიოდოროვი-24).

| ოტავა-პიტსბურგი | 2:3 |
|---|---|

1:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 სპეცა-32 (ალფრედსონი-56, კორვო-28), 1:1 ულეტი-19 (ორპიკი-6, რეკი-44), 1:2 გ. რობერტსი-19 (მელიხარი-11, კროსბი-82), 2:2 ჰიტლი-49 (სპეცა-53, კორვო-29), 2:3 ტელბოტი-13 (რაიან უიტნი-45, კ. არმსტრონგი-22).

| სან ხოსე-კალგარი | 4:3 |
|---|---|

0:0, 2:1, 2:2

**გოლები:** 1:0 მ. მიხალეკი-25 (მ. კარლი-31, ჯ. ტორნტონი-89), 2:0 ბელი-11 (პაველსკი-13, მარლო-45), 2:1 ჰუსელიუსი-34 (ფანოფი-33, იგინლა-55), 3:1 გრირი-16 (კ. ბრაუნი-12, მაკლარენი-12), 4:1 ჩიჩუ-36 (ჯ. ტორნტონი-90, მ. მიხალეკი-39), 4:2 იგინლა-38 (ბ. სტიუარტი-14), 4:3 იგინლა-39 (ტანგეი-57, ლენგკოუ-44).

| ჩიკაგო-დეტროიტი | 3:2 (ბ) |
|---|---|

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ალექსეევი-12 (არზიპოვი-16, ლაპოინტი-11), 2:0 ბიკელი-1 (ნორდკვისტი-1, სალმეაინენი-10), 2:1 ჰოლმსტრიომი-29 (ფრანცენი-19, დაციუკი-60), 2:2 კალდერი-13 (ლანგი-32, ჰუდლერი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** დაციუკი (დეტროიტი), ჯეისონ უილიამსი (დეტროიტი), შარპი (ჩიკაგო).

| აილენდერსი-ტორონტო | 5:2 |
|---|---|

1:0, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-36 (სილინჯერი-33), 1:1 პოლი-13 (ტაკერი-17, კოლაიაკოვო-9), 2:1 სილინჯერი-26 (ჰანტერი-14, პოტი-35), 2:2 კოლაიაკოვო-7 (ტაკერი-18, გილი-14), 3:2 ჯ. ბლეიკი-40 (ეშემი-12, პოტი-36), 4:2 ეშემი-11 (მ-ა. ბერჟერონი-30, პოტი-37), 5:2 შატანი-26 (პარკი-16).

აღმოსავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ბაფალო | 80 | 52 | 21 | 7 | 111 |
| 2. y-ნიუ ჯერსი | 81 | 49 | 24 | 8 | 106 |
| 3. x-ატლანტა* | 80 | 41 | 28 | 11 | 93 |
| 4. x-ოტავა | 81 | 47 | 25 | 9 | 103 |
| 5. x-პიტსბურგი | 81 | 46 | 24 | 11 | 103 |
| 6. x-რეინჯერსი | 81 | 42 | 29 | 10 | 94 |
| 7. x-ტამპა ბეი | 80 | 44 | 32 | 4 | 92 |
| 8. მონრეალი | 81 | 42 | 33 | 6 | 90 |
| 9. ტორონტო | 81 | 39 | 31 | 11 | 89 |
| 10. აილენდერსი | 80 | 38 | 30 | 12 | 88 |
| 11. კაროლინა | 80 | 39 | 33 | 8 | 86 |
| 12. ფლორიდა | 80 | 34 | 31 | 15 | 83 |
| 13. ბოსტონი | 81 | 35 | 40 | 6 | 76 |
| 14. ვაშინგტონი | 81 | 28 | 39 | 14 | 70 |
| 15. ფილადელფია | 80 | 21 | 47 | 12 | 54 |

დასავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-დეტროიტი | 81 | 49 | 19 | 13 | 111 |
| 2. x-ანაჰაიმი* | 80 | 47 | 20 | 13 | 107 |
| 3. x-ვანკუვერი* | 80 | 48 | 25 | 7 | 103 |
| 4. x-ნეშვილი | 81 | 50 | 23 | 8 | 108 |
| 5. x-სან ხოსე | 81 | 51 | 26 | 4 | 106 |
| 6. x-დალასი | 80 | 48 | 25 | 7 | 103 |
| 7. x-მინესოტა | 81 | 47 | 26 | 8 | 102 |
| 8. კალგარი | 80 | 43 | 27 | 10 | 96 |
| 9. კოლორადო | 80 | 43 | 30 | 7 | 93 |
| 10. სტ. ლუისი | 81 | 34 | 34 | 13 | 81 |
| 11. კოლამბუსი | 81 | 33 | 41 | 7 | 73 |
| 12. ჩიკაგო | 80 | 31 | 40 | 9 | 71 |
| 13. ედმონტონი | 81 | 31 | 43 | 7 | 69 |
| 14. ლოს ანჯელესი | 81 | 26 | 41 | 14 | 66 |
| 15. ფინიქსი | 80 | 30 | 45 | 5 | 65 |

## მძლეოსნობა




ასაფა პაუელი

რეკორდსმენი

# პაუელი დუბლს არ აპირებს

მსოფლიოსრეკორდსმენმა ას მეტრზე სპრინტში, იამაიკელმა **ასაფა პაუელმა** უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე სპრინტში დუბლის შესრულებას აპირებდეს.

ეს ხმები მას შემდეგ გავრცელდა, რაც პაუელის მწვრთნელმა **სტივენ ფრენსისმა** განაცხადა, რომ გასული სეზონის საუკეთესო მძლეოსანი ორივე დისტანციაზე ინტენსიურად ვარჯიშობს და არაა გამორიცხული, რომ ოსაკაში ორივეზე სცადოს ბედიო.

პაუელი კი ამბობს, რომ ოსაკაში ის აქცენტს კვლავ 100 მეტრზე სპრინტსა და 4x100 მეტრზე ესტაფეტაზე გააკეთებს, 200 მეტრზე სპრინტში კი მსოფლიო ჩემპიონატამდე რამდენიმე ტურნირზე იასპარეზებს.

*"ოსაკაში დუბლს არ ვგეგმავ. იქ 100 მეტრზე სპრინტსა და 4x100 მეტრზე ესტაფეტაზე ვიასპარეზებ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 200 მეტრზე სპრინტის მოტრფიალე არც ვარ. უბრალოდ, ჩემი მწვრთნელი და აგენტი მთხოვენ, რომ ხანდახან ამ დისტანციაზეც გამოვიდე. ეს ძალიან ძნელი დისტანციაა და თანაც, მასზე ბევრი მაგარი ბიჭი ასპარეზობს, რომლებიც ფინიშს ოც წამზე ნაკლებში აღწევენ"*, - ამბობს ასაფა.

ყოველივეს მიუხედავად, ფრენსისი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, რეკორდსმენი მაინც დაითანხმოს ოსაკაში 200 მეტრზე გამოსვლაზე. გარწმუნებთ, ძალიან საინტერესო იქნება, როცა პაუელი "აფეთქდებაო", - ამბობს მწვრთნელი.

*"ორი დისტანცია მაინც დიდი გამოწვევაა. არ მგონია, რომ ელიტა მარტო ოქროს მედლებით განისაზღვრებოდეს. უმაღლესი კლასის სპორტსმენებს ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ პირობებში უნდა შეეძლოთ ასპარეზობა"*, - ამბობს ფრენსისი.

## ველოსპორტი

დოპინგი

# ულრიხს გერმანიის პროკურატურა ერჩის

გერმანიის პროკურატურა იმედოვნებს, რომ წლის ბოლომდე შეძლებს ან უკვე ყოფილი ველომრბოლის, **იან ულრიხის** საქმის შესწავლას და მას დოპინგის გამოყენებაში დაადანაშაულებს. ყოველივეს საფუძველი კი უნდა გახდეს გერმანელი ველომრბოლისგან აღებულ დნმ-ის სინჯზე ჩატარებული ტესტის შედეგები.

*"არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ტესტის ჩამტარებლებს სინჯზე მანიპულაცია ჩაეტარებინათ, რომლითაც მისი შედეგის გაყალბება იქნებოდა შესაძლებელი. ვიმედოვნებ, რომ გამოძიების დასრულებას წლის ბოლომდე შევძლებთ"*, - ამბობს ულრიხის საქმის გამოძიების პროკურორი **ფრიდრიხ აპოსტელი**.

წინასწარი მონაცემებით, პროკურატურამ გამოაცხადა, რომ ულრიხისგან დნმ-ის ტესტის ჩასატარებლად აღებული სინჯის შემადგენლობა აბსოლუტურად შეესაბამება იმ ნივთიერებათა ტიპს, რომლებიც შარშან მადრიდის ერთ-ერთ კლინიკაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს.

შეგახსენებთ, რომ იმ ჩხრეკის შედეგად, შარშან დასაბამი მიეცა დოპინგსკანდალ "ოპერასიონ პუერტოს", რომლის გამოც რამდენიმე ძლიერ ველომრბოლს, მათ შორის ულრიხს, **ივან ბასოსა** და **ალექსანდრ ვინოკუროვს** ტურ დე ფრანსზე ასპარეზობის უფლება არ მიეცათ.

ესპანელ ექიმ **ეუფემიანო ფუენტესის** ჩანაწერებში გამოძიებამ აღმოაჩინა იმ ველომრბოლთა კოდირებული სია, რომლებიც სისხლის დოპინგის მომხმარებლები იყვნენ. მათ შორის ფიგურირებდა სახელები "იან", "N.1" და "იხო დე რუდისიო" (რუდის ბიჭი), რომლებიც გამოძიების აზრით, ულრიხის კოდური მეტსახელები უნდა ყოფილიყო.

მტკიცებულებათა არარსებობის გამო, "ოპერასიონ პუერტო" რეალური შედეგების გარეშე დაიხურა. თუმცა გერმანიის პროკურატურამ მაშინვე განაცხადა, რომ გააგრძელებდა ულრიხის საქმის ძიებას. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ყოფილმა ველომრბოლმა, თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, დნმ-ის ტესტის გავლაზეც კი განაცხადა თანხმობა. ტესტმა კი მისი სინჯისა და ფუენტესის ლაბორატორიაში აღმოჩენილი სისხლის სინჯების იდენტურობა დაამტკიცა.

აპოსტელი ამბობს, რომ ამ ეტაპზე, არ შეუძლია იმის თქმა, თუ რა დრო დასჭირდება გამოძიების ბოლომდე მიყვანას. სამაგიეროდ, გვატყობინებს, რომ მსგავსი მაქინაციებისთვის, გერმანული სამართალი ითვალისწინებს როგორც ფულად ჯარიმას, ასევე 10-წლიან პატიმრობას.

ჯერჯერობით, აღნიშნულის თაობაზე ულრიხი დუმილს ამჯობინებს, მისი ვექილები კი ამბობენ, რომ გამოძიების ხელთ არსებული მასალები ჯერაც არ ნიშნავს იმას, რომ ულრიხი სისხლის დოპინგს იყენებდა.

შეგახსენებთ, რომ ტურ დე ფრანსის 1997 წლის ჩემპიონი და ხუთგზის ვიცე ჩემპიონი ულრიხი სპორტიდან შარშან, თებერვალში წავიდა.

## ჩოგბურთი

ტურნირები

**WTA**

**Bausch @ Lomb-ის ჩემპიონატი**

ამელია აილენდი (აშშ). თიხნარი

**საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი**

**1/8 ფინალი**

**ნადია პეტროვა (რუს, 1)**-ჟი ჟენგი (ჩინ, 15) 6:2, 6:3; **დინარა საფინა (რუს, 5)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 11) 6:3, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 3)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:1, 6:4; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 13)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 6:2, 6:3; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 8)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 12) 6:2, 6:1; **ვენუს უილიამსი (აშშ)**-მიელინ ტუ (აშშ) 6:2, 7:5; **ანა ივანოვიჩი (სერ, 6)**-ნატალი დეში (საფ) 6:1, 6:1; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:2, 6:0.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ნადია პეტროვა (1)-დინარა საფინა (5) ; დანიელა ჰანტუხოვა (3)-სიბილ ბამერი (13); ტატიანა გოლოვინი (8)-ვენუს უილიამსი; ელენა იანკოვიჩი (2)-ანა ივანოვიჩი (6).

## TV სპორტი

### 7 აპრილი. შაბათი

**I არხი**

15:55 რაგბი. ექვსი ერის თასი. საქართველო-ჩეხეთი (LIVE).
18:10 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).

**იმედი**

16:30 კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

**მზე**

15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვესტ ჰემი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩარლტონი.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-პორტუ.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი (LIVE).
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:40 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
21:25 ევრო 2008.
21:55 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:25 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ემპოლი (LIVE).
00:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:35 იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ასკოლი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ოსასუნა.
08:50 სპორტის ისტორია.
09:00 სპორტინფორმი.
09:10 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. ოლიმპიაკოსი-ტაუგრესი.
10:55 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
11:30 სპორტინფორმი.
11:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სენსიანო (პერუ)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
13:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:00 ფეხბურთი. Barca-TV.
15:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ანაჰაიმი.
17:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:00 პროფესიული კრივი. ნოკაუტების ჟამი.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ბარსელონა (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვალენსია (LIVE).
01:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ემპოლი.
03:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
04:10 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ანაჰაიმი.
06:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
06:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი.

**EUROSPORT**

09:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
10:00 მულტისპორტი.
10:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ბენფიკა.
11:30 ველოსპორტი.
12:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფლეი ოფი. ედმონტონი. კანადა.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სევილია-ტოტენჰემი.
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ალკმაარი-ვერდერი.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ამელია აილენდი. აშშ.
16:30 ველოსპორტი.
17:00 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ტრადიციული რბოა ტემზაზე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
19:00 მულტისპორტი.
19:30 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი. სერბეთი.
20:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ამელია აილენდი. აშშ (LIVE).
21:45 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. მე-3 ადგილისთვის. ედმონტონი. კანადა (LIVE).
22:30 პროფესიული კრივი. დ. ინკინი (რუს)-ე. დუმა (ს. აფრ). გერმანია.
00:00 რესტლინგი.
01:30 ახალი ამბები.
01:45 კიკ-ბოქსინგი.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
10:30 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
11:00 მულტისპორტი.
11:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ოსასუნა.
13:15 ახალი ამბები.
13:30 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ახალი ზელანდია-უელსი. ბელფასტი. ირლანდია.
14:45 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ირლანდია-ავსტრალია. ბელფასტი. ირლანდია.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
17:30 ბილიარდი. მსოფლიო თასი. პოლანდია.
18:30 მულტისპორტი.
19:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
20:00 დართსი. პოლანდიის ღია ჩემპიონატი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ბილიარდი. მსოფლიო თასი. პოლანდია.
23:00 მულტისპორტი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 ბილიარდი. მსოფლიო თასი. პოლანდია.
01:14 ახალი ამბები.

### 8 აპრილი. კვირა

**I არხი**

18:10 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა (LIVE).

**რუსთავი 2**

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

10:15 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-სან ლორენსო.
14:05 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ.
15:50 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:40 რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ლუჩ ენერგია.
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი (LIVE).
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. სედანი-ტულუზა.
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ნიურნბერგი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:25 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
08:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. [illegible] რი.
10:40 სპორტის ისტორია.
10:50 სპორტის სახეები.
11:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
12:20 სპორტის ისტორია.
12:30 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან კაეტანო-სან ბენტო.
14:15 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
14:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბრაგა-სპორტინგი.
16:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ემპოლი.
19:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ნიურნბერგი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ატლეტიკო (LIVE).
00:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-ინტერი.
02:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ნიურნბერგი.
04:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
04:50 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბრაგა-სპორტინგი.
06:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**EUROSPORT**

09:30 მულტისპორტი.
10:00 ველოსპორტი. ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ტრადიციული რბოა ტემზაზე. ლონდონი. ინგლისი.
10:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ოსასუნა.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ამელია აილენდი. აშშ.
13:30 ველოსპორტი.
14:00 ველოსპორტი. პრო ტურის სერია. ფრანდრიის ტური (LIVE).
17:45 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
19:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ამელია აილენდი. აშშ.
20:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ამელია აილენდი. აშშ (LIVE).
21:45 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. ედმონტონი. კანადა (LIVE).
23:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
23:45 ბრძოლა წესების გარეშე.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პროფესიული კრივი. IBF. კ. პატონი (ბრიტ)-ხ. ურანგო (კოლ). ლას ვეგასი. აშშ.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი (ესპ)-უნიქსი (რუს).
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ბენფიკა.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ალკმაარი-ვერდერი.
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სევილია-ტოტენჰემი.
15:30 დართსი. პოლანდიის ღია ჩემპიონატი.
17:30 მულტისპორტი.
18:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი.
19:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ირლანდია-ავსტრალია. ბელფასტი. ირლანდია.
20:00 ახალი ამბები.
20:40 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ იორკი.
22:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ლას ვეგასი. აშშ (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ სიტი-ჩარლტონი | 0:0 |
| ევერტონი-ფულჰემი | 4:1 |
| **ჩემპიონატი** | |
| საუთენდი-კოლჩესტერი | 0:3 |
| ლესტერი-დერბი | 1:1 |
| ჰალი-ნორვიჩი | 1:2 |
| **I ლიგა** | |
| სკანთორპი-იეოვილი | 1:0 |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერი-დარლინგტონი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბარი-ფროზინონე | 1:1 |
| ბრეშია-არეცო | 1:0 |
| ჩეზენა-მოდენა | 1:0 |
| კროტონე-ლეჩე | 1:3 |
| იუვენტუსი-ალბინოლეფე | 1:1 |
| პესკარა-ტრიესტინა | 2:0 |
| პიაჩენცა-მანტოვა | 3:4 |
| სპეცია-ჯენოა | 1:2 |
| ტრევიზო-ვიჩენცა | 1:1 |
| ბოლონია-ნაპოლი | 2:3 |
| ვერონა-რიმინი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-კაენი | 0:0 |
| ამიენი-მონპელიე | 4:1 |
| შატორუ-დიჟონი | 2:1 |
| კრეტეი-რეიმსი | 1:1 |
| გრენობლი-ისტრი | 3:0 |
| გინგამი-ბასტია | 4:0 |
| ჰავრი-ლიბურნი | 2:0 |
| ნიორი-ბრესტი | 1:0 |
| სტრასბური-გენიონი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ვიტესი-სპარტა | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-აპელდოორნი | 1:1 |
| ემენი-ვეენდამი | 4:0 |
| ეინდჰოვენი A-ვენლო | 0:5 |
| ომნიწორლდი-დორდრეხტი | 2:5 |
| ვოლენდამი-ჰაარლემი | 3:1 |
| ცვოლე-ფორტუნა | 1:0 |
| იგლზი-გრააფსხაპი | 3:1 |
| მაასტრიხტი-ჰელმონდი | 1:0 |
| ტელსტარი-დენ ბოში | 3:1 |
| გოუ ოსი-როსენდალი | 2:0 |
| **ბელგია** | |
| ანდერლეხტი-სტანდარდი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ-სეტუბალი | 5:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრომაპოიკარნა-იურგორდენი | 1:0 |
| ტრელებორგი-გიოტებორგი | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია (ლ)-კერნტენი | 0:0 |
| აუსტრია A-ლუსტენაუ | 2:2 |
| გრატკორნი-ადმირა | 1:1 |
| ლინცი-კაპფენბერგი | 0:2 |
| ლეობენი-შვანენშტადტი | 1:0 |
| პარნდორფი-ზალცბურგი | 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბოლმსი-ფონდსი | 0:1 |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ერჩიესი | 0:1 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-შემროკი | 0:2 |
| ბოჰემიანსი-სლაიგო | 1:0 |
| გალვეი-სტ. პატსი | 0:1 |
| ლონგფორდი-დროგედა | 0:1 |
| დუბლინი-უოტერფორდი | 3:0 |
| **უკრაინა** | |
| დინამო-მეტალურგი (დ) | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| ფეჰერვარი-დებრეცენი | 0:4 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ესპანეთი** | |
| ჟირონა-ვალენსია | 71:74 |
| მურსია-რეალი | 59:74 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **WTA. ამელია აილენდი** | |
| იანკოვიჩი-ივანოვიჩი | 5:7, 3:6 |
| ვ. უილიამსი-გოლოვინი | 2:6, 3:6 |
| ჰანტუხოვა-ბამერი | |
| **დევისის თასი** | |
| **რუსეთი-საფრანგეთი 1:1** | |
| დავიდენკო-მატიო | 6:2, 2:6, 1:6, 5:7 |
| იუჟნი-გასკე | 6:2, 6:3, 6:7, 5:7, 8:6 |
| **შვედეთი-არგენტინა 2:0** | |
| ტ. იოჰანსონი-ნალბანდ. | 6:7, 7:6, 6:2, 7:6 |
| სიოდერლ.-დელ პოტრო | 7:6, 7:6, 6:4 |
| **ბელგია-გერმანია 0:2** | |
| ვლიეგენი-ჰაასი | 7:6, 5:7, 4:6, 2:6 |
| ო. როხუსი-კოლშრაიბერი | 3:6, 5:7, 6:7 |
| **აშშ-ესპანეთი 1:0** | |
| ბლეიკი-რობრედო | 6:4, 6:3, 6:4 |
| როდიკი-ვერდასკო | გვ. დასრულდა |

# საქართველოს ნაკრები და ეროვნული ჩემპიონატი



...ამას წინათ "სარბიელში" **რევაზ ძოძუაშვილის** მეტად საინტერესო მოსაზრება ამოვიკითხეთ: "შევადგენთ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების ნაკრებს, ვეთამაშებით პირველ ნაკრებს და დავუმტკიცებთ, თუ რა დონეზე გვყავს მომზადებული ფეხბურთელები. მინასთან გასასწორებელი ჩემპიონატი ნამდვილად არ გვაქვს, ჩვენთანაც არის რაღაც გარკვეული დონე..."

მოკლედ, ისევ **კლაუს ტოპმიოლერისა** და საქართველოს ჩემპიონატის თემაზე გვინდა ვისაუბროთ; უფრო ზუსტად, გერმანელი მწვრთნელის დამოკიდებულებაზე ჩვენი ჩემპიონატის მიმართ. ერთი რამ ნამდვილად ვერ გათვალა ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა - ალბათ, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, თუ რა აჟიოტაჟი მოჰყვებოდა საქართველოს ჩემპიონატის დონის მისეულ შეფასებას. ვერ გათვალა და პასუხიც საკადრისი მიიღო: ჟურნალისტებისგან, კლუბების პრეზიდენტებისგან, ქართველი კოლეგებისგან და, თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგიდანაც. არა, მერე კი თავი გაიმართლა: ეროვნულ ჩემპიონატზე აუგი არ მითქვამს და, ალბათ, ინტერვიუს დროს ჩემი სიტყვები არასწორად თარგმნესო. ანუ, როგორც ყოველთვის, ჟურნალისტების ბრალი ყოფილა... არადა, ეტყობა, შარშან შემოდგომაზეც ვერ თარგმნეს "კარგად" მისი სიტყვები, როცა ბრძანა, რომ საქართველოს ჩემპიონატში საინტერესო ფეხბურთელები არ არიანო. აი, მაშინათვე უნდა აგვემაღლებინა ხმა და პასუხი მოგვეთხოვა გერმანელი მწვრთნელისთვის. თუმცა, მეორეს მხრივ, იმ დროს ხომ "ტოპი" ყველას მესიად მიაჩნდა...

...ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ - ღმერთმა დაგვიფაროს ტოპმიოლერის კვალიფიკაციაში ეჭვი შევიტანოთ; მისი მოსვლის შემდეგ სასიკეთო ძვრებიც დავინახეთ; მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვათ, უფრო მეტს ველოდით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ნაკრებს კვლავაც არა აქვს თანამედროვე ფეხბურთში ერთობ აუცილებელი რამ - გამარჯვებულის მენტალიტეტი! აი, შოტლანდიასთან მატჩის მერე რომ თქვა ჩვეული პირდაპირობით **გოჩა ჯამარაულმა** - ჩვენს ნაკრებს ისეთი მწვრთნელი სჭირდება, მოგებას რომ გვასწავლისო! ჯამარაულს ჩინებული კარიერა ჰქონდა (თუმცა, ალბათ, უფრო მეტიც შეეძლო), მაგრამ ნაკრებში მისი დებიუტი მაშინ შედგა, როცა საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა. ანუ, ისევე, როგორც მისი თაობის აბსოლუტურ უმრავლესობის - **გიორგი ქინქლაძის, გიორგი ნემსაძის, სამივე ძმა არველაძის, მურთაზ შელიას, მიხეილ ყაველაშვილის, ირაკლი ზოიძის, აკაკი დევაძის, კახა გოგიჩაიშვილისა** და სხვების. ისე, სხვანაირად ვერც იქნებოდა - 1994 წელს, როცა საქართველოს ნაკრებს ოფიციალურ დონეზე დებიუტი ჰქონდა, მხოლოდ სამი ლეგიონერი გვყავდა - **კახა ცხადაძე** ("აინტრახტი", გერმანია), **თემურ ქეცბაია** (აეკ, საბერძნეთი) და **გია გურული** ("ლე ავრი", საფრანგეთი). არც იმის მტკიცება გვინდა, რომ დღევანდელი საქართველოს ნაკრები მხოლოდ აქ მოასპარეზე ფეხბურთელებით იყოს დაკომპლექტებული. პირიქით - განა, საამაყოზე მეტი არ არის, **შოთა არველაძე, კახი კალაძე, ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი, ლევან ცქიტიშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი დემეტრაძე** და **ალექსანდრე იაშვილი** უკვე წლებია ევროპის წამყვანი ქვეყნების წამყვან გუნდებში რომ თამაშობენ? და საერთოდაც - ამ მხრივ საქართველო ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში უპირობო ლიდერია. დიახ, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებიდან ამდენი "მართლა" ლეგიონერი არავის ჰყავს! რუსეთის ნაკრებში ერთადერთი **კერჟაკოვია** "(სევილია", ესპანეთი), უკრაინისაში - **შევჩენკო** ("ჩელსი", ინგლისი) და **ვორონინი** ("ლევერკუზენი", გერმანია), მორჩა და გათავდა! კი, ყველამ ვიცით, რომ რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონატები ჩვენსაზე ბევრად მაღალი დონისაა, მაგრამ არც ისე არ არის საქმე, როგორც ტოპმიოლერს წარმოუდგენია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თავისი განცხადებით ქართველ მწვრთნელებსაც ხომ შეურაცხყოფა მიაყენა? ანდა, ისიც გვინდა შევახსენოთ, რომ საქართველოს 19-წლამდელ ნაკრებში (ასე რომ ამაყობს გერმანელ მწვრთნელთა შტაბი) თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენი პირველობის უმაღლესი და პირველი(!) ლიგის გუნდში თამაშობს...

...არ დავმალავთ, თავის დროზე ძალიან გაგვიხარდა, კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოში ჩამოსვლაზე თანხმობა რომ განაცხადა. ისიც კარგ ნიშნად გვეჩვენა, ყველა ასაკობრივ ნაკრებზე კურატორობა რომ ისურვა; ერთადერთი, რასაც ეჭვის თვალით შევხედეთ და, პირდაპირ რომ ვთქვათ არ მოგვეწონა, საქართველოში ჩამოყვანილი თანამემამულე კოლეგები. დედმამიშვილიც კარგია, მეგობარიც, მაგრამ როცა საქმე ნაკრებ(ებ)ში მოღვაწეობას ეხება, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ცოტა "სხვა" პრინციპებით ეხელმძღვანელა...

...ვატყობ, თემას გადავუხვიეთ, არადა რედაქტორის დავალება კონკრეტული იყო: **საქართველოს ნაკრები და ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები**. ერთადერთობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ ამ სტრიქონების ავტორი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც საქართველოს ჩემპიონატს... 1990 წლიდან, ანუ სულ პირველი გათამაშებიდან აშუქებს. ასე რომ, საქართველოს ნაკრების ყველა მწვრთნელისა თუ აქ მოთამაშე ფეხბურთელების კარიერამ ჩვენს თვალწინ ჩაიარა. კარგად გვახსოვს, თუ რამდენ აქ მოთამაშე ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი საქართველოს ნაკრებში; რა თქმა უნდა, ხშირად ეს ამხანაგური მატჩები იყო, ოღონდ, არც ისე ცოტა შემთხვევაც ყოფილა, როცა ეს დებიუტი ოფიციალურ მატჩშიც მომხდარა. კიდევ ვიმეორებთ, ვერავინ ეტყვის ტოპმიოლერს საფრანგეთთან, იტალიასთან ან შოტლანდიასთან აქ მოთამაშე ფეხბურთელებს რატომ არ დაეყრდნოო; მაგრამ ხომ იყო ორი ამხანაგური მატჩი (თურქეთთან და ურუგვაისთან), ანდა მართალია ოფიციალური, მაგრამ მოყვარულებით დაკომპლექტებულ ფარერელებთან შეხვედრაც? აი, ამ მატჩებში განა არ შეიძლებოდა ჩვენს ჩემპიონატში თავგამოჩენილი ფეხბურთელებისთვის შანსის მიცემა? და ყველაზე არასასიამოვნოც: გვეგონა წარსულს ჩაბარდებოდა ის დრო, როცა საქართველოს ნაკრებში ამა თუ იმ ფეხბურთელს დაუმსახურებლად იწვევდნენ. გვეგონა, მაგრამ ისევ ფაქტის წინაშე დავდექით - ტოპმიოლერის ნაკრებში ისეთი ფეხბურთელებიც თამაშობენ, თავიანთ კლუბებში სათადარიგოთა სკამზე რომ სხედან და ისეთებიც... საერთოდ უკლუბოდ რომ იყვნენ! ამ დროს კი თუნდაც გლაზგოს მატჩი გავიხსენოთ, როცა სათადარიგოთა სკამს არ მოსცილებიან **ალექსანდრე იაშვილი, დავით კვირკველია** და **მიხეილ აშვეთია**. სამივე ფეხბურთელი ამ ბოლო დროს კი არ თამაშობს, დაფრინავს, იაშვილი და კვირკველია სულაც თავიანთ კლუბებში გუნდის კაპიტნები არიან...

...ისევ გადავუხვიეთ თემას და "ტოპის" კრიტიკაც ნამეტნავი გამოგვივიდა; ვილაცამ, შესაძლოა, ჩასაფრებაც დაგვაბრალოს; აი, როგორც ამ რამდენიმე თვის წინ ერთმა ახალგაზრდა ქართველმა მწვრთნელმა. არადა, იმ ჩვენებური მწვრთნელის მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილი ვიყავით და ვართ კიდევაც. ახლა კი დროა ცოტა ისტორიული ექსკურსი მოვაწყოთ და ის უამრავი შემთხვევები გავიხსენოთ, როცა საქართველოს ნაკრებში დებიუტი ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს ჰქონდათ. რა თქმა უნდა, საუბარი ოფიციალურ მატჩებზე იქნება, თუმცა ვერც ზოგიერთ ამხანაგურ შეხვედრას გავექცევით.

ზემოთაც ვახსენე, რომ ოფიციალურ დონეზე საქართველოს ნაკრებს დებიუტი 1994 წელს ჰქონდა, როცა ნაკრებს **ალექსანდრე ჩივაძე** წვრთნიდა. ჩივაძეს მწვრთნელის რანგში დებიუტი 1993 წლის 25 მაისს ჰქონდა და პირველ ოფიციალურ მატჩამდე (1994 წლის 7 სექტემბერი) საქართველოს ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე სამ ათეულზე მეტმა ფეხბურთელმა ითამაშა. თანაც, ერთობ საინტერესო იყო ის ფაქტიც, რომ ნაკრებში თითქმის ყველა ქართული გუნდის ფეხბურთელს ვხედავდით. თბილისის "დინამო" მაშინ ყველა კონკურენტზე "ათი თავით" მაღლა იდგა და წარმომადგენლობითი დელეგაციაც სწორედ აქედან იყო. ამას გარდა, ნაკრებში ჩვეულებრივი ამბავი იყო რუსთავის "გორდას", სოხუმის "ცხუმის", ლანჩხუთის "გურიას", ქუთაისის "ტორპედოს", ბათუმის "დინამოს", "სამტრედიის", "მრეტებისა" და თელავის "კახეთის" ფეხბურთელების ხილვა. მერე და მერე ჩვენი ფეხბურთელების საზღვარგარეთ გადინება რომ დაიწყო, მაინც არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენს ნაკრებს მხოლოდ ლეგიონერებით რომ ეთამაშა. პირველ შესარჩევ ციკლში (1994-95 წლებში) თითქმის ყველა მატჩში საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ხუთი-ექვსი ფეხბურთელი ნაკრების ძირითადში იყო. ასე გრძელდებოდა 1996 წლის 9 ნოემბრამდე, ანუ ალექსანდრე ჩივაძის ბოლო სანაკრებო მატჩამდე (ინგლისთან შეხვედრას ვგულისხმობთ). ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 1996 წლის 9 ოქტომბერს პერუჯაში **არიგო საკის** იტალიის ნაკრების (სადაც **ტოლდო, ნესტა, ფერარა, ძოლა, მალდინი** და **რავანელი** თამაშობდნენ) წინააღმდეგ ჩვენს გუნდში საქართველოს ჩემპიონატიდან 6 მოთამაშე იყო: ირაკლი ზოიძე, **ნუგზარ ლობჟანიძე, დიმიტრი კუდინოვი, გელა ინალიშვილი, კახა გოგიჩაიშვილი** და **ლევან კობიშვილი**. სხვათა შორის, იმ დროისათვის 19 წლის კობიაშვილისთვის ეს მხოლოდ მეორე სანაკრებო მატჩი იყო - მანამდე მან ნორვეგიაში ითამაშა თავისი სადებიუტო შეხვედრა. მასზე ცოტა ადრე ჰქონდათ დებიუტი საქართველოს ნაკრებში იმ პერიოდისათვის 18-19 წლის ბიჭებს: **ლევან ცქიტიშვილს, კახი კალაძესა** და **გიორგი დემეტრაძეს**. კობიაშვილის არ იყოს, ეს ბიჭებიც ჩვენს ჩემპიონატში გამოჩნდნენ პირველად და ნაკრების მაშინდელი ლიდერების გვერდით დიდ გამოცდილებასაც იძენდნენ.

ანალოგიური სიტუაცია იყო ნაკრებში **დავით ყიფიანის** მოსვლის მერეც: სწორედ მაშინ ჰქონდათ დებიუტი ჩვენს უპირველეს გუნდში ბათუმის დინამოელებს **გელა შეყილაძესა** და **ამირან მუჯირს**. ისევე როგორც მათ თბილისელ თანაკლუბელს **გიორგი კიკნაძეს**. 1997 წელს საქართველოს ნაკრებს ორი ურთულესი შეხვედრა ჰქონდა: ჯერ იყო 30 აპრილს ლონდონში, "უემბლიზე" ინგლისის წინააღმდეგ და მერე, 10 სექტემბერს თბილისში იტალიასთან. ორივე შემთხვევაში ჩვენს გუნდში მრავლად იყვნენ აქ მოთამაშე ფეხბურთელები (ზოიძე, **ტოგონიძე**, შეყილაძე, კალაძე, **მაჭავარიანი, ჩიხრაძე**, გოგიჩაიშვილი).

ყიფიანის მერე საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ვლადიმერ გუცაევი** დაინიშნა. აი, დებიუტანტების სიმრავლე მაშინ უნდა გენახათ, თუმცა ისიც უნად ვაღიაროთ, რომ მათი უმრავლესობა სანაკრებო დონეს ვერ პასუხობდა. ფაქტობრივად, **მიხეილ აშვეთიას** და **დავით მუჯირის** გარდა, სანაკრებო კარიერა არც არავის ჰქონია, თუმცა იგივე **რატი ალექსიძეს** ნამდვილად მეტის მიღწევა შეეძლო...

1999 წელს საქართველოს ნაკრებს სათავეში ჩაუდგა **იოჰან ბოსკამპი** - პირველი უცხოელი მწვრთნელი. ბოსკამპი ქართულ მედიას, რატომღაც, ყოველთვის ზემოდან უცქერდა; ისე, არც ჩვენ ამოგვდიოდა მზე და მთვარე მედიდურ ჰოლანდიელზე. მაგრამ ბევრი კარგზე მეტი საქმე რომ გააკეთა, ეს მერე და მერე უფრო გამოჩნდა. ბოსკამპმა მართლა "რევოლუცია" მოახდინა, როცა თამამზე თამამი გადაწყვეტილებები მიიღო: საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდათ იმ დროისათვის 17 წლის **ოთარ ხიზანეიშვილს** და 18 წლის **ზურაბ ხიზანიშვილს**; მათ სხვა ახალი სახეებიც დაემატნენ: **დავით ქიქველიშვილი** ("დინამო", ბათუმი), **თენგიზ სიჭინავა** ("დინამო", თბილისი), **ბადრი ახვლედიანი** და **გრიგოლ ჭანტურია** (ორივე - "ტორპედო", ქუთაისი).

ბოსკამპიც მალე "მოვინელეთ" და წელიწადნახევარი საქართველოს ნაკრებს დავით ყიფიანისა და რევაზ ძოძუაშვილის "დუეტი" ხელმძღვანელობდა. ამ შემთხვევაშიც ოცამდე დებიუტის მომსწრე გავხდით და ყველას თუ არა, რამდენიმეს მაინც შეგახსენებთ: **გივი კვარაცხელია, სევასტი თოდუა, ალეკო გოგობერიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, რევაზ ქემოკლიძე, ვალერი აბრამიძე, ედიკ საჯაია**. რაც მთავარია, სწორედ მაშინ გამოჩნდა პირველად ნაკრებში ქუთაისის "ტორპედოს" 20 წლის ნახევარმცველი **მალხაზ ასათიანი...**

2001 წლის ზაფხულში ნაკრებში ალექსანდრე ჩივაძე დაბრუნდა, რომელიც ყველა ამხანაგურ მატჩში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე 4-5 ფეხბურთელს შანსს აძლევდა - **ლადო ბურდულს, ვიტალი დარასელიას, ალეკო ამისულაშვილს, არჩილ სახვაძეს, როინ ონიანს. დავით კვირკველიას** სანაკრებო დებიუტი კი სულაც ოფიციალურ შეხვედრაში ჰქონდა - შვეიცარიის ნაკრებთან!

**...ივო შუშაკი** ნაკრების მეორე უცხოელი მწვრთნელი იყო და, ალბათ, ქართული ფეხბურთის ისტორიაში 2003 წლის 30 აპრილი ყოველთვის გამორჩეულ თარიღად დარჩება. დიახ, რუსეთის ნაკრებთან გამარჯვებას ვგულისხმობთ და, სხვათა შორის, ჩვენს გუნდში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ექვსი ფეხბურთელი გამოდიოდა!..

**...ალენ ჟირესიც** არ დავივიწყოთ - ჩვენი ნაკრების ისტორიაში მესამე უცხოელი მწვრთნელი. ჟირესი, სხვათა შორის, ტოპმიოლერისაგან განსხვავებით საქართველოშიც მეტ დროს ატარებდა, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც ხშირად ესწრებოდა და არც ჩვენი კლუბების ევროტურნირებზე ასპარეზობებს "აცდენდა". სწორედ ჟირესის დროს ჰქონდათ ნაკრებში დებიუტი **ჯაბა კანკავას, გოგიტა გოგუას, ზვიად სტურუასა** და **მიხეილ ბობოხიძეს**. აკაკი დევაძე კი სულაც პირველ ლიგაში (თბილისის "სპარტაკი") თამაშობდა და ჟირესმა ეს უნიჭიერესი მეკარე ნაკრებში... რვაწლიანი პაუზის მერე დააბრუნა!

ჟირესის მერე **გაიოზ დარსაძე** იყო და შემდეგ - კლაუს ტოპმიოლერი. აი, აქ ჯობია გავჩერდეთ; ყოველ შემთხვევაში, დღეს ასე სჯობია, თორემ მართლაც "მეტისმეტი" გამოგვივა. თუმცა, არ გაგიკვირდეთ, თუ უახლოეს მომავალში დაწვრილებით ამ საკითხზეც ვისაუბრებთ...

**გია ტუხაშვილი**

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა